შპს „საქართველო - ურბან ენერჯი“

ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი
აუდიტორული დასკვნა
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შპს "საქართველო - ურბან ენერჯი"

სარჩევი

	გვერდი
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშების მომზადებასა და დამტკიცებაზე	1
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	2-3
ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მდგომარეობით:	
ფინანსური მდგომარეობის ანგარიში	4
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიში	5
კაპიტალში ცვლილებების ანგარიში	6
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში	7
ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები	
1. შპს „საქართველო - ურბან ენერჯი" და მისი საქმიანობა	8
2. კომპანიის საოპერაციო გარემო	9
3. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკები	9
4. ბუღალტრული აღრიცხვის კრიტიკული შეფასებები და დასკვნები ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის გამოყენებისას	15
5. ახალი და შესწორებული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) გამოყენება	16
6. ნაშთები და ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	20
7. ძირითადი საშუალებები	22
8. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	23
9. ფული და ფულის ექვივალენტები	23
10. საწესდებო კაპიტალი	23
11. ნასესხები სახსრები	24
12. საგაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	25
13. შემოსავალი	25
14. მომსახურების ხარჯები	26
15. პერსონალის ხარჯები	26
16. საგადასახადო ხარჯები	26
17. სხვა საოპერაციო ხარჯები	27
18. ფინანსური შემოსავალი	27
19. ფინანსური ხარჯები	27
20. მოგების გადასახადი	27
21. პირობითი ვალდებულებები	28
22. ფინანსური რისკის მართვა	29
23. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება	32
24. კაპიტალის რისკის მართვა	33
25. მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდგომ	33
26. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	33

შპს „საქართველო - ურბან ენერჯი“

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „საქართველო - ურბან ენერჯის“ („კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და აქციონერთა კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება კომპანიას დირექტორთა საბჭოს მიერ დამტკიცებულია გამოსაშვებად 2018 წლის 14 მარტს.

ხელმძღვანელობის სახელით:

მმართველი დირექტორი
მურათ ქუჩუქ

14 მარტი, 2018 წელი

ფინანსური დირექტორი
ონურ თოსუნოღლუ

14 მარტი, 2018 წელი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს "საქართველო – ურბანმ ენერჯის" აქციონერებსა და დირექტორთა საბჭოს:

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ შპს „საქართველო - ურბან ენერჯის" („კომპანია") ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის, აგრეთვე სხვა სრული შემოსავლის, კაპიტალის ცვლილებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მდგომარეობით და ახსნა-განმარტებით შენიშვნებს ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპების მოკლე მონახაზის ჩათვლით.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სათანადოდ წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებს ამ დღეს დასრულებული წლის მდგომარეობით ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების („ფასს") შესაბამისად.

დასკვნის საფუძველი

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ჩვენი ანგარიშის ქვეთავში „*აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე*". ჩვენ ვმოქმედებდით კომპანიისგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი" (პბეკ კოდექსი) და საქართველოში აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური მოთხოვნები. შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა როგორც პბეკ კოდექსის, აგრეთვე აღნიშნული მოთხოვნებით განსაზღვრულ სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

ხელმძღვანელობისა და ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირთა მოვალეობები

ხელმძღვანელობა მოვალეა, მოამზადოს და ობიექტურად წარმოადგინოს ფინანსური ანგარიშგება ფასს-ების შესაბამისად და უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რომელიც, მისი აზრით, აუცილებელია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა მოვალეა, შეაფასოს კომპანიის მხრიდან საქმიანობის გაგრძელების (უწყვეტი საწარმოს პრინციპის) უნარი, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს უწყვეტი საწარმოს პრინციპთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნული პრინციპი გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელმძღვანელობა ან მიზნად ისახავს კომპანიის ლიკვიდაციას თუ საქმიანობის შეწყვეტას, ან არ გააჩნია ამისგან განსხვავებული ქმედების რეალისტური ალტერნატივა.

კომპანიის მართვასა და ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირები ვალდებულნი არიან, ზედამხედველობა გაუწიონ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესს.

აუდიტორის მოვალეობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი ამოცანაა, მოვიპოვოთ იმის საფუძვლიანი რწმენა, რომ ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც ჩვენი თვალსაზრისის გამომხატველი იქნება. საფუძვლიანი რწმენა მაღალი ხარისხის რწმენას წარმოადგენს, მაგრამ, ამავდროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენას ახდენდეს ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში გამოვთქვამთ პროფესიულ თვალსაზრისს და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა:

- ჩვენ ამოვიცნობთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რაც საკმარისი და ადეკვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის ჩამოსაყალიბებლად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის ვერშემჩნევის რისკი შეცდომის შედეგად გაპარული არსებითი უზუსტობის ვერშემჩნევის რისკს აღემატება, რადგან თაღლითობა შეიძლება ხდებოდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის წინასწარგანზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით;
- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე აზრის გამოთქმის განზრახვას;
- ვაფასებთ ბუღალტრული აღრიცხვის გამოყენებული პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული პროგნოზებისა და განმარტებების მართებულობას;
- ვაკეთებთ დასკვნას ხელმძღვანელობის მხრიდან აღრიცხვის უწყვეტი საწარმოს პრინციპზე საფუძველზე წარმოების თაობაზე და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, გამოვთქვამთ თვალსაზრისს, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის არასარწმუნოება ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი, გააგრძელოს საქმიანობა. თუ ჩვენი დასკვნის მიხედვით, არსებითი არასარწმუნოება არსებობს, ჩვენ ვალდებულები ვართ, ჩვენ მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, შევცვალოთ კიდეც დასკვნა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მას შემდეგ, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება კომპანია აიძულოს, შეწყვიტოს მოქმედი საწარმოს პრინციპით მოქმედება.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან სტრუქტურას, შინაარსსა და წარმოდგენის ფორმას, მათ შორის განმარტებებს და ასევე იმას, თუ როგორ შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების მიერ შესაბამის ტრანსაქციებსა და მოვლენებს ასახვა ინფორმაციის ობიექტურად წარმოდგენის პრინციპს.

სხვა საკითხებს შორის, ჩვენ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

შპს „დელოიტი და ტუშის“ სახელით
თამარ ნაცვლიშვილი

2018 წლის 14 მარტი
თბილისი, საქართველო

ფინანსური მდგომარეობის ანგარიში
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართული ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	275,957,891	286,950,842
არამატერიალური აქტივები		70,256	87,322
სულ გრძელვადიანი აქტივები		**276,028,147**	**287,038,164**
მიმდინარე აქტივები			
მარაგები		708,879	669,662
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	3,643,319	4,467,422
ფული და ფულის ექვივალენტები	9	3,841,399	3,781,458
სულ მიმდინარე აქტივები		**8,193,597**	**8,918,542**
სულ აქტივები		**284,221,744**	**295,956,706**
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	10	123,638,980	123,638,980
დაგროვილი დეფიციტი		(132,015,777)	(133,919,334)
სულ კაპიტალი		**(8,376,797)**	**(10,280,354)**
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	11	257,934,712	243,119,459
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**257,934,712**	**243,119,459**
მიმდინარე ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	11	34,412,867	62,964,115
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	250,962	153,486
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**34,663,829**	**63,117,601**
სულ ვალდებულებები		**292,598,541**	**306,237,060**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**284,221,744**	**295,956,706**

ხელმძღვანელობის სახელით:

მმართველი დირექტორი
მურათ ქუჩუ

14 მარტი, 2018 წელი

ფინანსური დირექტორი
ონურ თოსუნოღლუ

14 მარტი, 2018 წელი

8-33 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს სპეციალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიში
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართული ლარი	შენიშვნა	2017	2016
შემოსავალი	13	37,310,646	43,071,487
სხვა შემოსავალი		56,806	33,741
მომსახურების ხარჯები	14	(6,373,998)	(7,716,313)
პერსონალის ხარჯები	15	(3,358,258)	(3,331,725)
საგადასახადო ხარჯები	16	(2,723,554)	(2,524,882)
სხვა საოპერაციო ხარჯები	17	(392,447)	(460,394)
მოგება ფინანსურ შემოსავლამდე/ხარჯებამდე, გადასახადებამდე, ცვეთამდე და ამორტიზაციამდე		**24,519,195**	**29,071,914**
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი		(11,065,127)	(11,053,079)
მოგება ფინანსურ შემოსავლამდე / ხარჯებამდე და გადასახადებამდე		**13,454,068**	**18,018,835**
ფინანსური შემოსავალი	18	6,027,446	143,047
ფინანსური ხარჯები	19	(17,577,957)	(47,838,473)
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადამდე		**1,903,557**	**(29,676,591)**
მოგების გადასახადის ხარჯი		-	(4,559,394)
წლის მოგება / (ზარალი)		**1,903,557**	**(34,235,985)**
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი / (ზარალი)		**1,903,557**	**(34,235,985)**

ხელმძღვანელობის სახელით:

მმართველი დირექტორი
მურათ ქუჩუქ

14 მარტი, 2018 წელი

ფინანსური დირექტორი
ონურ თოსუნოღლუ

14 მარტი, 2018 წელი

8-33 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს სპეციალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კაპიტალში ცვლილებების ანგარიში
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართული ლარი	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი დეფიციტი	სულ კაპიტალი
ნაშთი 1 იანვარი 2016 წელი	**112,801,000**	**(99,683,349)**	**13,117,651**
კაპიტალის შენატანი	10,837,980	-	**10,837,980**
სულ პერიოდის სრული ზარალი	-	(34,235,985)	**(34,235,985)**
ნაშთი 31 დეკემბერი 2016 წელი	**123,638,980**	**(133,919,334)**	**(10,280,354)**
ნაშთი 1 იანვარი 2017 წელი	**123,638,980**	**(133,919,334)**	**(10,280,354)**
სულ პერიოდის სრული შემოსავალი	-	1,903,557	1,903,557
ნაშთი 31 დეკემბერი 2017 წელი	**123,638,980**	**132,015,777**	**8,376,797**

ხელმძღვანელობის სახელით:

მმართველი დირექტორი
მურათ ქუჩუქ

14 მარტი, 2018 წელი

ფინანსური დირექტორი
ონურ თოსუნოღლუ

14 მარტი, 2018 წელი

8-33 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს სპეციალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართული ლარი	შენიშვნა	2017	2016
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წმინდა მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადამდე		**1,903,557**	**(29,676,591)**
კორექტირება:			
ცვეთა და ამორტიზაცია		11,065,127	11,053,079
ფინანსური შემოსავალი		(151,344)	(143,047)
ფინანსური ხარჯები	19	17,577,957	19,374,697
საკურსო სხვაობით მიღებული წმინდა (მოგება)/ზარალი	18	(5,876,102)	28,463,776
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე		**24,519,195**	**29,071,914**
მარაგების ზრდა		(39,217)	(77,901)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების კლება/(ზრდა)		833,322	(52,200)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/(კლება)		102,077	(265,168)
საბრუნავი კაპიტალის ცვლილება		**896,182**	**(395,269)**
მიღებული პროცენტი		151,344	143,047
გადახდილი პროცენტი და სხვა ფინანსური ხარჯები		(16,862,165)	(12,358,722)
წმინდა ნაღდი ფული საოპერაციო საქმიანობიდან		**8,704,556**	**16,460,970**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	7	(55,109)	(410,444)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა		-	(79,701)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ნაღდი ფული		**(55,109)**	**(490,145)**
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
კაპიტალის შენატანი აქციონერებისგან		-	10,837,980
ნასესხები სახსრებით მიღებული შემოსავალი	11	45,745,895	49,994,500
ნასესხები სახსრების დაფარვა	11	(53,282,450)	(78,058,753)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ნაღდი ფული		**(7,536,555)**	**(17,226,273)**
წმინდა ზრდა/(კლება) ფულსა და ფულის ექვივალენტებში		**1,112,892**	**(1,255,444)**
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში		**3,781,458**	**5,297,476**
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ექვივალენტებზე		(1,052,951)	(260,570)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	9	**3,841,399**	**3,781,458**

ხელმძღვანელობის სახელით:

მმართველი დირექტორი
მურათ ქუჩუქ

14 მარტი, 2018 წელი

ფინანსური დირექტორი
ონურ თოსუნოღლუ

14 მარტი, 2018 წელი

8-33 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს სპეციალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

1. შპს "საქართველო - ურბან ენერჯი" და მისი საქმიანობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, შპს „საქართველო - ურბან ენერჯისათვის" („კომპანია" ან „სუე") 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მდგომარეობით.

კომპანია დაფუძნდა 1999 წლის 11 თებერვალს და რეგისტრირებულია საქართველოში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მოქმედი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის წილებს ფლობდნენ შემდეგი აქციონერები:

	31 დეკემბერი 2017
„ანადოლუ კაფკასია ენერჯი იატირიმლარი ანონიმ შირკეტი"	90%
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვით რების ბანკი (ერგბ)	10%
სულ	100%

„ანადოლუ კაფკასია ენერჯი იატირიმლარი ანონიმ შირკეტი" არის აგ „ანადოლუ გრუბუ ჰოლდინგ ა.ს."-ის 89.19%-იანი შვილობილი კომპანია, რომელიც დაფუძნდა 2009 წლის 15 დეკემბერს. მისი იურიდიული მისამართია ფატიჰ სულტან მეჰმეტ მაჰალესი, ბალკან ჯადესი №58, ბეიაკა, ე ბლოკ 34771 ტეპეიუსტუ/უმრანიე, სტამბოლი, თურქეთი. „ა.შ. ანადოლუ კაფკასია ენერჯი იატირიმლარის" აქციების დანარჩენ 10.81%-იან წილს ფლობს „ფარავანი ენერჯი ბ.ვ.".

კომპანიის საბოლოო მფლობელები არიან „ა.გ. სინაი იატირიმ ვე იონეტიმ ა.შ." (ფლობს „ა.გ. ანადოლუ გრუბუ ჰოლდინგ ა.შ."-ის სააქციო კაპიტალის 24.3%), „აეპ ანადოლუ ეტაპ ფენკონ ფაზარლამა ა.შ." (ფლობს „ა.გ. ანადოლუ გრუბუ ჰოლდინგ ა.შ."-ის სააქციო კაპიტალის 24.3%), იაზიჯის ოჯახის წევრები (ფლობენ „ა.გ. ანადოლუ გრუბუ ჰოლდინგ ა.შ."-ის სააქციო კაპიტალის 27.1%), ოზილჰანის ოჯახის წევრები (ფლობენ „ა.გ. ანადოლუ გრუბუ ჰოლდინგ ა.შ."-ის სააქციო კაპიტალის 10.0%) და საჯაროდ ფლობილი აქციები (ფლობენ „ა.გ. ანადოლუ გრუბუ ჰოლდინგ ა.შ."-ის სააქციო კაპიტალის 14.1%). კომპანია „ა.გ. სინაი იატირიმ ვე იონეტიმ ა.შ." არის „ქამილ იაზიჩი იონეტიმ ვე დანისმა ა.შ."-ის კონტროლქვეშ და ფლობს მისი კაპიტალის 100%. „აეპ ანადოლუ ეტაპ ფენკონ ფაზარლამა ა.შ." არის „იზეტ თურქან იოზილჰან იონეტიმ ვე დანიშმანლიკ ა.შ."-ის კონტროლქვეშ და ფლობს მისი კაპიტალის 100%.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (ერგბ) კომპანიის აქციებს ფლობს 2011 წლის 20 სექტემბრის გამოწერის ხელშეკრულების შესაბამისად, რომლის მიხედვით, ერგბ-მა გამოიწერა კომპანიის 5,000,000 აშშ დოლარის ღირებულების საკუთარი კაპიტალის 10%. კაპიტალის ეს შენატანი გაკეთდა 2011 წლის 28 ნოემბერს.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ელექტროენერგიის გენერაცია და გაყიდვა. კომპანიამ 2014 წლის აგვისტოში დაასრულა ფარავანი ჰესის მშენებლობა და ამის შემდეგ ერთი თვის განმავლობაში ატარებდა სპეციფიურ ტესტებს. 2014 წლის ოქტომბრიდან მოყოლებული, კომპანიის მიერ ოპერირებულ ფარავნის ჰიდრო-ელექტრო სადგურზე ხდება ელექტროენერგიის გენერირება. 2014 და 2015 ფინანსური წლებში, ზამთრის სამი თვის განმავლობაშიკომპანია გენერირებულ ელექტროენერგიას ყიდდა სახელმწიფო მფლობელობაში არსებულ ელექტროსისტემის კომერციულ ოპერატორზე, დანარჩენ თვეებში კი ექსპორტზე გაჰქონდა თურქეთში. 2016 წელს კომპანიამ საქართველოს მთავრობასთან ხელი მოაწერა დამატებით ხელშეკრულებებს, რომელთა მიხედვით, მარტის, აპრილის, სექტემბრის, ოქტომბრისა და ნოემბრის თვეებში აგრეთვე აკმაყოფილებდა ელექტროენერგიის მოთხოვნას საქართველოს ფარგლებში. 2017 წელს კომპანიას ელექტროენერგია ექსპორტზე გაჰქონდა ზედიზედ სამი - მაისის, ივნისისა და ივლისის - თვის განმავლობაში, ხოლო დანარჩენი 9 თვის განმავლობაში, საქართველოს მთავრობასთან ხელმოწერილი დამატებითი ხელშეკრულების ფარგლებში, გენერირებულ ელექტროენერგიას მთლიანად ჰყიდდა ადგილობრივ ბაზარზე.

რეგისტრირებული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის რეგისტრირებული მისამართია საქართველო, თბილისი 0162, ჭავჭავაძის გამზირი 37დ. 2017 წლის განმავლობაში თანამშრომელთა საშუალო რაოდენობამ შეადგინა 44 (2016: 44).

პრეზენტაციის ვალუტა. საქართველოს ეროვნული ვალუტაა ქართული ლარი, იგი ასევე წარმოადგენს კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას და იმ ვალუტას, რომელშიც წარმოდგენილია კომპანიის ფინანსური ანგარიშგება.

2. კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი საქმიანობა საქართველოში მიმდინარეობს. საქართველო განვითარებადი ბაზრის გარკვეულ მახასიათებლებს ამჟღავნებს, მათ შორის, ხასიათდება მაღალი ინფლაციითა და მაღალი საპროცენტო განაკვეთებით. საქართველოს მსგავსი განვითარებადი ბაზრები ხასიათდება ისეთი რისკებით, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებულ ბაზარზე. ბიზნესზე მოქმედი საკანონმდებლო გარემო სწრაფად იცვლება და სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციით ხასიათდება. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფისკალური და მონეტარული ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, მარეგულირებელი და პოლიტიკური მოვლენების პარალელურად.

ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოში რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, რომლებიც ძირითადად ქვეყნის ევროკავშირთან დაახლოების გეგმებს უკავშირდება. 2016 და 2017 წლის განმავლობაში ჩატარებულ საკანონმდებლო ცვლილებებს ერთგვარად გზის გამკვლევის ფუნქცია ეკისრებოდა, საქართველო-ევროკავშირის დაახლოების სამოქმედო გეგმის პარალელურად მრავალი სხვა რეფორმაა მოსალოდნელი.

გარდა ამისა, საქართველოს ენერგო-ბაზარზე მოქმედებს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური, საკანონმდებლო, ფისკალური და რეგულირებასთან დაკავშირებული მოვლენები.

ხელმძღვანელობას არ შესწევს ყველა იმ მოვლენის წინასწარ განჭვრეტის ძალა, რომელმაც შეიძლება იმოქმედოს საქართველოს ეკონომიკაზე და ამდენად, ვერ ივარაუდებს, თუ რა ეფექტი შეიძლება ჰქონდეს მათ კომპანიის მომავალ ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობის აზრით, ის ყველა ზომას მიმართავს, რათა უზრუნველყოს კომპანიის ბიზნესის მდგრადობა და განვითარების ტენდენცია.

3. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკები

მომზადების საფუძველი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, მომზადებულია ისტორიული ღირებულების პრინციპით. ისტორიული ღირებულება საზოგადოდ ეფუძნება საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ გადახდილი ანაზღაურების რეალურ ღირებულებას.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპები აღწერილია ქვემოთ. გარდა იმ შემთხვევებისა, სადაც ეს აღნიშნულია, პოლიტიკის აღნიშნული პრინციპები გამოიყენებოდა ყველა წარმოდგენილ პერიოდში (იხილეთ შენიშვნა 5).

ხელმძღვანელობამ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მოამზადა უწყვეტი საწარმოს დაშვების საფუძველზე. ამ შეფასების გაკეთებისას ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, არსებული განზრახვები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსურ რესურსებზე წვდომა და გააანალიზა ფინანსურ ბაზრებზე არსებული სიტუაციის ზეგავლენა კომპანიის ოპერაციებზე.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მიმდინარე ვალდებულებებმა მიმდინარე აქტივებს გადააჭარბა 26,470,232 ლარით.

მიმდინარე ვალდებულებებში შედის „აკბანკიდან" და „თსკბ"-დან აღებული მოკლევადიანი სესხები, შესაბამისად, 3,274,093 ლარისა და 22,870,389 ლარის ოდენობით; აგრეთვე საერთაშორისო საფინანსო კორპორაციიდან (სსკ) და ერგბ-დან მიღებული გრძელვადიანი სესხის მოკლევადიანი ნაწილი, შესაბამისად, 3,687,611 ლარისა და 4,580,7754 ლარის ოდენობით.

2017 წლის 12 აპრილს კომპანიამ ერგბ-სა და სსკ-თან ხელი მოაწერა შეთანხმების შესწორებას გრძელვადიანი სესხის რესტრუქტურიზაციის თაობაზე. მის მიხედვით, დადგინდა ძირითადი თანხის გადახდების ახალი გრაფიკი, რაც საშუალებას აძლევს კომპანიას, ძირითადი თანხა უფრო ხანგრძლივი ვადის განმავლობაში გადაიხადოს, კერძოდ, 2029 წლის ოქტომბრამდე, ნაცვლად თავდაპირველად შეთანხმებული 2026 წლის აპრილისა. რესტრუქტურიზების შედეგად სსკ-სა და ერგბ-დან მიღებული სესხების მოკლევადიანი ნაწილები, რომელთა გადახდას კომპანია გეგმავს საოპერაციო ფულადი ნაკადების საშუალებით, შემცირდა.

2017 წლის 30 ოქტომბერს კომპანიამ „თსკბ" ბანკთან ხელი მოაწერა ხელშეკრულებას საკრედიტო ხაზის თაობაზე, 10,000,000 აშშ დოლარის (25,922,000 ლარი) ლიმიტითა და 5 წლის ვადით. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას ათვისებული ჰქონდა ძირითადი თანხა 8,750,000 აშშ დოლარის (22,681,750 ლარი) ოდენობით. სესხები მოკლევადიანია, 1 წლიანი დაფარვის ვადით (სულ

სამი ტრანში). კომპანია მათი დაფარვის ვადის დადგომისას გეგმავს სესხების განახლებას, აღნიშნულ ბანკთან ხელმოწერილი ხელშეკრულების შესაბამისად 5 წლიანი ვადიანობის ფარგლებში. აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად, კომპანიამ ათვისებული ტრანშები უნდა დაფაროს მათი მიღებიდან 1 წლის განმავლობაში. ამჟამად ათვისებული ტრანშების გადახდის ვადა დგება ნოემბერში. მისი ვადიანობა კიდევ ერთი წლით გაიზრდება. ისტორულად კომპანიას ბოლო 5 წლის განმავლობაში თურქულ ბანკებთან არსებული ყველა საკრედიტო ხაზი განახლებული აქვს. ათვისებული საკრედიტო ხაზები ყოველწლიურად მცირდება (2017 წლის განმავლობაში ათვისებული საკრედიტო საზი 32,439,789 ლარიდან 26,144,482 ლარამდე შემცირდა) (შენიშვნა 11).

გარდა ამისა, „თსკბ" ბანკთან არსებული კონტრაქტი არის ხელშეკრულება სამ მხარეს, კერძოდ, „თსკბ", კომპანიასა და მის დამფუძნებელს („ანადოლუ ენდუსტრი ჰოლდინგ ა.ს.") შორის. დამფუძნებელთან არსებული ხელშეკრულებით, დამფუძნებელმა კომპანიას მისცა სესხის გადახდის გარანტია იმ შემთხვევაში, თუ კომპანია ვერ შეძლებს ბანკთან არსებული ვალდებულების შესრულებას. გარანტიის მთლიანი ოდენობაა 11,000,000 აშშ დოლარი.

რაც შეეხება „აკბანკისგან" მიღებულ სესხს, რომლის დაფარვის ვადა 2018 წლის აპრილში გადის, კომპანია ამ სესხის დაფარვას გეგმავს საოპერაციო ფულადი ნაკადებით. აუცილებლობის შემთხვევაში კი, აპირებს „თსკბ" შეთანხმებული საკრედიტო ხაზის სრულად ათვისებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კომპანია მიიჩნევს, რომ უწყვეტი საწარმოს პრინციპის გამოყენება არსებულ სიტუაციას შეესაბამება და რომ ის შეძლებს ბიზნესის მიმდინარეობის პროცესში აქტივების რეალიზებასა და ვალდებულებების დაფარვას.

რეალური ღირებულება არის ის ფასი, რომელსაც პირი მიიღებდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების გასხვისებაში სათანადო ტრანზაქციაში ბაზრის მონაწილეთა შორის გაზომვის დღეს იმის მიუხედავად, შეიძლება თუ არა ამ ფასზე პირდაპირ დაკვირვება ან მისი გამოთვლა შეფასების სხვა ტექნიკის გამოყენებით. აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულების გამოთვლისას კომპანია ითვალისწინებს ამ აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეები ამავე მახასიათებლებს გაითვალისწინებდნენ აღნიშნული აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას გაზომვის დღეს. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში, გაზომვის ან/და განმარტების მიზნით, რეალური ღირებულება დგინდება აღნიშნულ საფუძველზე.

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების შედგენისათვის, რეალური ღირებულების გაზომვა იყოფა 1-ელი, მე-2 და მე-3 დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რეალური ღირებულების რომელი კომპონენტებია დაკვირვებადი და რა მნიშვნელობის მატარებელია ეს კომპონენტები მთლიანად რეალური ღირებულების მოცულობის დადგენაში. აღნიშნული კატეგორიებია:

- 1-ელი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;
- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება 1-ელ დონეში მოცემული კოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და
- მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

უცხოური ვალუტაში გადაანგარიშება. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივები და ვალდებულებები საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ("სებ") ოფიციალური ვალუტის კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები აღირიცხება ტრანზაქციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით. არამონეტარული აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული და აღრიცხულია ისტორიული ღირებულებით, ლარში გადაიყვანება ტრანზაქციის დღეს მოქმედი ვალუტი კურსით. არამონეტარული აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული და აღრიცხულია რეალური ღირებულებით, ლარში გადაიყვანება რეალური ღირებულების დადგენის დღეს მოქმედი ვალუტი კურსით. ამგვარი ტრანზაქციების ანგარიშსწორებიდან და უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაციით მიღებული მოგება და ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ძირითადი გაცვლითი კურსი, რომელიც გამოყენებულ იქნა უცხოური ვალუტის ბალანსების გადაყვანისთვის იყო: 1 აშშდ = 2.5922 ლარი და 1 ევრო = 3.1044 ლარი (2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 1 აშშდ = 2.6468 ლარი და 1 ევრო = 2. 7940 ლარი). დასკვნის მომზადების დღეს ვალუტის ოფიციალური კურსი იყო 1 აშშდ = 2.4400, 1 ევრო = 3.0100. ამჟამად საქართველოს

ფარგლებს გარეთ არსებული ქვეყნების უმეტესობაში ქართული ლარი თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა არ არის.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები მითითებულია თვითღირებულებით, საჭიროების შემთხვევაში, აკუმულირებული ამორტიზაციისა და გაუფასურების რეზერვის გამოკლებით.

ძირითადი საშუალებების რომელიმე ერთეულის კომპონენტის შეცვლაზე გაწეული ხარჯები კაპიტალიზდება და შეცვლილი კომპონენტი ჩამოიწერება. შემდგომი ხარჯები კაპიტალიზდება იმ შემთხვევაში, თუ ამ ხარჯებიდან უნდა წარმოიშვას მომავალი ეკონომიკური სარგებელი. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის, მცირე რემონტისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები აღირიცხება მათი გაწევისას.

გაუფასურების ხარჯი აღიარდება იმ შემთხვევაში, თუ აქტივის ან მისი ფულის მაგენერირებელი ერთეულის საბალანსო ღირებულებამ გადააჭარბა აღდგენად ღირებულებას. გაუფასურების დანაკარგები აღირიცხება მოგება-ზარალში.

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ ასეთი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა გაიანგარიშებს ამოსაღებ თანხას, რომელიც განისაზღვრება, როგორც შემდეგი ორიდან უფრო მაღალი ღირებულება: აქტივის რეალური ღირებულება სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით, და აქტივის გამოყენების ღირებულება. საბალანსო ღირებულება მცირდება აღდგენად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება წლის მოგებაში ან ზარალში. წინა წლებში აღიარებული აქტივის გაუფასურების ზარალის შებრუნება (რევერსირება) ხდება იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის სამომხმარებლო ღირებულების ან რეალური ღირებულების (რეალიზაციის ხარჯის გამოკლებით) გაანგარიშებისას გამოყენებულ მონაცემებში შემდგომში ცვლილება მოხდა.

რეალიზაციით მიღებული მოგება და ზარალი, რომელიც განისაზღვრება შემოსავლების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით, აღიარებულია წლის მოგებაში ან ზარალში.

ცვეთა. მიწას ცვეთა არ ერიცხება. კომპანიას მსხვილი სარემონტო სამუშაოებისას გამოყენებული სათადარიგო ნაწილები დაჯგუფებული აქვს ერთად, როგორც დაუმონტაჟებელი მოწყობილობები. ამ ტიპის აქტივები მსხვილი სარემონტო სამუშაოების ჩატარებამდე არ უფასურდება. ძირითადი საშუალებების სხვა ერთეულების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, საანგარიშო სასარგებლო გამოყენების ვადებში მათ ნარჩენ ღირებულებაზე მათი ღირებულების განაწილებით:

აქტივების ჯგუფი	ექსპლუატაციის პერიოდი
შენობები (გვირაბი)	50 წელი
გადამცემი ხაზები და შესაბამისი მოწყობილობები	50 წელი
ინფრასტრუქტურული აქტივები	15-20 წელი
მანქანა-დანადგარები	5-20 წელი
ტრანსფორმატორები, გენერატორები და ჰეს-თან დაკავშირებული მოწყობილობები	15 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5-10 წელი
ავეჯი და მცირე აქტივები	4-7 წელი

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს აქტივების ნარჩენი ღირებულებები და ექსპლუატაციის პერიოდები გადაიხედება და აუცილებლობის შემთხვევაში კორექტირდება.

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის ის საანგარიშო თანხა, რომელსაც კომპანია ახლა მიიღებდა აქტივის რეალიზაციიდან რეალიზაციის საანგარიშო ხარჯების გამოკლებით, თუ აქტივი უკვე ხანდაზმული იქნებოდა და იმ მდგომარეობაში იქნებოდა, რომელიც მოსალოდნელია მისი სასარგებლო გამოყენების ვადის ბოლოს. აქტივების ნარჩენი ღირებულება და ექსპლუატაციის ვადა ექვემდებარება გადახედვას და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

საოპერაციო იჯარა. იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანია არის მოიჯარე ისეთ საიჯარო ურთიერთობაში, რომლითაც მეიჯარის მხრიდან არსებითად ყველა რისკისა და სარგებლის გადაცემა კომპანიაზე არ ხდება, მთლიანი საიჯარო გადახდები იჯარის ვადის განმავლობაში აღირიცხება წლის მოგება-ზარალში წრფივი მეთოდით. იჯარის ვადა არის ის პერიოდი, გაუქმების უფლების გარეშე, რომლითაც მოიჯარემ იჯარით აიღო აქტივი იმ დამატებითი პირობით, რომლის ძალითაც მოიჯარეს უფლება აქვს, გააგრძელოს აქტივის იჯარა დამატებითი გადასახადით ან მის გარეშე, როდესაც იჯარის დაწყებისას რეალურია, მოიჯარემ გამოიყენოს ეს უფლება (საოპერაციო იჯარები მოიცავს მიწის გრძელვადიან იჯარას, რომლის გადახდები საკადასტრო ღირებულებების მიხედვით რეგულარულად კორექტირდება სახელმწიფოს მხრიდან).

არამატერიალური აქტივები. კომპანიის მიერ შესყიდული არამატერიალური აქტივები, განსაზღვრული მოხმარების ვადით, აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციის გამოკლებით. გაუფასურების შემთხვევაში, არამატერიალური ატივების საბალანსო ღირებულება აღირიცხება, როგორც გამოყენებულ ღირებულებასა და რეალური ღირებულებისა და რეალიზაციის ხარჯების სხვაობას შორის უდიდესი ოდენობა.

კომპანიის არამატერიალური აქტივები უმთავრესად მოიცავს კაპიტალიზებულ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ამორტიზდება წრფივი მეთოდით სავარაუდო ექსპლუატაციის ვადის განმავლობაში მისი გამოყენების პირველი დღიდან მოყოლებული. პროგრამული უზრუნველყოფის სავარუდო ექსპლუატაციის ვადა განისაზღვრება 7 წლით.

სხვა მოთხოვნები. სხვა მოთხოვნები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

წინასწარი გადახდები. წინასწარი გადახდები აღირიცხება თვითღირებულებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. წინასწარი გადახდა გრძელვადიანად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც მასთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებულ უნდა იქნეს ერთი წლის შემდეგ, ან მაშინ, როდესაც წინასწარი გადახდა ისეთ აქტივთანაა დაკავშირებული, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირდა როგორც გრძელვადიანი. აქტივების შესასყიდად განკუთვნილი წინასწარი გადახდები, აქტივის კონტროლის მოპოვებისთანავე და ისეთი ვარაუდის არსებობის შემთხვევაში, რომ მასთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს კომპანია მიიღებს, გადადის აქტივის საბალანსო ღირებულებაში. სხვა წინასწარი გადახდები მოგება-ზარალში ჩამოიწერება მათთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღების დროს. თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული აქტივები, საქონელი ან მომსახურება კომპანიას არ მიეწოდება, წინასწარი გადახდის საბალანსი ღირებულება აღირიცხება და მოგება-ზარალში აღიარდება მისი შესაბამისი გაუფასურების ზარალი.

ფული და ფულის ექვივალენტები. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და ბანკებში სამ თვემდე ვადით განთავსებულ სახსრებს. ფული და ფულის ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

საბანკო დეპოზიტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

მარაგები. მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება როგორც სავარაუდო გასაყიდი ფასი ჩვეულებრივ ბიზნეს-გარიგებებში, ტრანზაქციის დასრულებისა და გაყიდვის სავარაუდო ხარჯების გამოკლებით.

ფინანსური ინსტრუმენტები - აღრიცხვის ძირითადი პრინციპები. კლასიფიკაციის მიხედვით, ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება ან რეალური ღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით.

რეალური ღირებულება არის ის ფასი, რომელსაც პირი მიიღებდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების გასხვისებაში სათანადო ტრანზაქციაში ბაზრის მონაწილეთა შორის გაზომვის დღეს. რეალური ღირებულების საუკეთესო მაჩვენებელი არის აქტიურ ბაზარზე მოქმედი ფასი. აქტიურია ბაზარი, რომელზეც აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებული ტრანზაქციები ისეთი სიხშირითა და მოცულობით ხდება, რომ შესაძლებელია ფასის შესახებ ინფორმაციის რეგულარულად მიღება.

ტრანზაქციის ხარჯები არის ის ნაზარდი ხარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური ინსტრუმენტის შესყიდვას, გამოშვებას ან რეალიზაციას. ნაზარდია ხარჯი, რომელსაც პირი არ გასწევდა ტრანზაქციის გარეშე. ტრანზაქციის ხარჯებში შედის აგენტებისთვის (მათ შორის გაყიდვის აგენტებად მოქმედი თანამშრომლებისთვის), მრჩევლებისთვის, ბროკერებისა და დილერებისათვის გადახდილი საკომისიოები, მარეგულირებელი სამსახურებისა და საბირჟო მოსაკრებლები და გადარიცხვის გადასახადები და მოსაკრებლები. ტრანზაქციის ხარჯებში არ შედის სესხის პრემიუმები თუ ფასდათმობები, ფინანსური ხარჯები და შიდა ადმინისტრაციული თუ ჰოლდინგის ხარჯები.

ამორტიზებული ღირებულება არის ის თანხა, რომლის ოდენობითაც მოხდა ფინანსური ინსტრუმენტის თავდაპირველი აღიარება, ძირითადი თანხის გადახდების გამოკლებით და დარიცხული პროცენტის მიმატებით, ხოლო ფინანსური აქტივებისათვის - აღრიცხული გაწეული გაუფასურების დანაკარგების გამოკლებით. დარიცხული პროცენტი მოიცავს თავდაპირველი აღიარებისას გადავადებული ტრანზაქციის ხარჯებისა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გადასახდელ თანხამდე დისკონტირების ან პრემიუმის ამორტიზაციას. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯები, მათ შორის, დარიცხული კუპონი და ამორტიზებული დისკონტი თუ პრემიუმი (მათ შორის, წარმოშობისას გადავადებული საკომისიო, თუ ასეთი არსებობს), ცალკე არ აღიარდება და შედის შესაბამისი აქტივის/ვალდებულების საბალანსო ღირებულებაში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის შესაბამის პერიოდზე საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის განაწილების მეთოდი, რომლის საშუალებით მიიღწევა მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებაზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის ის განაკვეთი, რომლითაც ზუსტად ხდება სამომავლო ფულადი გადახდების ან მიღებული თანხების (მომავალი საკრედიტო დანაკარგების გარდა) დისკონტირება ფინანსური აქტივის მოსალოდნელი მოხმარების ვადის განმავლობაში ამავე აქტივის თავდაპირველად აღიარებულ წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ახდენს ცვლად განაკვეთიანი ინსტრუმენტების ფულადი ნაკადების დისკონტირებას შემდეგი პროცენტის გაანგარიშების დღემდე, გარდა პრემიუმის ან ფასდათმობის შემთხვევისა, რომელიც ასახავს საკრედიტო სპრედს ინსტრუმენტში მითითებულ ცვლად განაკვეთზე, აგრეთვე იმ ცვლადებს, რომლებიც საბაზრო განაკვეთებით არ განისაზღვრება. ამგვარი პრემიუმები და ფასდათმობები ამორტიზდება ინსტრუმენტის მთელი ვადის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების კალკულაციაში შედის საკონტრაქტო მხარეთა შორის გადახდილი ან მიღებული ყველა თანხა, რაც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილი.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია. ფინანსურ აქტივები იყოფა შემდეგ კატეგორიებად: (ა) სესხები და მოთხოვნები; (ბ) გასაყიდად განკუთვნილი ფინანსური აქტივები; (გ) დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები და (დ) მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები. ეს უკანასკნელი ორ ქვეკატეგორიად იყოფა: (1) აქტივები, რომლებიც ასეთად ითვლება საწყისი აღიარებისას და (2) აქტივები, რომლებიც სავაჭროდ განკუთვნილად ითვლება.

სესხები და მოთხოვნები არის არაკოტირებადი არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, გარდა იმ აქტივებისა, რომელთა გაყიდვას კომპანია გეგმავს უახლოეს მომავალში.

გარდა ამისა, ცალკე კატეგორიას წარმოადგენს ფინანსური ლიზინგის მოთხოვნები. ჯგუფის ყველა ფინანსური აქტივი სესხებისა და მოთხოვნების კატეგორიითაა წარმოდგენილი. ჯგუფის ყველა ფინანსური ვალდებულება ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია. ფინანსური ვალდებულებები შეფასების შემდეგ კატეგორიებად იყოფა: (ა) სავაჭროდ განკუთვნილი ფინანსური ვალდებულებები, რომლებშიც ასევე შედის ფინანსური დერივატივები და (ბ) სხვა ფინანსური ვალდებულებები. სავაჭროდ განკუთვნილი ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება რეალური ღირებულებით, ხოლო ღირებულებაში მომხდარი ცვლილებები აისახება შესაბამისი წლის მოგებაში ან ზარალში (ფინანსური შემოსავლის ან ფინანსური ხარჯის სახით) მათი დადგომის პერიოდში. სხვა ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, გარდა მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახულისა, თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებისა და ტრანზაქციის ხარჯების ჯამით. თავდაპირველი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. მოგება ან ზარალი თავდაპირველ აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რეალურ ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის არსებობს სხვაობა, რომლის დამტკიცება შესაძლებელია იმავე ინსტრუმენტში სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო გარიგებების საფუძველზე ან ისეთი შეფასების მეთოდით, რომლის მონაცემებიც მოიცავს მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მაჩვენებლებს.

ფინანსური აქტივების აღიარების გაუქმება. კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა: (ა) აქტივები გადახდილია ან უფლებები აღნიშნული აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე სხვაგვარად ამოიწურა ან (ბ) ჯგუფმა გადასცა უფლებები ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე ან გააფორმა კვალიფიციური გადაცემის ხელშეკრულება და ამასთან ერთად (i) განახორციელა აქტივების საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკის და ჯილდოს გადაცემა ან (ii) საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და ჯილდო არც გადაუცია, არც შეუნარჩუნებია, მაგრამ კონტროლი არ შეუნარჩუნებია. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს გაყიდვაზე შეზღუდვების დაწესების გარეშე არადაკავშირებულ მესამე მხარისთვის აქტივის მთლიანად მიყიდვის პრაქტიკული უნარი.

ნასესხები სახსრები. ნასესხები სახსრები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სესხების ხარჯების კაპიტალიზაცია. სესხების ხარჯები, რომლებიც განეკუთვნება აქტივების ისეთ შესყიდვას, დამზადებას ან წარმოებას, რასაც მოსახმარი ან გასაყიდი აქტივების (კვალიფიცირებული აქტივები) მიღებას სჭირდება, კაპიტალიზდება, როგორც ამ აქტივების თვითღირებულების ნაწილი.

კაპიტალიზაციის საწყისი თარიღია ის დღე, როდესაც (ა) კომპანია გასწევს კვალიფიცირებული აქტივის მისაღებად საჭირო ხარჯებს; (ბ) კომპანია გასწევს სესხების ხარჯებს; და (გ) კომპანია

წამოიწყებს იმ ზომებს, რომლებიც საჭიროა აქტივების გასამზადებლად მათ მოსახმარად ან გასაყიდად.

სესხების ხარჯების კაპიტალიზაცია გრძელდება იმ დღემდე, სანამ აქტივები არსებითად არ გამზადდება მოსახმარად ან გასაყიდად.

კომპანია ახდენს სესხების იმ ხარჯების კაპიტალიზაციას, რომელთა თავიდან აცილება მას შეეძლო, კვალიფიცირებულ აქტივებზე კაპიტალური დანახარჯები რომ გაეწია. კაპიტალიზებული ხარჯები გამოითვლება კომპანიის საშუალო ფონდირების ხარჯების მიხედვით (საშუალო შეწონილი საპროცენტო ხარჯი ვრცელდება კვალიფიცირებულ აქტივებზე გაწეულ ხარჯებზე), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ფონდების სესხება ხდება კონკრეტულად კვალიფიცირებული აქტივის მიღების მიზნით. ასეთ დროს კაპიტალიზდება რეალურად გაწეული სესხების ხარჯებისა და ამ ნასესხები სახსრების დროებით ინვესტირების შემოსავლის სხვაობა.

მომავალი ხარჯებისა და გადახდების რეზერვი. მომავალი ხარჯებისა და გადახდების რეზერვი არის გაურკვეველი დროისა და ოდენობის არაფინანსური ვალდებულებები, რომლებიც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსული მოვლენიდან გამომდინარე; მოსალოდნელია, რომ ვალდებულების შესრულება მოითხოვს ეკონომიკური სარგებლის გადინებას; და მათი ოდენობა სარწმუნოდ იზომება. თუ ეფექტი მნიშვნელოვანია, რეზერვები განისაზღვრება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით გადასახადამდე განაკვეთით, რომელიც ასახავს ფულის დროში ღირებულების ბაზრისეულ შეფასებას და კონტექსტის მიხედვით, ვალდებულებისთვის დამახასიათებელ კონკრეტულ რისკებს.

სავაჭრო და სხვა გადასახდელები. სავაჭრო და სხვა გადასახდელები ირიცხება მაშინ, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს კონტრაქტით ნაკისრ ვალდებულებებს. სავაჭრო და სხვა გადასახდელები თავდაპირველად აისახება რეალური ღირებულებით, შემდგომში კი - ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. სავაჭრო გადასახდელები აისახება დღგ-ის ჩათვლით.

საწესდებო კაპიტალი. კომპანიის ნებადართული საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება (მათ შორის, საწესდებო კაპიტალის, წილებისა და სხვა) შესაძლებელია მხოლოდ კომპანიის აქციონერთა გადაწყვეტილებით. ნებადართული კაპიტალი კომპანიის საკუთარ კაპიტალში საწესდებო კაპიტალად აღიარდება აქციონერთა გადაწყვეტილებით.

მოგების გადასახადები. მოგების გადასახადები ირიცხება ანგარიშგების დღეს სრულად ან არსებითად ძალაში შესული საქართველოს კანონმდებლობით. 2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც ყველა პირისათვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა, ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს. სამომავლო მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრას 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრას 15%-იანი მოგების გადასახადით (ძველად მოქმედი მოდელით კომპანიის მოგებას გადასახადამდე 15%-იანი გადასახადი ერიცხებოდა იმის მიუხედავად, იგი კომპანიაში რჩებოდა თუ დივიდენდების სახით გაიშვებოდა).

მოგების გადასახადის დარიცხვის ახალი წესი ძალაშია 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რაც ვრცელდება კომპანიაზე. საგადასახადო ბაზა მოიცავს როგორც რეალურად განხორციელებულ, აგრეთვე განზრახულ მოგების განაწილებას, მათ შორის, შემდეგს:

- განაწილებული მოგება;
- გაწეული ხარჯები ან სხვა გადახდები, რომლებიც არ ეხება ეკონომიკურ საქმიანობას;
- საქონლის/მომსახურების უფასო მიწოდება ან/და სახსრების გადაცემა; და
- წარმომადგენლობითი ხარჯები, რომლებიც აჭარბებს საგადასახადო კოდექსით დადგენილ მაქსიმალურ თანხას.

განაწილებულ მოგებაზე მოგების გადასახადი აღიარდება როგორც ხარჯი დივიდენდების გამოცხადებისა და მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მოგების გადასახადად ჩაწერისთანავე. მიმდინარე საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები მიმდინარე და წინა პერიოდებისათვის აისახება იმ ოდენობით, რომელიც სავარაუდოდ, გადაეხდება საგადასახადო ორგანოებს ან მიიღება მათგან.

განაწილებულ მოგებაზე დარიცხულ გადასახადს გარდა სხვა გადასახადები აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში საგადასახადო ხარჯების სახით.

გადასახადების ცნების ცვლილების გამო ტერმინი „აქტივებისა და ვალდებულებების დასაბეგრი ბაზა" კარგავს დამახასიათებელ ეკონომიკურ ცნებას. ახალი საგადასახადო მოდელით ბასს 12 - მოგების

გადასახადის მიხედვით განსაზღვრული გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები და აქტივები ძალას კარგავს.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული გაშვებული საქონლის დამატებული ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებში გადაიხდება კლიენტებისათვის საქონლის ან მომსახურების მიწოდებისას. შემავალი დღგ ჩვეულებრივ იქვითება გამავალი დღგ-დან საგადასახადო ფაქტურის მიღებისას. საგადასახადო ორგანოები კომპანიებს ნებას რთავენ, დღგ ურთიერთჩათვალონ ნეტ საფუძველზე. გაყიდვებსა და შესყიდვებთან დაკავშირებული დღგ ნეტ საფუძველზე აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი აღირიცხება დებიტორის მთლიანი თანხით დღგ-ის ჩათვლით.

2015 წლის 31 დეკემბრიდან მოყოლებული, ხელმძღვანელობა კომპანიის საგადასახადო ნაშთებს წარადგენს ნეტ საფუძველზე, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 7 დეკემბრის №407 ბრძანების შესაბამისად.

შემოსავლის აღიარება. შემოსავალი აღიარდება დღგ-ის გარეშე. შემოსავლები აისახება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

ადგილობრივი გაყიდვები აისახება მიწოდებული ელექტროენერგიის საფუძველზე და გამოითვლება მოქმედი ტარიფებით.

საექსპორტო გაყიდვები და ელექტროენერგიის ტრანზიტი აღიარდება ელექტროენერგიის აღრიცხული გადაცემის საფუძველზე და გამოითვლება საკონტრაქტო ტარიფებით.

თანამშრომელთა ბენეფიტები. ხელფასები, ჯამაგირები, წლიური და ავადმყოფობის შვებულების ანაზღაურება, ბონუსები და სხვა ბენეფიტები (კვება, ცხოვრება, ტრანსპორტირება, ა.შ.) ირიცხება იმ პერიოდში, როდესაც კომპანიის თანამშრომლები შესაბამის მომსახურებას გასწევენ. კომპანიას არ გააჩნია სამართლებრივი თუ კონსტრუქციული ვალდებულება, თანამშრომლებს გადაუხადოს პენსია თუ მსგავსი ბენეფიტები.

ფინანსური შემოსავალი და ხარჯები. ფინანსური შემოსავალი და ხარჯები მოიცავს ნასესხებ სახსრებზე დარიცხულ საპროცენტო ხარჯს, საპროცენტო შემოსავალს ინვესტირებულ თანხებზე და უცხოური ვალუტის გაცვლით მიღებულ მოგებასა და ზარალს, რომლებიც დაკავშირებულია ნასესხებ სახსრებთან და ფულთან და ფულის ექვივალენტებთან.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველა საპროცენტო და სხვა ხარჯი აღიარდება ფინანსური ხარჯების ფარგლებში გაწეულად. რაც შეეხება კვალიფიცირებულ აქტივებთან დაკავშირებულ სესხების ხარჯებს, კომპანია ახდენს იმ ხარჯებს კაპიტალიზებას, რაც პირდაპირაა დაკავშირებული კვალიფიცირებული აქტივების შესყიდვასთან, დამზადებასთან ან წარმოებასთან, ამ აქტივის თვითღირებულების ფარგლებში.

საპროცენტო შემოსავალი აღიარდება დარიცხვისთანავე, აქტივზე ეფექტური ამონაგების გათვალისწინებით.

პრეზენტაციის ცვლილება. გამოცემის შემდგომ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების ნებისმიერი ცვლილება საჭიროა დამტკიცდეს კომპანიის ხელმძღვანელობის მხრიდან, რომელმაც გასცა დოკუმენტის გამოცემის ნებართვა.

4. ბუღალტრული აღრიცხვის კრიტიკული შეფასებები და დასკვნები ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანია იყენებს პროგნოზებს და დაშვებებს, რომელიც გავლენას ახდენს აქტივებისა და ვალდებულებების ასახულ ოდენობებზე მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში. პროგნოზებისა და შეფასებების ანალიზი ტარდება მუდმივად და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალი მოვლენების მოლოდინებს, რომლებიც გონივრულია არსებულ გარემოებებში. აღრიცხვის პროცედურების გამოყენებისას, ხელმძღვანელობა ასევე მიმართავს შეფასებებს, იმათ გარდა, რომლებიც მოიცავს პროგნოზებს. ის შეფასებები, რომელთაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ შუალედურ შემოკლებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშებში აღიარებულ თანხებზე და ის პროგნოზი, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ფინანსური წლის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი შესწორება, მოიცავს:

საგადასახადო კანონმდებლობა და რეზერვების აღრიცხვა. კომპანიის არასარწმუნო საგადასახადო პოზიციებს ხელმძღვანელობა აფასებს თითოეულ საანგარიშო დღეს. ვალდებულებები აღირიცხება იმ საგადასახადო პოზიციებისათვის, რომელთა შენარჩუნება, ხელმძღვანელობის აზრით, ნაკლებ სავარაუდოა, მათი საგადასახადო ორგანოების მხრიდან ეჭვქვეშ დაყენების შემთხვევაში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მომზადების თარიღისათვის უკვე მოქმედი ან არსებითად მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების საფუძველზე. საგადასახადო ვალდებულებები, მოგების გადასახადის ვალდებულების გარდა, აღიარდება ხელმძღვანელობის მხრიდან იმის პროგნოზის საფუძველზე, თუ რა ოდენობის ხარჯი იქნება საჭირო ანგარიშგების დღეს ვალდებულებების დასაფარად. რეალური დარიცხვები ამ საპროგნოზო თანხებისგან შეიძლება განსხვავდებოდეს.

დაკავშირებულ მხარესთან გარიგებების თავდაპირველი აღიარება. ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში, კომპანია გარიგებებს აფორმებს დაკავშირებულ მხარეებთან. ბასს 39-ით მოითხოვება, რომ ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება მოხდეს მათი რეალური ღირებულებით. შეფასება გამოიყენება იმის დასადგენად, გარიგებების ფასები საბაზრო საპროცენტო განაკვეთებითაა შეფასებული თუ არა, სადაც ამგვარი გარიგებებისთვის მოქმედი ბაზარი არ არსებობს. შეფასების საფუძველია დაკავშირებელ მხარეებთან მსგავსი სახის გარიგებების ფასი და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზი. დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთების პირობები განმარტებულია შენიშვნაში 6.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადა. ძირითადი საშუალებების პუნქტების სასარგებლო გამოყენების ვადების გაანგარიშება შეფასების საქმეა და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებით არსებულ გამოცდილებას. ამ აქტივებში ჩადებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის შთანთქმა ძირითადად მოხმარების მეშვეობით ხდება. ამასთან, სხვა ისეთი ფაქტორებიც, როგორიცაა ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა ხშირად იწვევს ამ აქტივებში ჩადებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მნიშვნელოვნად შემცირებას. მენეჯმენტი დარჩენილი სასარგებლო გამოყენების ვადების გაანგარიშებას ახორციელებს აქტივების მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობისა და იმ საანგარიშო პერიოდის გათვალისწინებით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია ჯგუფის მიერ ამ აქტივებიდან სარგებლის მიიღება. მხედველობაში მიიღება შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და ტექმომსახურების გეგმაზე; და (გ) საბაზრო პირობებში მომხდარი ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური და კომერციული მოძველება.

5. ახალი და შესწორებული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) გამოყენება

ფინანსურ ანგარიშებში ნაჩვენებ თანხებზე მოქმედი ფასს-ებში შეტანილი შესწორებები

მიმდინარე წელს კომპანიამ მიიღო შემდეგი ახალი და რედაქტირებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთაც ზეგავლენა იქონია წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ნაჩვენებ თანხებზე:

- შესწორება ბასს 7-ში „განმარტების ინიციატივა";
- შესწორება ბასს 12-ში „არარეალიზებული ზარალის გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება";
- ფასს წლიური გაუმჯობესების 2014-2016 ციკლი - შესწორება ფასს 12-ში.

შესწორებები ბასს 7 „განმარტების ინიციატივა"

კომპანიამ ეს შესწორებები პირველად მიმდინარე წელს გამოიყენა. შესწორებები კომპანიისგან მოითხოვს, ისეთი განმარტებები გააკეთოს წარმოდგენილი ინფორმაციის თაობაზე, რაც საშუალებას მისცემს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს, სათანადოდ შეაფასონ ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილ ვალდებულებათა როგორც ფულადი, აგრეთვე არაფულადი ცვლილებები.

კომპანიაში ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებები მოიცავს ნასესხებ სახსრებს (შენიშვნა 11) და რამდენიმე სხვა ფინანსურ ვალდებულებას. შესწორებათა გარდამავალი მუხლების შესაბამისად, კომპანიამ წინა პერიოდის შესადარი ინფორმაცია არ განმარტა. შესწორების ამოქმედებას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე არ უმოქმედია.

სხვა შესწორებები ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას არ ახდენს.

ახალი და რედაქტირებული, გამოქვეყნებული, მაგრამ ძალაში ჯერ არშესული ფასს-ები

კომპანია არ იყენებს შემდეგ ახალ და რედაქტირებულ, გამოქვეყნებულ მაგრამ ძალაში ჯერ არშესულ ფასს-ებს:

- ფასს 9 - *ფინანსური ინსტრუმენტები*[1];
- ფასს 15 – *შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან (და შესაბამისი განმარტებები)*[1];
- ფასს 16 - იჯარა[2];
- ფასს 17 - სადაზღვევო კონტრაქტები[3];
- ფაისკ 22 - *სავალუტო ოპერაციები და საავანსო ანაზღაურება*[1];
- ფაისკ 23 - *მოგების გადასახადის დამუშავებასთან დაკავშირებული არასარწმუნოება*[2];
- შესწორებები ფასს 2 - *იმ ტრანზაქციების კლასიფიკაცია და გაზომვა, რომელთა ანაზღაურება ხდება აქციების მეშვეობით*[1];
- შესწორებები ფასს 10 და ბასს 28 – *აქტივების გაყიდვა ან დაბანდება მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში*[4];
- შესწორებები ბასს 40 - *საინვესტიციო ქონების გადაცემა*[1];
- შესწორებები ფასს 4 - *„ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები" გამოყენება ფასს 4 „სადაზღვევო კონტრატებთან" ერთად*[1];
- შესწორებები ფასს 9 - წინასწარი გადახდის მახასიათებლები უარყოფითი ანაზღაურებით[2];
- ბასს 28 - მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში არსებული გრძელვადიანი წილები[2];
- ფასს-ების წლიური რედაქტირების 2014-2016 წწ. ციკლი[1];
- ფასს-ების წლიური რედაქტირების 2015-2017 წწ. ციკლი[2].

1. ძალაშია 2018 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.
2. ძალაშია 2019 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.
3. ძალაშია 2021 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.
4. ძალაშია ჯერ არგამოცხადებული თარიღიდან ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.

ფასს 9 *"ფინანსური ინსტრუმენტები"*

2009 წლის ნოემბერში გამოქვეყნებული ფასს 9 ახალ მოთხოვნებს აწესებს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და გაზომვის თვალსაზრისით. 2010 წლის ოქტომბერში ფასს-ში 9 შევიდა შესწორება, რომელით ითვალისწინებს მოთხოვნებს ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციის, გაზომვისა და აღიარების გაუქმების თვალსაზრისით. 2013 წლის ნოემბერში კი მას დაემატა ახალი მოთხოვნა ჰეჯირების ზოგად აღრიცხვასთან დაკავშირებით. 2014 წლის ივლისში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოაქვეყნა ფასს 9-ის რედაქტირებული ვერსია. იგი მთლიანობაში მოიცავს ა) ფინანსური აქტივების გაუფასურების მოთხოვნებს და ბ) მცირე შესწორებებს, რომლებიც ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და გაზომვის მოთხოვნებს ეხება, „სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული რეალური ღირებულების" ახალი კატეგორიის გათვალისწინებით, რომელიც გარკვეულ მარტივ სავალო ინსტრუმენტებს ეხება.

ფასს 9-ის ძირითადი მოთხოვნებია:

- **ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და გაზომვა.** ყველა აღიარებული ფინანსური აქტივი, რომელიც ფასს 9-ის მოქმედების არეალში ხვდება, შემდგომში უნდა აღირიცხოს ამორტიზებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით. კერძოდ, სავალო ინვესტიციები, რომლებსაც პირი ფლობს ისეთ ბიზნეს მოდელის ფარგლებში, რომლის მიზანია საკონტრაქტო ფულადი ნაკადების მიღება, და რომელ ინვესტიციებსაც გააჩნია საკონტრაქტო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითადი თანხისა და მასზე დარიცხული პროცენტის სახით, საზოგადოდ იზომება ამორტიზებული ღირებულებით შემდგომი საანგარიშო პერიოდების ბოლოს. სავალო ინვესტიციები, რომლებსაც პირი ისეთი ბიზნეს-მოდელით ფლობს, რისი მიზნებიც როგორც საკონტრაქტო ფულადი ნაკადების მიღებით, აგრეთვე ფინანსური აქტივების გაყიდვით მიიღწევა, და რომლებიც ისეთი საკონტრაქტო პირობებით ხასიათდება, რის შედეგადაც კონკრეტულ დღეებში წარმოიშობა ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითადი თანხისა და მის ნაშთზე დარიცხული პროცენტის სახით, ჩვეულებრივ იზომება სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული რეალური ღირებულებით. ყველა სხვა სავალო და წილობრივი ინვესტიცია აღირიცხება რეალური ღირებულებით შემდგომი საანგარიშო პერიოდების ბოლოს. გარდა ამისა, ფასს 9-ის მიხედვით, პირებს შეუძლიათ მიიღონ შეუქცევადი გადაწყვეტილება, წილობრივი ინვესტიციის (რომელიც არ არის გასაყიდად განკუთვნილი ან პირობითი ანაზღაურება, რომელსაც

შემსყიდველი აღიარებს ბიზნესის შერწყმის ტრანზაქციაში ფასს 3-ის მიხედვით) სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული რეალური ღირებულების ცვლილების შესახებ და მოგება-ზარალში მხოლოდ დივიდენდური შემოსავალი აღიაროს.

- **ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და გაზომვა.** რაც შეეხება მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით აღიარებული ფინანსური ვალდებულებების გაზომვას, ფასს 9 ითხოვს, რომ ამ ვალდებულების რეალური ღირებულების ცვლილება, რომელიც ამავე ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებითაა გამოწვეული, წარმოდგენილი იყოს სხვა სრულ შემოსავალში, თუ ამგვარი ცვლილებების აღიარება სხვა სრულ შემოსავალში არ ქმნის ან ზრდის ბუღალტრულ შეუსაბამობას მოგება-ზარალში. ფინანსური ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებით გამოწვეული ცვლილება რეალურ ღირებულებაში შემდგომში მოგება-ზარალში არ რეკლასიფიცირდება. ბასს 39-ის მიხედვით, მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით აღიარებული ფინანსური ვალდებულების რეალური ღირებულების მთელი ცვლილება აღირიცხება მოგება-ზარალში.
- **გაუფასურება.** ფინანსური აქტივების გაუფასურების თვალსაზრისით, ფასს 9 ითხოვს გაზომვის მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მოდელის არსებობას, რაც ბასს 39-ის გაწეული საკრედიტო დანაკარგის მოდელის საპირისპიროა. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მოდელი კომპანიას ავალდებულებს, ყოველ საანგარიშო დღეს აღრიცხოს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები და მათი ცვლილება ისე, რომ მან ასახოს საკრედიტო რისკის ცვლილება თავდაპირველი აღიარების შემდგომ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აღარ არის აუცილებელი საკრედიტო დანაკარგის აღიარებას წინ საკრედიტო ხდომილება უსწრებდეს.
- **ჰეჯირების აღრიცხვა.** ჰეჯირების აღრიცხვის ახალი ზოგადი მოდელი ინარჩუნებს ჰეჯირების აღრიცხვის მექანიზმების სამ ძირითად სახეს, რომელიც დღესდღეობით ასახულია ბასს 39-ში. ფასს 9 მეწარმეებს სთავაზობს უფრო მოქნილ მიდგომას ჰეჯირების აღრიცხვის ტრანზაქციების ტიპებთან მიმართებაში. კერძოდ, გაფართოებულია იმ ინსტრუმენტების სახეობათა რიგი, რომლებიც კლასიფიცირდება ჰეჯირების ინტრუმენტებად და არასაფინანსო ერთეულების რისკის კომპონენტების ისეთი ტიპების რაოდენობა, რომლებიც შეიძლება ჰეჯირების აღრიცხვისთვის გამოვიყენოთ. გარდა ამისა, ეფექტურობის ტესტი გაუქმდა და ჩანაცვლდა "ეკონომიკური ურთიერთობის" პრინციპით. ასევე აღარ არის საჭირო ჰეჯის ეფექტურობის რეტროსპექტიული შეფასება. ახსნა-განმარტებითი შენიშვნებისათვის შემოტანილია განმარტების გაზრდილი მოთხოვნები მეწარმის რისკის მართვის ღონისძიებებთან დაკავშირებით.

კომპანია ამჟამად სწავლობს ამ ახალი სტანდარტის ზეგავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 15 – შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

ფასს 15 მეწარმე პირებს კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვის ერთიან, სრულ მოდელს სთავაზობს. ძალაში შესვლის შემდეგ ფასს 15 ჩაანაცვლებს შემოსავლის აღიარების არსებულ პრინციპს, მათ შორის ბასს 18 – შემოსავლები, ბასს 11 – სამშენებლო კონტრაქტები და მათთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს.

ფასს 15-ის ამოსავალი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ კომპანიამ შემოსავალი ისე უნდა აღიაროს, რომ ამით ასახოს კლიენტებისათვის ნაკისრი საქონლისა თუ მომსახურების გადაცემა ისეთი თანხით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რის მიღებასაც პირი ვარაუდობს ამ საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ. კერძოდ, სტანდარტი გვთავაზობს შემოსავლის აღიარების ერთ, პრინციპებზე დაფუძნებულ, ხუთეტაპიან მოდელს:

- კლიენტთან არსებული კონტრაქტის იდენტიფიცირება;
- საკონტრაქტო ვალდებულებების იდენტიფიცირება;
- ტრანზაქციის ფასის დადგენა;
- ტრანზაქციის ფასის მიკუთვნება საკონტრაქტო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) კომპანია საკონტრაქტო ვალდებულებას შეასრულებს.

ფასს 15-ის მიხედვით, კომპანია შემოსავალს აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელსა თუ მომსახურებაზე „კონტროლი" კლიენტს გადაეცემა. უფრო კონსტრუქციული ხასიათის ინსტრუქცია დაემატა კონკრეტული სცენარების დამუშავების თვალსაზრისით. ახევე შემოდის შემოსავლის ვრცლად განმარტების ახალი მოთხოვნები.

2016 წლის აპრილში სტანდარტების საბჭომ გამოსცა ფასს 15-ის განმარტებები, რომლებიც ფინანსური შედეგების ვალდებულებების იდენტიფიცირებასთანაა დაკავშირებული და აგრეთვე ვრცელდება ძირითადი თანხისა და აგენტის ანაზღაურების საკითხებსა და ლიცენზირების თემებზე.

კომპანია ამჟამად სწავლობს ამ ახალი სტანდარტის ზეგავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 16 - იჯარა

ფასს 16-ში მოცემულია საიჯარო გარიგებების გამოვლენისა და იჯარის ხელშეკრულების ორივე მხარის აღრიცხვიანობის პრინციპები. ძალაში შესვლისას ეს სტანდარტი ჩაანაცვლებს იჯარის შესახებ არსებულ ბასს 17-სა და მასთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს.

ფასს 16-ში საიჯარო და მომსახურების კონტრაქტები ერთმანეთისგან განსხვავდება იმის მიხედვით, აკონტროლებს თუ არა მოცემულ აქტივს კლიენტი. საოპერაციო იჯარის (არასაბალანსო) და ფინანსური იჯარის (საბალანსო) განსხვავებები უქმდება და ნაცვლდება მოდელით, რომლის მიხედვით გამოყენების უფლების მატარებელი აქტივი და შესაბამისი ვალდებულება, ყველა სახის იჯარის შემთხვევაში, უნდა აღიაროს იჯარის მიმღებმა (ანუ ყველა საბალანსო იჯარისა). აღნიშნული არ ეხება დაბალღირებულებიანი აქტივების იჯარებსა და მოკლევადიან იჯარებს.

გამოყენების უფლების მქონე აქტივი თავდაპირველად აისახება თვითღირებულებით, შემდგომში კი (გამონაკლისების გათვალისწინებით) თვითღირებულებისა და დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის სხვაობით, რომელიც საიჯარო ვალდებულების ნებისმიერი გადაფასებისას კორექტირდება. საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად აისახება აღიარების დღეს გადაუხდელი საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით. ამის შემდგომ საიჯარო ვალდებულება კორექტირდება პროცენტისა და საიჯარო გადახდების ოდენობით, აგრეთვე, სხვა ფაქტორთა შორის, იჯარის ცვლილების გათვალისწინებით. გარდა ამისა, ცვლილება ეხება ფულადი ნაკადების კლასიფიკაციას, რადგან ბასს 17-ით გათვალისწინებული საოპერაციო იჯარის გადახდები საოპერაციო ფულად ნაკადებში აისახება; მეორე მხრივ, ფასს 16-ის მოდელით, საიჯარო გადახდები იყოფა ძირითად და პროცენტის ნაწილებად და, შესაბამისად, შედის ფინანსური და საოპერაციო ფულადი ნაკადების გაანგარიშებაში. იჯარის მიმღების მხარეს არსებული აღრიცხვისგან განსხვავებით, ფასს 16-ში იჯარის გამცემის მხრიდან აღრიცხვიანობის პრინციპები ბასს 17-თან შედარებით მნიშვნელოვანწილად იგივეა. აქაც იჯარის გამცემი მოვალეა, იჯარა ან საოპერაციო იჯარად ჩათვალოს ან ფინანსურ იჯარად.

კომპანია ამჟამად სწავლობს ამ ახალი სტანდარტის ზეგავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფაისკ 22 სავალუტო ოპერაციები და საავანსო ანაზღაურება

ფაისკ 22 განმარტავს, თუ როგორ უნდა დადგინდეს „ტრანზაქციის თარიღი" აქტივის, ხარჯის ან შემოსავლის თავდაპირველი აღიარებისას გაცვლითი კურსის დაფიქსირების მიზნით, როდესაც ამ ერთეულის ანაზღაურება იხდება ან მიიღება ავანსად უცხოურ ვალუტაში და ამ ქმედებამ გამოიწვია არაფულადი აქტივის ან არაფულადი ვალდებულების (მაგალითად, აუნაზღაურებადი დეპოზიტის ან გადავადებული შემოსავლის) აღიარება.

ინტერპრეტაცია აკონკრეტებს, რომ ტრანზაქციის თარიღი არის ის დღე, როდესაც კომპანიამ თავდაპირველად აღიარა არაფულადი აქტივი ან არაფულადი ვალდებულება ავანსის გადახდის ან მიღების შედეგად. ავანსის რამდენიმე ნაწილად გადახდის ან მიღების შემთხვევაში, ინტერპრეტაცია კომპანიას ავალდებულებს, ტრანზაქციის თარიღად დაადგინოს ავანსის თითოეული გადახდის ან მიღების დღე.

ინტერპრეტაცია ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ვადამდელი გამოყენება ნებადართულია. კომპანიებს შეუძლიათ შესწორება გამოიყენონ რეტროსპექტიულად ან პროსპექტიულად. შესწორებაში მოცემულია სპეციფიური გარდამავალი დებულებებიც პროსპექტიული გამოყენების შემთხვევებისათვის.

კომპანიის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ ამ ინტერპრეტაციის გამოყენება არსებით ზეგავლენას იქონიებს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე, რადგან იგი უკვე იყენებს ფაისკ 22-ში მითითებულ მიდგომას.

ფასს-ების წლიური რედაქტირების 2015-2017 წწ. ციკლი

ფასს-ების წლიური რედაქტირების 2015-2017 წწ. ციკლი მოიცავს რამდენიმე სტანდარტის შესწორებას.

ფასს 3-ის შესწორება განმარტავს, რომ თუ კომპანიამ კონტროლი დაამყარა ისეთ ბიზნესზე, რომელიც ერთობლივ საქმიანობას წარმოადგენს, მან ხელახლა უნდა შეაფასოს ამ ბიზნესში ფლობილი წილები. ფასს 11-ის შესწორება განმარტავს, რომ თუ კომპანიამ ერთობლივი კონტროლი დაამყარა ისეთ ბიზნესზე, რომელიც ერთობლივ საქმიანობას წარმოადგენს, მან ხელახლა არ უნდა შეაფასოს ამ ბიზნესში ფლობილი წილები.

ბასს 12-ის შესწორება განმარტავს, რომ დივიდენდების (ანუ მოგების განაწილების) მოგების გადასახადზე მოქმედი შედეგები მოგება-ზარალის ანგარიშგებაში უნდა აღიარდეს იმის მიუხედავად, თუ როგორ წარმოიშვა გადასახადი.

ბასს 23-ის შესწორება განმარტავს, რომ თუ შესაბამისი აქტივის გამოსაყენებლად ან გასაყიდად გამზადების შემდეგ დასაფარი დარჩა ნასესხები სახსრების რაიმე ნაწილი, ნასესხებ სახსრებზე კაპიტალიზაციის კოეფიციენტის გამოთვლის პროცესში ეს სესხი უნდა შევიდეს იმ თანხებში, რომლებსაც კომპანია ზოგადად სესხულობს.

ყველა შესწორება ძალაშია 2019 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის.

კომპანიის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ ამ შესწორებათა გამოყენება არსებით ზეგავლენას იქონიებს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

6. ნაშთები და ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები დაკავშირებულად ითვლებიან, თუ ისინი იმყოფებიან ერთობლივ კონტროლქვეშ ან რომელიმე მათგანს გააჩნია უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან იქონიოს მნიშვნელოვანი ზეგავლენა ან ერთობლივად გააკონტროლოს მეორე მხარე ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებში. თითოეული ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ურთიერთობის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას.

კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ტრანზაქციები სხვა კომპანიებთან, რომლებიც მასთან დაკავშირებულები არიან საერთო მაკონტროლებელი მხარის მიერ კონტროლირებული პირების საშუალებით, აგრეთვე ტრანზაქციები კომპანიასა და ხელმძღვანელობას შორის, წარიმართება საბაზრო განაკვეთებით, რომლებიც არ არის არადაკავშირებულ მხარეებთან არსებულ ტრანზაქციებში გამოყენებულ განაკვეთებზე უფრო ხელსაყრელი.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები იყო:

ქართულ ლარში	შენიშვნა	სხვა აქციონერი	პირები ერთობლივ კონტროლქვეშ
სხვა მოთხოვნები		-	38,235
ნასესხები სახსრები:			
- ძირითადი თანხა	11	144,402,986	-
- სესხზე გადასახდელი პროცენტი (განაკვეთი: 6.53%)	11	2,041,880	-

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები იყო:

ქართულ ლარში	შენიშვნა	სხვა აქციონერი	პირები ერთობლივ კონტროლქვეშ
სხვა მოთხოვნები		-	60,073
ნასესხები სახსრები:			
- ძირითადი თანხა	11	148,994,957	-
- სესხზე გადასახდელი პროცენტი (განაკვეთი: 4.76%)	11	1,538,728	-

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ წელს დაკავშირებულ მხარეებთან შემოსავლისა და ხარჯების პუნქტები იყო:

ქართულ ლარში	შენიშვნა	სხვა აქციონერი	პირები ერთობლივ კონტროლქვეშ
ელექტროენერგიის გაყიდვა	13	-	10,787,225
სხვა შემოსავალი		-	56,806
მომსახურების ხარჯები		-	746,303
საპროცენტო ხარჯი	11,19	8,478,886	-
სხვა ფინანსური ხარჯი	19	331,255	-

სხვა შემოსავალი მიიღება შპს „ხელედულა ენერჯისათვის" მიწოდებული ზოგადი და ადმინისტრაციული მომსახურებიდან. შემოსავალი აღიარდება ნეტ საფუძველზე, რადგან მიწოდებულ მომსახურებაში გამოყენებული რესურსები მოიცავს პერსონალის ანაზღაურებას, მომსახურებისა და სხვა საოპერაციო ხარჯებს.

2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ წელს დაკავშირებულ მხარეებთან შემოსავლისა და ხარჯების პუნქტები იყო:

ქართულ ლარში	შენიშვნა	სხვა აქციონერი	პირები ერთობლივ კონტროლქვეშ
ელექტროენერგიის გაყიდვა	13	-	15,256,286
სხვა შემოსავალი		-	31,004
მომსახურების ხარჯები		-	700,253
პერსონალის ანაზღაურება			11,265
საპროცენტო ხარჯი	11	9,678,231	-
სხვა ფინანსური ხარჯი	19	118,871	-

უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურება. უმაღლესი ხელმძღვანელობა მოიცავს კომპანიის გენერალურ მენეჯერს, ფინანსურ დირექტორსა და კომერციულ დირექტორს.

ქვემოთ წარმოდგენილია უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურება:

	2017		2016	
ქართულ ლარში	ხარჯი	დარიცხული ვალდებულება	ხარჯი	დარიცხული ვალდებულება
მოკლევადიანი ბენეფიტები:				
- ხელფასები	1,505,769	-	1,413,094	-
- მოკლევადიანი ბონუსები	247,949	37,194	228,874	34,331
სულ	**1,753,718**	**37,194**	**1,641,968**	**34,331**

7. ძირითადი საშუალებები

ათას ლარში	მიწა და შენობა-ნაგებობები	ტრანსფორმატორები, გენერატორები და ჰესებთან დაკავშირებული ტექნიკა	გადამცემი ხაზები და შესაბამისი ტექნიკა	ინფრასტრუქტურული აქტივები	მანქანა-დანადგარები	ავეჯი და სხვა მოწყობილობები	სატრანსპორტო საშუალებები	დაუმონტაჟებელი მოწყობილობები	სულ
თვითღირებულება									
1 იანვარი 2016	209,781,798	82,550,409	12,679,377	2,077,761	5,578,672	764,632	507,954	534,895	314,475,498
დამატება	-	-	-	-	162,496	156,132	91,816	-	410,444
რეალიზაცია	-	-	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2016	209,781,798	82,550,409	12,679,377	2,077,761	5,741,168	920,764	599,770	534,895	314,885,942
დამატება	-	-	-	-	42,508	12,601	-	-	55,109
რეალიზაცია	-	-	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2017	209,781,798	82,550,409	12,679,377	2,077,761	5,783,676	933,365	599,770	534,895	314,941,051
დაგროვილი ცვეთა									
1 იანვარი 2016	(6,089,848)	(6,862,085)	(316,344)	(527,173)	(2,269,126)	(425,504)	(397,279)	-	(16,887,359)
ცვეთის დარიცხვა	(4,193,421)	(5,518,436)	(254,282)	(105,903)	(813,467)	(97,962)	(64,270)	-	(11,047,741)
31 დეკემბერი 2016	(10,283,269)	(12,380,521)	(570,626)	(633,076)	(3,082,593)	(523,466)	(461,549)	-	(27,935,100)
ცვეთის დარიცხვა	(4,181,962)	(5,503,360)	(253,587)	(105,615)	(840,393)	(109,265)	(53,878)	-	(11,048,060)
31 დეკემბერი 2017	(14,465,231)	(17,883,881)	(824,213)	(738,691)	(3,922,986)	(632,731)	(515,427)	-	(38,983,160)
საბალანსო ღირებულება									
31 დეკემბერი 2016	199,498,529	70,169,888	12,108,751	1,444,685	2,658,575	397,298	138,221	534,895	286,950,842
31 დეკემბერი 2017	195,316,567	64,666,528	11,855,164	1,339,070	1,860,690	300,634	84,343	534,895	275,957,891

დაუმონტაჟებელი მოწყობილობები მოიცავს სათადარიგო ტრანსფორმატორებსა და ჰეს-ების მოწყობილობათა სხვა ნაწილებს, რომლებიც აუცილებელია მსხვილი სარემონტო სამუშაოებისათვის.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გარდა ინფრასტრუქტურული აქტივებისა და დაუმონტაჟებელი მოწყობილობებისა, შპს „საქართველო - ურბან ენერჯის" ძირითადი საშუალებების უდიდესი ნაწილი დატვირთული იყო გირაოთი, როგორც ერგბ-ისა და სსკ-ის სესხების უზრუნველსაყოფად (შენიშვნა 11).

8. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

ქართულ ლარში	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
სავაჭრო მოთხოვნები	3,286,359	3,435,647
სხვა მოთხოვნები	38,235	60,073
სულ ფინანსური მოთხოვნები სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ფარგლებში	**3,324,594**	**3,495,720**
დასაბრუნებელი დღგ	239,158	742,967
წინასწარ გადახდილი ხარჯები	73,648	201,754
ავანსები თანამშრომლებზე	5,919	26,981
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**3,643,319**	**4,467,422**

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო მოთხოვნების ნაშთი წარმოშობილია ადგილობრივი ბაზრის ოპერატორ ს.ს. „ელექტროსისტემის კომერციულ ოპერატორზე“ ელექტროენერგიის მიყიდვით.

9. ფული და ფულის ექვივალენტები

ქართულ ლარში	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
მოკლევადიანი დეპოზიტები	3,110,640	-
დაგროვილი პროცენტი ბანკში განთავსებულ დეპოზიტებზე	2,585	-
მიმდინარე ანგარიშები ბანკები	726,466	3,780,303
ნაღდი ფული ხელზე	1,708	1,155
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	**3,841,399**	**3,781,458**

მთლიანი ფული და ფულის ექვივალენტები კლასიფიცირდება მიმდინარედ და გაუფასურების გარეშე არსებულად. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 3,535,370 ლარის ექვივალენტი (31 დეკემბერი 2016: 3,335,504) ფლობილი იყო აშშ დოლარში.

კომპანია ლარში დენომინირებულ მიმდინარე ანგარიშებზე იღებს წლიურ პროცენტს ნულიდან 7%-მდე, ხოლო აშშ დოლარში დენომინირებულ მიმდინარე ანგარიშებზე - ნულიდან 1.5%-მდე.

კომპანიას ჭარბი ფული მოკლევადიანი დეპოზიტების სახით, 52 დღემდე ვადით განთავსებული აქვს „ალტერნატივბანკ ა.ს.“-ში („ბანკი“). დეპოზიტებზე დადგენილი საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ 4%. დეპოზიტები დენომინირებულია აშშ დოლარში.

10. საწესდებო კაპიტალი

ქართულ ლარში	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
აქციონერების მიერ შეტანილი კაპიტალი აქციების გამოშვების გარდა	123,638,980	123,638,980

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ნებადართული და სრულად გადახდილი საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 123,638,980 ლარს და მოიცავდა „ანადოლუ კაფკასია ენერჯი იატირიმლარი ანონიმ შირკეტის“ გადახდილ 115,333,480 ლარსა და ერგბ-ის მიერ გადახდილ 8,305,500 ლარს.

11. ნასესხები სახსრები

ქართულ ლარში	31 დეკემბერი 2017 მიმდინარე ვალდებულებები	31 დეკემბერი 2017 გრძელვადიანი ვალდებულებები	31 დეკემბერი 2016 მიმდინარე ვალდებულებები	31 დეკემბერი 2016 გრძელვადიანი ვალდებულებები
გრძელვადიანი სესხები - ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (ერგბ) - შენიშვნა 6	4,580,774	141,864,092	16,817,983	133,715,702
გრძელვადიანი სესხები - საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (სსკ)	3,687,611	116,070,620	13,707,363	109,403,757
გრძელვადიანი სესხები - „თურქიე სინაი კალკინმა ბანკასი ა.ს.“ (თსკბ)	22,870,389	-	29,101,595	-
გრძელვადიანი სესხი - „აკბანკი“	3,274,093	-	3,337,174	-
სულ ნასესხები სახსრები	**34,412,867**	**257,934,712**	**62,964,115**	**243,119,459**

2011 წლის 22 ივნისს, კომპანიამ, ერგბ-მა და სსკ-მ ხელი მოაწერეს დაფინანსების ზოგადი პირობების ხელშეკრულებას ფარავნის ჰესის მშენებლობის, დასრულებისა და ექსპლუატაციაში შეყვანის („პროექტი“) და პროექტის მიმდინარეობასთან დაკავშირებული ზოგიერთი სხვა დანახარჯის დასაფინანსებლად. ხელშეკრულების პირობების მიხედვით, ერგბ და სსკ დათანხმდნენ, კომპანიისათვის სესხის სახით გადაეცათ, შესაბამისად, 63,500,000 აშშ დოლარი და 52,000,000 აშშ დოლარი.

კომპანიამ სესხის ძირითადი თანხის დაფარვა დაიწყო 2015 წლის ოქტომბერში.

2017 წლის 12 აპრილს კომპანიამ, „ანადოლუ ენდუსტრი ჰოლდინგ ა.ს.“-მ, „ანადოლუ კაფკასია ენერჯი იატირიმლარი ა.ს.“-მ, ერგბ-მა და სსკ-მ ხელი მოაწერეს შესწორების ხელშეკრულებას ზოგიერთი ფინანსური შეთანხმების თაობაზე. შესწორების თანახმად, კომპანია ძირითად თანხას გადაიხდის გაგრძელებულ ვადაში, 2029 წლის ოქტომბრამდე, ნაცვლად თავიდან შეთანხმებული 2026 წლის აპრილისა.

სსკ-ის სესხებზე საპროცენტო განაკვეთი განსაზღვრულია ზღვრული 5%-ისა და ექვსი თვის ლიბორის ჯამით. ერგბ-ის სესხებზე განაკვეთია ზღვრული 5%-ისა და ბაზრის ჩავარდნის ეფექტზე კორექტირებული პერიოდის ბანკთაშორისი განაკვეთის ჯამი. ზღვარი 2019 წლის 22 ივნისიდან 5.35%-მდე გაიზრდება.

2016 წლის 13 აპრილს კომპანიამ ხელი მოაწერა მოკლევადიან სასესხო ხელშეკრულებას „აკბანკთან“ 2,500,000 აშშ დოლარის ოდენობის მთლიან თანხაზე, წლიური 3.9%. სესხის მიზანი საბრუნავი კაპიტალის დაფინანსებაა. 2016 წლის 4 მაისს კომპანიამ დარჩენილი ნაშთის 1,250,000 აშშ დოლარი დაფარა. 2017 წლის 13 აპრილს სასესხო ხელშეკრულება ერთი წლით გახანგრძლივდა.

2017 წლის 30 ოქტომბერს კომპანიამ წელი მოაწერა საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებას „თსკბ“-თან 10,000,000 აშშ დოლარის ლიმიტით. ამ სესხის მიზანი იყო „ალტერნატივბანკ ა.ს.“-გან („აბანკი“) საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების თანახმად მიღებული 8,750,000 აშშ დოლარიანი სესხის დარჩენილი ნაწილის დაფარვა. საპროცენტო განაკვეთი განსაზღვრულია ზღვრული 5%-ისა და ექვსი თვის ლიბორის ჯამით. სესხი კომპანიამ მიიღო სამ ნაწილად, თითოეული 1 წლის ვადით. პროცენტი იხდება ექვს თვეში ერთხელ, ძირითადი თანხა - ვადის ამოწურვისას.

ნასესხები სახსრების მოძრაობა 2017 წლის განმავლობაში იყო:

ქართულ ლარში	ერგბ	სსკ	თსკბ	აბანკი	აკბანკი	სულ
1 იანვარი 2017	150,533,685	123,111,120	-	29,101,595	3,337,174	306,083,574
დამატება წლის განმავლობაში	-	-	23,462,925	22,282,970	-	45,745,895
წლიური პროცენტი (შენიშვნა 19)	8,478,886	6,946,202	188,639	1,168,110	141,283	16,923,120
გადახდილი პროცენტი	(7,869,532)	(6,447,090)	-	(1,757,166)	(133,543)	(16,207,331)
გადახდილი ძირითადი თანხა	(1,474,378)	(1,207,797)	-	(50,600,275)	-	(53,282,450)
საკურსო სხვაობა, წმინდა	(3,223,796)	(2,644,204)	(781,175)	(195,234)	(70,820)	(6,915,229)
31 დეკემბერი 2017	146,444,865	119,758,231	22,870,389	-	3,274,094	292,347,579

ნასესხები სახსრების მოძრაობა 2017 წლის განმავლობაში იყო:

ქართულ ლარში	ერგბ	სსკ	აბანკი	აკბანკი	სულ
1 იანვარი 2016	146,799,216	120,060,596	31,731,577	-	298,591,389
დამატება წლის განმავლობაში	-	-	44,312,750	5,681,750	49,994,500
წლიური პროცენტი (შენიშვნა 19)	9,678,231	7,923,772	1,440,751	93,667	19,136,421
გადახდილი პროცენტი	(5,881,969)	(4,822,885)	(1,351,046)	(64,546)	(12,120,446)
გადახდილი ძირითადი თანხა	(13,335,289)	(10,932,764)	(51,010,950)	(2,779,750)	(78,058,753)
საკურსო სხვაობა, წმინდა	13,273,496	10,882,401	3,978,513	406,053	28,540,463
31 დეკემბერი 2016	**150,533,685**	**123,111,120**	**29,101,595**	**3,337,174**	**306,083,574**

მიმდინარე ნასესხები სახსრების რეალური ღირებულება მათი საბალანსო ღირებულების ტოლია, რადგან დისკონტირების ეფექტი მნიშვნელოვანი არ არის. რეალური ღირებულებები ეფუძნება საშუალო განაკვეთით გაანგარიშებული განაკვეთით (5.3%; 2016: 4.9%) დისკონტირებულ ფულად ნაკადებს და წარმოადგენს რეალური ღირებულების იერარქიის მეორე დონეს.

12. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

ქართულ ლარში	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
გადასახდელები მომწოდებლების მიმართ	21,506	35,766
დარიცხული თანამშრომელთა ბენეფიტები	29,755	27,556
დარიცხული საკომისიოები	199,701	90,164
სულ სავაჭრო და სხვა გადასახდელები	**250,962**	**153,486**

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დარიცხული საკომისიოები მოიცავს ტექნიკური აუდიტის მომსახურების ანაზღაურებას - 91,269 ლარი (31 დეკემბერი 2016: ნული), წლიური ფინანსური აუდიტის მომსახურების ანაზღაურებას - 43,179 ლარი (31 დეკემბერი 2016: 56,218 ლარი), თავისუფალი ფულის გადარიცხვის მონიტორინგის მომსახურებას - 38,883 ლარი (31 დეკემბერი 2016: ნული), ექსპორტის პროგნოზიდან არაექსპორტირებული ელექტროენერგიის საკონტრაქტო ანაზღაურებას - 15,416 ლარი (31 დეკემბერი 2016: ნული), გადასახდელებს სესხის პროცენტზე - 9,432 ლარის (31 დეკემბერი 2016: 32,424 ლარი) ექვივალენტი აშშ დოლარში და სხვა გადასახდელებს 1,522 ლარი (31 დეკემბერი 2016: 1,522 ლარი).

13. შემოსავალი

ქართულ ლარში	2017	2016
ელექტროენერგიის გაყიდვა ადგილობრივ ბაზარზე	26,523,421	27,815,201
ელექტროენერგიის გაყიდვა უცხოურ ბაზარზე	10,787,225	15,256,286
სულ შემოსავალი	**37,310,646**	**43,071,487**

შემოსავალი წარმოდგენილია ნეტ საფუძველზე. საექსპორტოდ „ელექტროენერგიის ბაზრის ოპერატორისგან“ (ესკო) დასაბალანსებლად შესყიდული ელექტროენერგიის ღირებულება 86,739 ლარის ოდენობით (2016: 226,913 ლარი) მთლიანი შემოსავლიდან გამოკლებულია.

14. მომსახურების ხარჯები

ქართულ ლარში	2017	2016
დისპეჩერიზაციასთან, გადაცემასა და ელექტროენერგიის სხვაგვარად გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები	4,960,328	5,786,236
დაზღვევის ხარჯები	607,934	654,298
ინფორმაციის, კონსულტაციისა და სხვა პროფესიული ხარჯები	383,994	852,818
დაცვის ხარჯები	242,034	242,034
ქირის ხარჯები	102,713	100,887
ტრანსპორტაციის ხარჯები	66,240	66,240
სხვა ხარჯები	10,755	13,800
სულ მომსახურების ხარჯები	**6,373,998**	**7,716,313**

დისპეჩერიზაციასთან, გადაცემასა და ელექტროენერგიის სხვაგვარად გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები მოიცავს მომსახურების ანაზღაურებას - სულ 2,433,228 ლარი (2016: 2,908,905 ლარი), რომელიც კომპანიამ გადაიხადა ჰესის მიერ გენერირებული ელექტროენერგიის საზღვარზე მისაწოდებლად, რა მომსახურებაც გასწიეს მომსახურების მიმწოდებლებმა, როგორებიცაა ს.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ (სსე), შპს „ენერგოტრანსმა“ და ს.ს. „საქრუსენერგომ“ და 1,402,379 ლარს (2016: 2,119,049 ლარი), რომელიც კომპანიამ გადაიხადა გარანტირებულ სიმძლავრესა და ესკოს მიერ მოწოდებულ ზოგად მომსახურებაში. ეს ხარჯები აგრეთვე მოიცავს კომპენსაციას 1,124,721 ლარის ოდენობით (2016: 758,282 ლარი).

დაზღვევის ხარჯები მოიცავს კომპანიის ოპერაციებთან დაკავშირებული დაზღვევის ხარჯებს, როგორიცაა მანქანა-დანადგარების მსხვილი ავარიისა და ბიზნესის შეწყვეტისგან დაზღვევის ხარჯს - 517,476 ლარი (2016: 561,709 ლარი), მესამე მხარის ვალდებულებათა დაზღვევის ხარჯს - 25,913 ლარი (2016: 34,486 ლარი), პოლიტიკური ძალადობისგან დაზღვევის ხარჯს - 42,096 ლარი (2016: 27,313 ლარი) და სხვა დაზღვევის ხარჯებს სულ 22,449 ლარის ოდენობით (2016: 30,790 ლარი).

15. პერსონალის ხარჯები

ქართულ ლარში	2017	2016
ხელფასები	3,181,520	3,167,653
სურსათით მომარაგება	104,739	106,635
თანამშრომელთა ტრენინგი	44,602	29,934
დაზღვევა	27,397	27,503
სულ პერსონალის ხარჯები	**3,358,258**	**3,331,725**

16. საგადასახადო ხარჯი

ქართულ ლარში	2017	2016
ქონებისა და მიწის გადასახადი	2,708,925	2,507,283
სხვა გადასახადები	14,629	17,599
სულ საგადასახადო ხარჯი	**2,723,554**	**2,524,882**

17. სხვა საოპერაციო ხარჯები

ქართულ ლარში	2017	2016
ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის რეგულირების ხარჯი	96,196	105,619
ავტომანქანისა და საწვავის ხარჯები	66,269	64,794
რემონტის ხარჯები	63,327	148,220
კავშირგაბმულობის ხარჯები	20,996	25,117
საქველმოქმედო ხარჯები	20,000	1,950
კომუნალური ხარჯები	18,589	26,882
საოფისე ხარჯები	11,726	9,039
მივლინების ხარჯები	10,512	24,870
მასალების ხარჯები	6,292	8,090
წარმომადგენლობითი ხარჯები	300	5,741
სხვა ხარჯები	78,240	40,072
სულ სხვა საოპერაციო ხარჯები	**392,447**	**460,394**

18. ფინანსური შემოსავალი

ქართულ ლარში	2017	2016
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება, წმინდა	5,876,102	-
საპროცენტო შემოსავალი	151,344	143,047
სულ ფინანსური შემოსავალი	**6,027,446**	**143,047**

19. ფინანსური ხარჯები

ქართულ ლარში	2017	2016
საპროცენტო ხარჯები (შენიშვნა 11)	16,923,120	19,136,421
ბანკის საკომისიო	4,408	5,497
სხვა ფინანსური ხარჯები	650,429	232,779
საკურსო სხვაობით მიღებული ზარალი, წმინდა	-	28,463,776
სულ ფინანსური ხარჯები	**17,577,957**	**47,838,473**

სხვა ფინანსურ ხარჯებში შედის ერგბ-ისა და სსკ-ის სესხების რესტრუქტურიზაციასთან დაკავშირებული იურიდიული, აუდიტორული და ადმინისტრაციული მომსახურების ხარჯები - 370,167 ლარი (2016: ნული), ბანკების საკონსულტაციო კომპანიის მიერ გაწეული თავისუფალი ფულის გადარიცხვის მონიტორინგის მომსახურების ხარჯები - 163,227 ლარი (2016: ნული), მმართველობის ანაზღაურება - 49,195 ლარი (2016: 11,263 ლარი), რომელიც კომპანიამ გადაუხადა სსკ-ს 2011 წლის 20 სექტემბრის აქციონერთა ხელშეკრულების თანახმად, და „აბანკისა“ და „თსკბ“-ის სესხების პროცენტზე დარიცხული გადასახადი 67,838 ლარის ოდენობით (20016: 102,645 ლარი).

20. მოგების გადასახადი

მოგება-ზარალში აღიარებული მოგების გადასახადი

	2017	2016
მიმდინარე გადასახადი	-	-
გადავადებული საგადასახადო (ხარჯი)/სარგებელი	-	(4,559,394)
სულ მიმდინარე წელს აღიარებული მოგების გადასახადის სარგებელი	-	(4,559,394)

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა მიიღო, ხოლო პრეზიდენტმა ხელი მოაწერა კორპორაციული საგადასახადო კოდექსის ცვლილებებს, რომლებიც ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს. კოდექსი ქართულ კომპანიებსა და არარეზიდენტი კომპანიების მუდმივ წარმომადგენლობებზე, აგრეთვე გარკვეულ საფინანსო ინსტიტუტებზე ვრცელდება.

წინა საგადასახადო რეჟიმი, რომლის მიხედვით, კომპანიები წლიური დასაბეგრი მოგების მიხედვით იხდიდნენ გადასახადს, ჩანაცვლდა სისტემით, რომლის მიხედვით გადასახადის გადახდა მოხდება მხოლოდ კორპორაციული მოგების განაწილების შემთხვევაში.

აღნიშნულმა ცვლილებამ მყისიერი ეფექტი იქონია კომპანიების გადავადებულ გადასახადზე, რადგან გაქრა დროებითი სხვაობები გარკვეული აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და საგადასახადო ბაზისებს შორის. ცვლილების შედეგად, გადავადებული საგადასახადო ვალდებულების ნაშთი, რომელიც წინა პერიოდებში წარმოშობილ, აღიარებულ დროებით სხვაობებს განეკუთვნებოდა, 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში სრულად ჩამოიწერა.

21. პირობითი ვალდებულებები

გადასახადები. საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება კანონმდებლობის ხშირი ცვლილებით, დასკვნებითა და სასამართლოს გადაწყვეტილებებით, რომლებიც ხშირად ბუნდოვანია, ურთიერთსაწინააღმდეგო და მრავალგვარი ინტერპრეტაციის პოტენციალით იმის მიხედვით, თუ მას რომელი საგადასახადო ორგანო განმარტავს. ხშირად ადგილი აქვს საგადასახადო შემოწმებას სხვადასხვა სახელმწიფო ორგანიზაციის მხრიდან, რომელთაც აქვთ უფლებამოსილება, კომპანიებს დააკისრონ მძიმე ჯარიმები და პროცენტები. საგადასახადო წელი შეიძლება შემოწმდეს ოთხი მომდევნო კალენდარული წლის განმავლობაში, ზოგ შემთხვევაში კი - უფრო დიდი ხნის მანძილზეც.

ამ პირობებიდან გამომდინარე საქართველოში შეიძლება გაჩნდეს ისეთი საგადასახადო რისკები, რომლებიც არსებითად უფრო მძიმე იქნება, ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ მას დაფარული აქვს საგადასახადო ვალდებულებები შესაბამისი საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური დასკვნებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების მისეული ინტერპრეტაციიდან გამომდინარე. თუმცა, სხვა ორგანოთა ინტერპრეტაციები შესაძლოა განსხვავებული აღმოჩნდეს და თუ ორგანოებმა თავისი ინტერპრეტაციით მუშაობა შეძლეს, ამის ეფექტი წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე შეიძლება მნიშვნელოვანიც აღმოჩნდეს. 2017 წლის 21 თებერვალს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტმა კომპანიას მიაწოდა ორდერ №4187, რის შედეგადაც, 2014 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე კომპანიის ფინანსურ ინფორმაციას ჩაუტარდა საგადასახადო აუდიტი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოცემის დღისათვის ეს პერიოდები დაიხურა და შემოწმებას აღარ ექვემდებარება.

გარემოს დაცვა. საქართველოში გარემოსდაცვითი რეგულირების აღსრულება ახლახანს დაიწყო და სახელმწიფო ორგანოთა მხრიდან აღსრულების პრაქტიკა მუდმივად იცვლება. კომპანია პერიოდულად ამოწმებს გარემოსდაცვითი რეგულაციების დაცვის მხარეს. ვალდებულებათა დადგენისთანავე ხდება მათი აღიარება. პოტენციური ვალდებულებები, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას არსებული რეგულაციების აგრეთვე სამოქალაქო პროცესებისა თუ კანონმდებლობის ცვლილების შედეგად, სარწმუნოდ არ იზომება, თუმცა, შეიძლება მნიშვნელოვანიც აღმოჩნდეს. არსებულ აღსრულების გარემოში, მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ მიყენებული ეკოლოგიური ზიანით გამოწვეული მნიშვნელოვანი ვალდებულებები არ გააჩნია.

ინვესტიციები. 2017 წლის 29 მაისს კომპანიამ და საქართველოს მთავრობამ ხელი მოაწერეს ურთიერთგაგების მემორანდუმს საქართველოს სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, მდინარე ფარავანზე 85 მეგავატიანი ჰიდროელექტრო სადგურის მშენებლობის თაობაზე.

აღნიშნული მემორანდუმის მიხედვით, კომპანია ვალდებულია, ზამთრის სამი თვის (დეკემბერი-თებერვალი) განმავლობაში გენერირებული ელექტროენერგია ელექტროსისტემის კომერციულ ოპერატორს მიჰყიდოს მინიმალურ გარანტირებულ ფასად 4.7 აშშ ცენტი/კილოვატსაათი, ხოლო დანარჩენ თვეებში ელექტროენერგია გავა თურქეთში.

მემორანდუმის მოქმედების ვადის ამოწურვის შემდეგ (სანამ კომპანია მთლიანად არ ამოიღებს მემორანდუმის ფარგლებში ჩადებულ ინვესტიციას, მაგრამ არა უმეტეს 15 წლის განმავლობაში ჰესის მშენებლობის შეკვეთიდან), ზემოაღნიშნული შეზღუდვები მოიხსნება და კომპანიას უფლება ექნება, თავისუფლად გაყიდოს ან/და ექსპორტზე გაიტანოს მის მიერ გენერირებული მთელი ელექტროენერგია თავისსავე პირობებზე და მესამე მხარეებსა და ქვეყნებში, თურქეთის რესპუბლიკის ჩათვლით.

2016 წლის 8 თებერვალს და მოგვიანებით 2016 წლის 24 ივნისს კომპანიამ ხელი მოაწერა საქართველოს მთავრობასა და შპს „საქართველო - ურბან ენერჯის“ შორის 2009 წლის 27 მაისის მემორანდუმის დამატებებს. ამ დოკუმენტების მიხედვით, კომპანიამ ვალდებულება იკისრა, ფაქტობრივად გენერირებული ელექტროენერგია მთლიანად და ექსკლუზიურად მიეყიდა ს.ს. „ელექტროსისტემის კომერციული ოპერატორისთვის“ 2016 წლის მარტსა და აპრილში - 4.7 აშშ ცენტი/კვტსთ, ხოლო 2016 წლის სექტემბერში, ოქტომბერსა და ნოემბერში - 4.3 აშშ ცენტი/კვტსთ ტარიფით. დამატებებმა კომპანიის მიერ ზემოაღნიშნული ვალდებულების შესრულებისთანავე ძალა დაკარგა.

2017 წლის 9 თებერვალს კომპანიამ ხელი მოაწერა საქართველოს მთავრობასა და შპს „საქართველო - ურბან ენერჯის“ შორის 2009 წლის 27 მაისის მემორანდუმის კიდევ ერთ დამატებას. მის მიხედვით, კომპანიამ ვალდებულება იკისრა, ფაქტობრივად გენერირებული ელექტროენერგია მთლიანად და ექსკლუზიურად მიეყიდა ს.ს. „ელექტროსისტემის კომერციული ოპერატორისთვის“ 2017 წლის მარტსა და ნოემბერში - 4.3 აშშ ცენტი/კვტსთ, ხოლო 2017 წლის აპრილში, აგვისტოში, სექტემბერსა და ოქტომბერში - 3.5 აშშ ცენტი/კვტსთ ტარიფით. დამატებებმა კომპანიის მიერ ზემოაღნიშნული ვალდებულების შესრულებისთანავე ძალა დაკარგა.

საანგარიშო დღეს კომპანიას სრულად აქვს შესრულებული ზემოაღწერილი საინვესტიციო ვალდებულებები.

ფინანსური პირობები. კომპანიაზე ვრცელდება რამდენიმე ფინანსური პირობა, რომლებიც ძირითადად ერგბ-ისა და სსკ-ისგან მიღებულ სესხებთანაა დაკავშირებული. ამ პირობების შეუსრულებლობამ შეიძლება გამოიწვიოს მეტად უარყოფითი შედეგები, სესხების ხარჯების მომატებისა და დეფოლტის გამოცხადების ჩათვლით.

22. ფინანსური რისკის მართვა

კომპანია რისკებს განიხილავს ფინანსური (საკრედიტო, საბაზრო, სავალუტო, ლიკვიდობისა და საპროცენტო განაკვეთის), გეოგრაფიული და სამართლებრივი რისკების ჭრილში. კომპანიის ფინანსური რისკის მართვის უმთავრესი ამოცანაა რისკის საზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკდამოკიდებულება ამ ფარგლებში შენარჩუნდეს. კომპანია ამჟამად მუშაობს მისი ფინანსური და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციების შემუშავებაზე. კომპანიაში ამჟამად არსებული პრაქტიკა, მათ შორის, მოწილე კომპანიის მხრიდან განხორციელებული ზედამხედველობა და ახალი ინიციატივები, მიზნად ისახავს ისეთი შიდა პოლიტიკებისა და პროცედურების სათანადოდ ფუნქციონირების უზრუნველყოფას, რომლებიც მინიმუმამდე შეამცირებს ფინანსურ და სამართლებრივ რისკებს მიმდინარე და სამომავლო პერიოდებში.

საკრედიტო რისკი. კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რომელიც არის იმის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთერთი მხარე, ვალდებულების შეუსრულებლობიდან გამომდინარე, გამოიწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. საკრედიტო რისკდამოკიდებულება წარმოიშობა კომპანიის საქონლის საკრედიტო პირობებით გაყიდვიდან და კონტრაგენტებთან ფინანსური აქტივების უზრუნველმყოფი სხვა ტრანზაქციებიდან.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკდამოკიდებულება აქტივების კლასის მიხედვით ასეთია:

ქართულ ლარში	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (შენიშვნა 8)		
- სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,324,594	3,495,720
ფული და ფულის ექვივალენტები (შენიშვნა 9)		
- დეპოზიტები ბანკებში	3,113,225	-
- მოთხოვნამდე ნაშთები ბანკებში	726,466	3,780,303
სულ მაქსიმალური საკრედიტო რისკდამოკიდებულება	**7,164,285**	**7,276,023**

საბაზრო რისკი. კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს. საბაზრო რისკები ძირითადად დაკავშირებულია ღია სავალუტო პოზიციებთან, რომლებზეც ბაზრის ზოგადი და სპეციფიური მოძრაობის ეფექტი ვრცელდება. დირექტორთა საბჭო ადგენს რისკის მისაღებ დონეს და შემდეგ თავის შეხედულებისამებრ უწევს მას მონიტორინგს. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენება არ აღმოფხვრის მისაღებ დონეზე მეტი ზარალის შემთხვევებს შედარებით მნიშვნელოვანი უარყოფითი საბაზრო ცვლილებების პირობებში.

გეოგრაფიული რისკი. კომპანიის აქტივები განთავსებულია საქართველოში და მისი ბიზნეს-გეგმები კრიტიკულადაა დამოკიდებული ქვეყანაში სტაბილურობასა და კანონის უზენაესობაზე. საქართველო კვლავაც ამუღავნებს განვითარებადი ბაზრის გარკვეულ მახასიათებლებს. როგორც ასეთი, კომპანიაზე აისახება ქვეყნის შიგნით საქმიანი თუ სამართლებრივი სფეროს ნებისმიერი უარყოფითი ცვლილება.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის იმის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება შეიცვლება ვალუტის გაცვლის კურსის ცვლილების პარალელურად. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის სავალუტო რისკდამოკიდებულება საანგარიშო პერიოდის ბოლოს:

	31 დეკემბერს 2017			31 დეკემბერს 2016		
ქართულ ლარში	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებულებები	წმინდა საბალანსო პოზიცია	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებულებები	წმინდა საბალანსო პოზიცია
ქართული ლარი	3,627,251	(111,378)	**3,515,873**	3,913,765	(121,062)	**3,792,703**
აშშ დოლარი	3,537,955	(292,395,894)	**(288,857,939)**	3,356,522	(306,115,999)	**(302,759,477)**
ევრო	-	(91,269)	**(91,269)**	-	-	**-**
თურქული ლირა	787	-	**787**	6,891	-	**6,891**
სულ	**7,165,993**	**(292,598,541)**	**(285,432,548)**	**7,277,178**	**(306,237,061)**	**(298,959,883)**

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია მოგება-ზარალისა და კაპიტალის მგრძნობიარობა საანგარიშო პერიოდის ბოლოს გამოყენებული ვალუტის გაცვლის კურსის ცვლილება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტის მიმართ ყველა დანარჩენი ცვლადის მუდმივობის პირობებში: ზარალი/მოგება აშშ დოლარში დენომინირებული ფულისა და ფულის ექვივალენტების, საბანკო დეპოზიტების, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების, ნასესხები სახსრებისა და სავაჭრო და სხვა გადასახდელების გაცვლის შედეგად.

საქართველოში ფინანსური ინსტრუმენტების ბაზრის არასაკმარისი განვითარების გამო, ხელმძღვანელობა კომპანიის სავალუტო რისკის ჰეჯირებას არ ახდენს.

	31 დეკემბერს 2017	31 დეკემბერს 2016
ქართულ ლარში	გავლენა მოგება-ზარალზე	გავლენა მოგება-ზარალზე
აშშ დოლარის გამყარება 10%	(28,885,794)	(30,275,948)
აშშ დოლარის გაუფასურება 10%	28,885,794	30,275,948

საპროცენტო განაკვეთის რისკი. კომპანიაზე საპროცენტო განაკვეთის რისკი მოქმედებს იმდენად, რამდენადაც კომპანიაში შემავალი პირები სახსრებს სესხულობენ როგორც ფიქსირებული, აგრეთვე ცვლადი საპროცენტო განაკვეთებით. ამ რისკს კომპანია მართავს ამ ორი ტიპის განაკვეთებით სესხის აღების სათანადო ბალანსის დაცვით.

კომპანიის დამოკიდებულება ფინანსურ აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებზე მოქმედ საპროცენტო განაკვეთებზე აღწერილია წინამდებარე შენიშვნის ლიკვიდობის რისკის მართვის ქვეთავში.

ქვემოთ მოცემული მგრძნობიარობის ანალიზი ჩატარდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს საპროცენტო განაკვეთების მიმართ დამოკიდებულების საფუძველზე. ცვლადგანაკვეთიანი ვალდებულებების შემთხვევაში, ანალიზი მომზადდა იმის დაშვებით, რომ საანგარიშო პერიოდის ბოლოს დასაფარი ვალდებულების ოდენობა დასაფარი იყო მთელი წლის განმავლობაში. უმაღლესი ხელმძღვანელობისათვის წარსადგენ მოხსენებებში გამოიყენება 100 საბაზო ქულიანი (1%) ზრდა ან კლება და წარმოადგენს ხელმძღვანელობის შეფასებას საპროცენტო განაკვეთების გონივრულად შესაძლებელი ცვლილების თაობაზე.

საპროცენტო განაკვეთების 100 საბაზო ქულით მეტობის/ნაკლებობის შემთხვევაში, ყველა სხვა ცვლადის მუდმივობის პირობებში:

- 2017 წლის მოგება დაიკლებდა/გაიზრდებოდა 182,048 ლარით (2016: კლება/ზრდა 125,742 ლარით). ეს ძირითადად აიხსნება კომპანიის დამოკიდებულებით ცვლადი განაკვეთების მიმართ.

კომპანიის მგრძნობიარობა საპროცენტო განაკვეთების მიმართ მიმდინარე წელს გაიზარდა. ეს ძირითადად გამოწვეული იყო ცვლადგანაკვეთიანი სავალო ინსტრუმენტების მოცულობის ზრდით.

კომპანია აკვირდება კუთვნილ ფინანსურ ინსტრუმენტებზე მოქმედ საპროცენტო განაკვეთებს. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთები საანგარიშო პერიოდების ბოლოს ხელმძღვანელობის მიერ განხილული მოხსენებების საფუძველზე:

	31 დეკემბერი 2017		31 დეკემბერი 2016	
წლიური %.	**GEL**	**USD**	**GEL**	**USD**
აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	2%-7%	1.5%-4%	2%-7%	1.5%
ვალდებულებები				
ნასესხები სახსრები (შენიშვნა 11)	-	4.7%-6.63%	-	3.9%-6.75%

ლიკვიდობის რისკი. ლიკვიდობის რისკი არის იმის რისკი, რომ კომპანიას გაუძნელდება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულება. კომპანიას ყოველდღიურად უხდება არსებული ფულადი რესურსების გამოყენება. ხელმძღვანელობა აკვირდება კომპანიის ფულადი ნაკადების მიმდინარე თვიურ პროგნოზებს.

კომპანია ლიკვიდობის რისკს მართავს აქციონერების კაპიტალის შენატანებისა და ერგბ-ისა და სსკ-ის სესხების აღების საშუალებით. კომპანიის ლიკვიდობის რეზერვი მოიცავდა ფულსა და ფულის ექვივალენტებს (შენიშვნა 9).

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია დარჩენილი საკონტრაქტო ვადიანობით გაანალიზებული ვალდებულებები. ცხრილში განმარტებული თანხები წარმოადგენს საკონტრაქტო არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს, მათ შორის, მთლიან სასესხო ვალდებულებებს. ამგვარი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ნაჩვენებისგან განსხვავდება, რადგან ეს უკანასკნელი დისკონტირებულ ფულად ნაკადებს ეფუძნება. თუ გადასახდელი თანხა ფიქსირებული არ არის, ნაჩვენები ოდენობა დგინდება საანგარიშო დღეს არსებული პირობების გათვალისწინებით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გადახდები კონვერტირდება საანგარიშო დღეს არსებული სპოტური კურსით.

ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ქართულ ლარში	მოთხოვნამდე და 1 თვეზე ნაკლები	1-3 თვე	3-12 თვე	12 თვე-5 წელი	5 წელზე მეტი	სულ
ვადიანი სესხები	-	-	(48,952,198)	(108,897,866)	(264,926,387)	**(422,776,451)**
სავაჭრო და სხვა გადასახდელები	(23,109)	(203,087)	(91,458)	-	-	**(317,654)**
სულ მომავალი გადახდები	**(23,109)**	**(203,087)**	**(49,043,657)**	**(108,897,866)**	**(264,926,387)**	**(423,094,105)**

ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ქართულ ლარში	მოთხოვნამდე და 1 თვეზე ნაკლები	1-3 თვე	3-12 თვე	12 თვე-5 წელი	5 წელზე მეტი	სულ
ვადიანი სესხები	-	-	(73,327,531)	(194,523,434)	(110,321,154)	**(378,172,119)**
სავაჭრო და სხვა გადასახდელები	(22,919)	(83,774)	(46,792)	-	-	**(153,486)**
სულ მომავალი გადახდები	**(22,919)**	**(83,774)**	**(73,374,323)**	**(194,523,434)**	**(110,321,154)**	**(378,325,604)**

23. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

რეალური ღირებულების შეფასება ანალიზდება რეალური ღირებულების იერარქიაში დაკავებული დონით: (1) პირველი დონე არის შეფასება კოტირებული ფასებით (არაკორექტირებული) იდენტური აქტივებისა თუ ვალდებულებების აქტიურ ბაზრებზე, (2) მეორე დონის შეფასება არის შეფასების ტექნიკა, სადაც ყველა მნიშვნელოვან მონაცემზე დაკვირვება აქტივებისა და ვალდებულებების შემთხვევაში შესაძლებელია პირდაპირ (ანუ ფასებით) ან ირიბად (ანუ ფასების გავლით), და (3) მესამე დონის შეფასება არის ისეთი შეფასება, რომელიც არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ არადაკვირვებადი მონაცემები). ხელმძღვანელობა ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიზაციისას იყენებს რეალური ღირებულების იერარქიაზე დაფუძნებულ შეფასებებს. თუ რეალური ღირებულების შეფასებაში გამოყენებულია დაკვირვებადი მონაცემები, რომლებსაც მნიშვნელოვნად კორექტირება ესაჭიროება, ეს შეფასება მესამე დონისაა. შესაფასებელი მონაცემის მნიშვნელობა დგინდება რეალური ღირებულების შეფასებით მთლიანობაში.

აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც რეალური ღირებულებით არ იზომება, მაგრამ რომელთა რეალური ღირებულება ნაჩვენებია. რეალური ღირებულების იერარქიაში დაკავებული დონითა და არა რეალური ღირებულებით გაზომილი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებია:

	31 დეკემბერი 2017				31 დეკემბერი 2016			
ქართულ ლარში	1-ელი დონე	მე-2 დონე	მე-3 დონე	საბალანსო ღირებულება	1-ელი დონე	მე-2 დონე	მე-3 დონე	საბალანსო ღირებულება
აქტივები								
- ფული და ფულის ექვივალენტები	3,841,399	-	-	**3,841,399**	3,781,458	-	-	**3,781,458**
- სავაჭრო მოთხოვნები	-	-	3,286,359	**3,286,359**	-	-	3,435,647	**3,435,647**
სულ აქტივები	3,841,399	-	3,286,359	**7,127,758**	**3,781,458**	-	**3,435,647**	**7,217,105**
ვალდებულებები								
ნასესხები სახსრები								
- საბანკო სესხი	-	292,347,579	-	**292,347,579**	-	306,083,574	-	**306,083,574**
სხვა ფინანსური ვალდებულებები			-			-		
- სავაჭრო გადასახდელები	-	-	21,506	**21,506**	-		35,766	**35,766**
- სხვა დარიცხული ვალდებულებები	-	-	229,456	**229,456**	-	-	117,720	**117,720**
სულ ვალდებულებები		**292,347,579**	**250,962**	**292,598,541**		**306,083,574**	**153,486**	**306,237,060**

მე-2 და მე-3 დონეების რეალური ღირებულებები დადგინდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების შეფასების ტექნიკით. აღნიშნული არ შეეხო საინვესტიციო ქონებას, რომლის შემთხვევაში, გამოყენებულ იქნა შესადარი საბაზრო ფასები. იმ ცვლადგანაკვეთიანი ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, რომლებიც აქტიურ ბაზარზე არ კოტირდება, შეფასდა, როგორც საბალანსო ღირებულების ტოილ. არაკოტირებული ფიქსირებულ განაკვეთიანი ინსტრუმენტების რეალური ღირებულება შეფასდა სავარაუდოდ მისაღები სამომავლო ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომლებიც დისკონტირებული იყო მსგავსი საკრედიტო რისკისა და დარჩენილი ვადიანობის ახალი ინსტრუმენტების მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები. ფიქსირებულ განაკვეთიანი ინსტრუმენტების შეფასებული რეალური ღირებულება ეფუძნება იმ სამომავლო ფულად სახსრებს, რომლებსაც კომპანია სავარაუდოდ მიიღებს და რომლებიც დისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით, რომლებიც მსგავსი საკრედიტო რისკისა და ვადიანობის მქონე ახალ ინსტრუმენტებს ერიცხება. დისკონტირების განაკვეთები გამოკიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკზე. სავაჭრო მოთხოვნებისა და სხვა ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებები, მოკლე ვადიანობის გამო, უახლოვდება რეალურ ღირებულებას.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ვალდებულებები. ფიქსირებულ განაკვეთიანი ინსტრუმენტების შეფასებული რეალური ღირებულება ეფუძნება იმ სამომავლო ფულად სახსრებს, რომლებსაც კომპანია სავარაუდოდ მიიღებს და რომლებიც დისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით, რომლებიც მსგავსი საკრედიტო რისკისა და ვადიანობის მქონე ახალ ინსტრუმენტებს ერიცხება. დისკონტირების განაკვეთები გამოკიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკზე. სავაჭრო გადასახდელებისა და სხვა ფინანსური ვალდებულებები საბალანსო ღირებულებები, მოკლე ვადიანობის გამო, უახლოვდება რეალურ ღირებულებას.

24. კაპიტალის რისკის მართვა

კაპიტალის მართვის ამოცანაა, უზრუნველყოს კომპანიის მხრიდან უწყვეტად მოქმედების უნარი, რათა ამით უზრუნველყოს აქციონერთა უკუგება და შეინარჩუნოს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა კაპიტალის ღირებულების შემცირების მიზნით. ჰესის მშენებლობის დაფინანსების წყაროდ ძირითადად გამოიყენება კომპანიის კაპიტალი.

25. მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდგომ

2018 წლის 23 თებერვალს კომპანიამ ხელი მოაწერა საქართველოს მთავრობასა და შპს „saqarTvelo-შრბან ენერჯის“ შორის 2009 წლის 27 მაისის მემორანდუმის დამატებას, რომლითაც კომპანიამ ვალდებულება იკისრა, 2018 წელს ფაქტობრივად გენერირებული ელექტროენერგია მთლიანად და ექსკლუზიურად მიეყიდა ს.ს. „ელექტროსისტემის კომერციული ოპერატორისთვის“ 2018 წლის მარტსა და ნოემბერში - 4.3 აშშ ცენტი/კვტსთ, ხოლო 2018 წლის აპრილში - 4 აშშ ცენტი/კვტსთ ტარიფით, ხოლო აგვისტოში, სექტემბერსა და ოქტომბერში - 3.5 აშშ ცენტი/კვტსთ ტარიფით.

26. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორთა საბჭომ ფინანსური ანგარიშგება გამოსაშვებად დაამტკიცა 2018 წლის 14 მარტს.

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N181133810
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	14.09.2018 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	ნინო ხოფერია
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. 28/2
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	+995 32 2 98 70 24
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	00375260396418

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: **www.notary.ge** ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: **+995(32) 2 66 19 18**

მე, თეა ანთაძე, ნოტარიუს ნინო ხოფერიას შემცვლელი პირი, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: საქართველო, ქ.თბილისი, რუსთაველის ქ. №28/2, ვადასტურებ ინგლისური ენის დიპლომის (N 000258) მქონე მთარგმნელის, **ინგა რეხვიაშვილის** დაბადებული 10.02.1986, პ/ნ 10001017562, მცხოვრები: ბოლნისი ფარნავაზ მეფის ქ. N 64ხელმოწერის სინამდვილეს. მთარგმნელი გაფრთხილებულია, რომ პასუხს აგებს თარგმანის სიზუსტეზე და იგი იძლევა თარგმანის სისწორის გარანტიას.

დოკუმენტი შედგენილია ორ ეგზემპლარად.

დოკუმენტზე დასმულია სამოცდაათი ხელმოწერა.

სანოტარო საზღაური - 140.00 (ას ორმოცი) ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ 2011წ. 29.12. #507 მთავრობის დადგენილების მუხლი 31-სა, აგრეთვე დღგ (18%) საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის საფუძველზე და 2 (ორი) ლარი დღგ-ს ჩათვლით, სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ 39-ე პ.1 მუხლის შესაბამისად. სულ გადახდილია 167.20 (ას სამოცდაშვიდი) ლარი და 20 (ოცი) თეთრი.

ნოტარიუსის შემცვლელი პირი _____ თეა ანთაძე

შპს „საქართველო - ურბან ენერჯი“

ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნა
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შპს "საქართველო - ურბან ენერჯი"

სარჩევი

	გვერდი
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშების მომზადებასა და დამტკიცებაზე	1
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	2-3
ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მდგომარეობით:	
ფინანსური მდგომარეობის ანგარიში	4
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიში	5
კაპიტალში ცვლილებების ანგარიში	6
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში	7
ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები	
1. შპს „საქართველო - ურბან ენერჯი" და მისი საქმიანობა	8
2. კომპანიის საოპერაციო გარემო	9
3. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკები	9
4. ბუღალტრული აღრიცხვის კრიტიკული შეფასებები და დასკვნები ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის გამოყენებისას	15
5. ახალი და შესწორებული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) გამოყენება	16
6. ნაშთები და ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	20
7. ძირითადი საშუალებები	22
8. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	23
9. ფული და ფულის ექვივალენტები	23
10. საწესდებო კაპიტალი	23
11. ნასესხები სახსრები	24
12. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	25
13. შემოსავალი	25
14. მომსახურების ხარჯები	26
15. პერსონალის ხარჯები	26
16. საგადასახადო ხარჯები	26
17. სხვა საოპერაციო ხარჯები	27
18. ფინანსური შემოსავალი	27
19. ფინანსური ხარჯები	27
20. მოგების გადასახადი	27
21. პირობითი ვალდებულებები	28
22. ფინანსური რისკის მართვა	29
23. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება	32
24. კაპიტალის რისკის მართვა	33
25. მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდგომ	33
26. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	33

შპს „საქართველო - ურბან ენერჯი“

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „საქართველო - ურბან ენერჯის“ („კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და აქციონერთა კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს”) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება კომპანიას დირექტორთა საბჭოს მიერ დამტკიცებულია გამოსაშვებად 2018 წლის 14 მარტს.

ხელმძღვანელობის სახელით:

მმართველი დირექტორი	ფინანსური დირექტორი
მურათ ქუჩუქ	ონურ თოსუნოღლუ
14 მარტი, 2018 წელი	14 მარტი, 2018 წელი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს "საქართველო – ურბანმ ენერჯის" აქციონერებსა და დირექტორთა საბჭოს:

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ შპს „საქართველო - ურბან ენერჯის" („კომპანია") ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის, აგრეთვე სხვა სრული შემოსავლის, კაპიტალის ცვლილებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მდგომარეობით და ახსნა-განმარტებით შენიშვნებს ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპების მოკლე მონახაზის ჩათვლით.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სათანადოდ წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებს ამ დღეს დასრულებული წლის მდგომარეობით ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების („ფასს") შესაბამისად.

დასკვნის საფუძველი

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ჩვენი ანგარიშის ქვეთავში „*აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე*". ჩვენ ვმოქმედებდით კომპანიისგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი" (პბეკ კოდექსი) და საქართველოში აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური მოთხოვნები. შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა როგორც პბეკ კოდექსის, აგრეთვე აღნიშნული მოთხოვნებით განსაზღვრულ სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

ხელმძღვანელობისა და ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირთა მოვალეობები

ხელმძღვანელობა მოვალეა, მოამზადოს და ობიექტურად წარმოადგინოს ფინანსური ანგარიშგება ფასს-ების შესაბამისად და უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რომელიც, მისი აზრით, აუცილებელია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა მოვალეა, შეაფასოს კომპანიის მხრიდან საქმიანობის გაგრძელების (უწყვეტი საწარმოს პრინციპის) უნარი, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს უწყვეტი საწარმოს პრინციპთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნული პრინციპი გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელმძღვანელობა ან მიზნად ისახავს კომპანიის ლიკვიდაციას თუ საქმიანობის შეწყვეტას, ან არ გააჩნია ამისგან განსხვავებული ქმედების რეალისტური ალტერნატივა.

კომპანიის მართვასა და ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირები ვალდებულნი არიან, ზედამხედველობა გაუწიონ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესს.

აუდიტორის მოვალეობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი ამოცანაა, მოვიპოვოთ იმის საფუძვლიანი რწმენა, რომ ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც ჩვენი თვალსაზრისის გამომხატველი იქნება. საფუძვლიანი რწმენა მაღალი ხარისხის რწმენას წარმოადგენს, მაგრამ, ამავდროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენას ახდენდეს ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში გამოვთქვამთ პროფესიულ თვალსაზრისს და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა:

- ჩვენ ამოვიცნობთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რაც საკმარისი და ადეკვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის ჩამოსაყალიბებლად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის ვერშემჩნევის რისკი შეცდომის შედეგად გაპარული არსებითი უზუსტობის ვერშემჩნევის რისკს აღემატება, რადგან თაღლითობა შეიძლება ხდებოდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის წინასწარგანზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით;
- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე აზრის გამოთქმის განზრახვას;
- ვაფასებთ ბუღალტრული აღრიცხვის გამოყენებული პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული პროგნოზებისა და განმარტებების მართებულობას;
- ვაკეთებთ დასკვნას ხელმძღვანელობის მხრიდან აღრიცხვის უწყვეტი საწარმოს პრინციპზე საფუძველზე წარმოების თაობაზე და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, გამოვთქვამთ თვალსაზრისს, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის არასარწმუნოება ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი, გააგრძელოს საქმიანობა. თუ ჩვენი დასკვნის მიხედვით, არსებითი არასარწმუნოება არსებობს, ჩვენ ვალდებულები ვართ, ჩვენ მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, შევცვალოთ კიდეც დასკვნა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მას შემდეგ, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება კომპანია აიძულოს, შეწყვიტოს მოქმედი საწარმოს პრინციპით მოქმედება.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან სტრუქტურას, შინაარსსა და წარმოდგენის ფორმას, მათ შორის განმარტებებს და ასევე იმას, თუ როგორ შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების მიერ შესაბამის ტრანსაქციებსა და მოვლენებს ასახვა ინფორმაციის ობიექტურად წარმოდგენის პრინციპს.

სხვა საკითხებს შორის, ჩვენ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

შპს „დელოიტი & ტუშის“ სახელით
თამარ ნაცვლიშვილი

2018 წლის 14 მარტი
თბილისი, საქართველო

ფინანსური მდგომარეობის ანგარიში
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართული ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	275,957,891	286,950,842
არამატერიალური აქტივები		70,256	87,322
სულ გრძელვადიანი აქტივები		**276,028,147**	**287,038,164**
მიმდინარე აქტივები			
მარაგები		708,879	669,662
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	3,643,319	4,467,422
ფული და ფულის ექვივალენტები	9	3,841,399	3,781,458
სულ მიმდინარე აქტივები		**8,193,597**	**8,918,542**
სულ აქტივები		**284,221,744**	**295,956,706**
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	10	123,638,980	123,638,980
დაგროვილი დეფიციტი		(132,015,777)	(133,919,334)
სულ კაპიტალი		**(8,376,797)**	**(10,280,354)**
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	11	257,934,712	243,119,459
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**257,934,712**	**243,119,459**
მიმდინარე ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	11	34,412,867	62,964,115
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	250,962	153,486
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**34,663,829**	**63,117,601**
სულ ვალდებულებები		**292,598,541**	**306,237,060**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**284,221,744**	**295,956,706**

ხელმძღვანელობის სახელით:

მმართველი დირექტორი	ფინანსური დირექტორი
მურათ ქუჩუქ	ონურ თოსუნოღლუ
14 მარტი, 2018 წელი	14 მარტი, 2018 წელი

8-33 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს სპეციალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიში
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართული ლარი	შენიშვნა	2017	2016
შემოსავალი	13	37,310,646	43,071,487
სხვა შემოსავალი		56,806	33,741
მომსახურების ხარჯები	14	(6,373,998)	(7,716,313)
პერსონალის ხარჯები	15	(3,358,258)	(3,331,725)
საგადასახადო ხარჯები	16	(2,723,554)	(2,524,882)
სხვა საოპერაციო ხარჯები	17	(392,447)	(460,394)
მოგება ფინანსურ შემოსავლამდე/ხარჯებამდე, გადასახადებამდე, ცვეთამდე და ამორტიზაციამდე		**24,519,195**	**29,071,914**
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი		(11,065,127)	(11,053,079)
მოგება ფინანსურ შემოსავლამდე / ხარჯებამდე და გადასახადებამდე		**13,454,068**	**18,018,835**
ფინანსური შემოსავალი	18	6,027,446	143,047
ფინანსური ხარჯები	19	(17,577,957)	(47,838,473)
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადამდე		**1,903,557**	**(29,676,591)**
მოგების გადასახადის ხარჯი		-	(4,559,394)
წლის მოგება / (ზარალი)		**1,903,557**	**(34,235,985)**
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი / (ზარალი)		**1,903,557**	**(34,235,985)**

ხელმძღვანელობის სახელით:

მმართველი დირექტორი	ფინანსური დირექტორი
მურათ ქუჩუქ	ონურ თოსუნოღლუ
14 მარტი, 2018 წელი	14 მარტი, 2018 წელი

8-33 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს სპეციალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „საქართველო - შრბან ენერჯი“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიში
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართული ლარი	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი დეფიციტი	სულ კაპიტალი
ნაშთი 1 იანვარი 2016 წელი	**112,801,000**	**(99,683,349)**	**13,117,651**
კაპიტალის შენატანი	10,837,980	-	**10,837,980**
სულ პერიოდის სრული ზარალი	-	(34,235,985)	**(34,235,985)**
ნაშთი 31 დეკემბერი 2016 წელი	**123,638,980**	**(133,919,334)**	**(10,280,354)**
ნაშთი 1 იანვარი 2017 წელი	**123,638,980**	**(133,919,334)**	**(10,280,354)**
სულ პერიოდის სრული შემოსავალი	-	1,903,557	1,903,557
ნაშთი 31 დეკემბერი 2017 წელი	**123,638,980**	**132,015,777**	**8,376,797**

ხელმძღვანელობის სახელით:

მმართველი დირექტორი	ფინანსური დირექტორი
მურათ ქუჩუქ	ონურ თოსუნოღლუ
14 მარტი, 2018 წელი	14 მარტი, 2018 წელი

8-33 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს სპეციალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართული ლარი	შენიშვნა	2017	2016
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წმინდა მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადამდე		**1,903,557**	**(29,676,591)**
კორექტირება:			
ცვეთა და ამორტიზაცია		11,065,127	11,053,079
ფინანსური შემოსავალი		(151,344)	(143,047)
ფინანსური ხარჯები	19	17,577,957	19,374,697
საკურსო სხვაობით მიღებული წმინდა (მოგება)/ზარალი	18	(5,876,102)	28,463,776
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე		**24,519,195**	**29,071,914**
მარაგების ზრდა		(39,217)	(77,901)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების კლება/(ზრდა)		833,322	(52,200)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/(კლება)		102,077	(265,168)
საბრუნავი კაპიტალის ცვლილება		**896,182**	**(395,269)**
მიღებული პროცენტი		151,344	143,047
გადახდილი პროცენტი და სხვა ფინანსური ხარჯები		(16,862,165)	(12,358,722)
წმინდა ნაღდი ფული საოპერაციო საქმიანობიდან		**8,704,556**	**16,460,970**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	7	(55,109)	(410,444)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა		-	(79,701)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ნაღდი ფული		**(55,109)**	**(490,145)**
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
კაპიტალის შენატანი აქციონერებისგან		-	10,837,980
ნასესხები სახსრებით მიღებული შემოსავალი	11	45,745,895	49,994,500
ნასესხები სახსრების დაფარვა	11	(53,282,450)	(78,058,753)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ნაღდი ფული		**(7,536,555)**	**(17,226,273)**
წმინდა ზრდა/(კლება) ფულსა და ფულის ექვივალენტებში		**1,112,892**	**(1,255,444)**
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში		**3,781,458**	**5,297,476**
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ექვივალენტებზე		(1,052,951)	(260,570)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	9	**3,841,399**	**3,781,458**

ხელმძღვანელობის სახელით:

მმართველი დირექტორი
მურათ ქუჩუქ
14 მარტი, 2018 წელი

ფინანსური დირექტორი
ონურ თოსუნოღლუ
14 მარტი, 2018 წელი

8-33 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს სპეციალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

1. შპს "საქართველო - ურბან ენერჯი" და მისი საქმიანობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, შპს „საქართველო - ურბან ენერჯისათვის" („კომპანია" ან „სუე") 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მდგომარეობით.

კომპანია დაფუძნდა 1999 წლის 11 თებერვალს და რეგისტრირებულია საქართველოში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მოქმედი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის წილებს ფლობდნენ შემდეგი აქციონერები:

	31 დეკემბერი 2017
„ანადოლუ კაფკასია ენერჯი იატირიმლარი ანონიმ შირკეტი"	90%
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვით რების ბანკი (ერგბ)	10%
სულ	100%

„ანადოლუ კაფკასია ენერჯი იატირიმლარი ანონიმ შირკეტი" არის აგ „ანადოლუ გრუბუ ჰოლდინგ ა.ს."-ის 89.19%-იანი შვილობილი კომპანია, რომელიც დაფუძნდა 2009 წლის 15 დეკემბერს. მისი იურიდიული მისამართია ფატიჰ სულტან მეჰმეტ მაჰალესი, ბალკან ჯადესი №58, ბუიაკა, ე ბლოკ 34771 ტეპეიუსტუ/უმრანიე, სტამბოლი, თურქეთი. „ა.შ. ანადოლუ კაფკასია ენერჯი იატირიმლარის" აქციების დანარჩენ 10.81%-იან წილს ფლობს „ფარავანი ენერჯი ბ.ვ.".

კომპანიის საბოლოო მფლობელები არიან „ა.გ. სინაი იატირიმ ვე იონეტიმ ა.შ." (ფლობს „ა.გ. ანადოლუ გრუბუ ჰოლდინგ ა.შ."-ის სააქციო კაპიტალის 24.3%), „აეპ ანადოლუ ეტაპ ფენკონ ფაზარლამა ა.შ." (ფლობს „ა.გ. ანადოლუ გრუბუ ჰოლდინგ ა.შ."-ის სააქციო კაპიტალის 24.3%), იაზიჯის ოჯახის წევრები (ფლობენ „ა.გ. ანადოლუ გრუბუ ჰოლდინგ ა.შ."-ის სააქციო კაპიტალის 27.1%), ოზილჰანის ოჯახის წევრები (ფლობენ „ა.გ. ანადოლუ გრუბუ ჰოლდინგ ა.შ."-ის სააქციო კაპიტალის 10.0%) და საჯაროდ ფლობილი აქციები (ფლობენ „ა.გ. ანადოლუ გრუბუ ჰოლდინგ ა.შ."-ის სააქციო კაპიტალის 14.1%). კომპანია „ა.გ. სინაი იატირიმ ვე იონეტიმ ა.შ." არის „ქამილ იაზიჩი იონეტიმ ვე დანისმა ა.შ."-ის კონტროლქვეშ და ფლობს მისი კაპიტალის 100%. „აეპ ანადოლუ ეტაპ ფენკონ ფაზარლამა ა.შ." არის „იზეტ თიურქან იოზილჰან იონეტიმ ვე დანიშმანლიკ ა.შ."-ის კონტროლქვეშ და ფლობს მისი კაპიტალის 100%.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (ერგბ) კომპანიის აქციებს ფლობს 2011 წლის 20 სექტემბრის გამოწერის ხელშეკრულების შესაბამისად, რომლის მიხედვით, ერგბ-მა გამოიწერა კომპანიის 5,000,000 აშშ დოლარის ღირებულების საკუთარი კაპიტალის 10%. კაპიტალის ეს შენატანი გაკეთდა 2011 წლის 28 ნოემბერს.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ელექტროენერგიის გენერაცია და გაყიდვა. კომპანიამ 2014 წლის აგვისტოში დაასრულა ფარავანი ჰესის მშენებლობა და ამის შემდეგ ერთი თვის განმავლობაში ატარებდა სპეციფიურ ტესტებს. 2014 წლის ოქტომბრიდან მოყოლებული, კომპანიის მიერ ოპერირებულ ფარავნის ჰიდრო-ელექტრო სადგურზე ხდება ელექტროენერგიის გენერირება. 2014 და 2015 ფინანსური წლებში, ზამთრის სამი თვის განმავლობაშიკომპანია გენერირებულ ელექტროენერგიას ყიდდა სახელმწიფო მფლობელობაში არსებულ ელექტროსისტემის კომერციულ ოპერატორზე, დანარჩენ თვეებში კი ექსპორტზე გაჰქონდა თურქეთში. 2016 წელს კომპანიამ საქართველოს მთავრობასთან ხელი მოაწერა დამატებით ხელშეკრულებებს, რომელთა მიხედვით, მარტის, აპრილის, სექტემბრის, ოქტომბრისა და ნოემბრის თვეებში აგრეთვე აკმაყოფილებდა ელექტროენერგიის მოთხოვნას საქართველოს ფარგლებში. 2017 წელს კომპანიას ელექტროენერგია ექსპორტზე გაჰქონდა ზედიზედ სამი - მაისის, ივნისისა და ივლისის - თვის განმავლობაში, ხოლო დანარჩენი 9 თვის განმავლობაში, საქართველოს მთავრობასთან ხელმოწერილი დამატებითი ხელშეკრულების ფარგლებში, გენერირებულ ელექტროენერგიას მთლიანად ჰყიდდა ადგილობრივ ბაზარზე.

რეგისტრირებული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის რეგისტრირებული მისამართია საქართველო, თბილისი 0162, ჭავჭავაძის გამზირი 37დ. 2017 წლის განმავლობაში თანამშრომელთა საშუალო რაოდენობამ შეადგინა 44 (2016: 44).

პრეზენტაციის ვალუტა. საქართველოს ეროვნული ვალუტაა ქართული ლარი, იგი ასევე წარმოადგენს კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას და იმ ვალუტას, რომელშიც წარმოდგენილია კომპანიის ფინანსური ანგარიშგება.

2. კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი საქმიანობა საქართველოში მიმდინარეობს. საქართველო განვითარებადი ბაზრის გარკვეულ მახასიათებლებს ამჟღავნებს, მათ შორის, ხასიათდება მაღალი ინფლაციითა და მაღალი საპროცენტო განაკვეთებით. საქართველოს მსგავსი განვითარებადი ბაზრები ხასიათდება ისეთი რისკებით, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებულ ბაზარზე. ბიზნესზე მოქმედი საკანონმდებლო გარემო სწრაფად იცვლება და სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციით ხასიათდება. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფისკალური და მონეტარული ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, მარეგულირებელი და პოლიტიკური მოვლენების პარალელურად.

ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოში რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, რომლებიც ძირითადად ქვეყნის ევროკავშირთან დაახლოების გეგმებს უკავშირდება. 2016 და 2017 წლის განმავლობაში ჩატარებულ საკანონმდებლო ცვლილებებს ერთგვარად გზის გამკვლევის ფუნქცია ეკისრებოდა, საქართველო-ევროკავშირის დაახლოების სამოქმედო გეგმის პარალელურად მრავალი სხვა რეფორმაა მოსალოდნელი.

გარდა ამისა, საქართველოს ენერგო-ბაზარზე მოქმედებს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური, საკანონმდებლო, ფისკალური და რეგულირებასთან დაკავშირებული მოვლენები.

ხელმძღვანელობას არ შესწევს ყველა იმ მოვლენის წინასწარ განჭვრეტის ძალა, რომელმაც შეიძლება იმოქმედოს საქართველოს ეკონომიკაზე და ამდენად, ვერ ივარაუდებს, თუ რა ეფექტი შეიძლება ჰქონდეს მათ კომპანიის მომავალ ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობის აზრით, ის ყველა ზომას მიმართავს, რათა უზრუნველყოს კომპანიის ბიზნესის მდგრადობა და განვითარების ტენდენცია.

3. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკები

მომზადების საფუძველი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, მომზადებულია ისტორიული ღირებულების პრინციპით. ისტორიული ღირებულება საზოგადოდ ეფუძნება საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ გადახდილი ანაზღაურების რეალურ ღირებულებას.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპები აღწერილია ქვემოთ. გარდა იმ შემთხვევებისა, სადაც ეს აღნიშნულია, პოლიტიკის აღნიშნული პრინციპები გამოიყენებოდა ყველა წარმოდგენილ პერიოდში (იხილეთ შენიშვნა 5).

ხელმძღვანელობამ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მოამზადა უწყვეტი საწარმოს დაშვების საფუძველზე. ამ შეფასების გაკეთებისას ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, არსებული განზრახვები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსურ რესურსებზე წვდომა და გააანალიზა ფინანსურ ბაზრებზე არსებული სიტუაციის ზეგავლენა კომპანიის ოპერაციებზე.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მიმდინარე ვალდებულებებმა მიმდინარე აქტივებს გადააჭარბა 26,470,232 ლარით.

მიმდინარე ვალდებულებებში შედის „აკბანკიდან" და „თსკბ"-დან აღებული მოკლევადიანი სესხები, შესაბამისად, 3,274,093 ლარისა და 22,870,389 ლარის ოდენობით; აგრეთვე საერთაშორისო საფინანსო კორპორაციიდან (სსკ) და ერგბ-დან მიღებული გრძელვადიანი სესხის მოკლევადიანი ნაწილი, შესაბამისად, 3,687,611 ლარისა და 4,580,7754 ლარის ოდენობით.

2017 წლის 12 აპრილს კომპანიამ ერგბ-სა და სსკ-თან ხელი მოაწერა შეთანხმების შესწორებას გრძელვადიანი სესხის რესტრუქტურიზაციის თაობაზე. მის მიხედვით, დადგინდა ძირითადი თანხის გადახდების ახალი გრაფიკი, რაც საშუალებას აძლევს კომპანიას, ძირითადი თანხა უფრო ხანგრძლივი ვადის განმავლობაში გადაიხადოს, კერძოდ, 2029 წლის ოქტომბრამდე, ნაცვლად თავდაპირველად შეთანხმებული 2026 წლის აპრილისა. რესტრუქტურიზების შედეგად სსკ-სა და ერგბ-დან მიღებული სესხების მოკლევადიანი ნაწილები, რომელთა გადახდას კომპანია გეგმავს საოპერაციო ფულადი ნაკადების საშუალებით, შემცირდა.

2017 წლის 30 ოქტომბერს კომპანიამ „თსკბ" ბანკთან ხელი მოაწერა ხელშეკრულებას საკრედიტო ხაზის თაობაზე, 10,000,000 აშშ დოლარის (25,922,000 ლარი) ლიმიტითა და 5 წლის ვადით. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას ათვისებული ჰქონდა ძირითადი თანხა 8,750,000 აშშ დოლარის (22,681,750 ლარი) ოდენობით. სესხები მოკლევადიანია, 1 წლიანი დაფარვის ვადით (სულ

სამი ტრანში). კომპანია მათი დაფარვის ვადის დადგომისას გეგმავს სესხების განახლებას, აღნიშნულ ბანკთან ხელმოწერილი ხელშეკრულების შესაბამისად 5 წლიანი ვადიანობის ფარგლებში. აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად, კომპანიამ ათვისებული ტრანშები უნდა დაფაროს მათი მიღებიდან 1 წლის განმავლობაში. ამჟამად ათვისებული ტრანშების გადახდის ვადა დგება ნოემბერში. მისი ვადიანობა კიდევ ერთი წლით გაიზრდება. ისტორულად კომპანიას ბოლო 5 წლის განმავლობაში თურქულ ბანკებთან არსებული ყველა საკრედიტო ხაზი განახლებული აქვს. ათვისებული საკრედიტო ხაზები ყოველწლიურად მცირდება (2017 წლის განმავლობაში ათვისებული საკრედიტო საზი 32,439,789 ლარიდან 26,144,482 ლარამდე შემცირდა) (შენიშვნა 11).

გარდა ამისა, „თსკბ" ბანკთან არსებული კონტრაქტი არის ხელშეკრულება სამ მხარეს, კერძოდ, „თსკბ", კომპანიასა და მის დამფუძნებელს („ანადოლუ ენდუსტრი ჰოლდინგ ა.ს.") შორის. დამფუძნებელთან არსებული ხელშეკრულებით, დამფუძნებელმა კომპანიას მისცა სესხის გადახდის გარანტია იმ შემთხვევაში, თუ კომპანია ვერ შეძლებს ბანკთან არსებული ვალდებულების შესრულებას. გარანტიის მთლიანი ოდენობაა 11,000,000 აშშ დოლარი.

რაც შეეხება „აკბანკისგან" მიღებულ სესხს, რომლის დაფარვის ვადა 2018 წლის აპრილში გადის, კომპანია ამ სესხის დაფარვას გეგმავს საოპერაციო ფულადი ნაკადებით. აუცილებლობის შემთხვევაში კი, აპირებს „თსკბ" შეთანხმებული საკრედიტო ხაზის სრულად ათვისებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კომპანია მიიჩნევს, რომ უწყვეტი საწარმოს პრინციპის გამოყენება არსებულ სიტუაციას შეესაბამება და რომ ის შეძლებს ბიზნესის მიმდინარეობის პროცესში აქტივების რეალიზებასა და ვალდებულებების დაფარვას.

რეალური ღირებულება არის ის ფასი, რომელსაც პირი მიიღებდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების გასხვისებაში სათანადო ტრანზაქციაში ბაზრის მონაწილეთა შორის გაზომვის დღეს იმის მიუხედავად, შეიძლება თუ არა ამ ფასზე პირდაპირ დაკვირვება ან მისი გამოთვლა შეფასების სხვა ტექნიკის გამოყენებით. აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულების გამოთვლისას კომპანია ითვალისწინებს ამ აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეები ამავე მახასიათებლებს გაითვალისწინებდნენ აღნიშნული აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას გაზომვის დღეს. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში, გაზომვის ან/და განმარტების მიზნით, რეალური ღირებულება დგინდება აღნიშნულ საფუძველზე.

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, რეალური ღირებულების გაზომვა იყოფა 1-ელი, მე-2 და მე-3 დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რეალური ღირებულების რომელი კომპონენტებია დაკვირვებადი და რა მნიშვნელობის მატარებელია ეს კომპონენტები მთლიანად რეალური ღირებულების მოცულობის დადგენაში. აღნიშნული კატეგორიებია:

- 1-ელი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;
- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება 1-ელ დონეში მოცემული კოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და
- მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

უცხოური ვალუტაში გადაანგარიშება. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივები და ვალდებულებები საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ("სებ") ოფიციალური ვალუტის კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები აღირიცხება ტრანზაქციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით. არამონეტარული აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული და აღრიცხულია ისტორიული ღირებულებით, ლარში გადაიყვანება ტრანზაქციის დღეს მოქმედი ვალუტი კურსით. არამონეტარული აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული და აღრიცხულია რეალური ღირებულებით, ლარში გადაიყვანება რეალური ღირებულების დადგენის დღეს მოქმედი ვალუტი კურსით. ამგვარი ტრანზაქციების ანგარიშსწორებიდან და უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაციით მიღებული მოგება და ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ძირითადი გაცვლითი კურსი, რომელიც გამოყენებულ იქნა უცხოური ვალუტის ბალანსების გადაყვანისთვის იყო: 1 აშშდ = 2.5922 ლარი და 1 ევრო = 3.1044 ლარი (2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 1 აშშდ = 2.6468 ლარი და 1 ევრო = 2. 7940 ლარი). დასკვნის მომზადების დღეს ვალუტის ოფიციალური კურსი იყო 1 აშშდ = 2.4400, 1 ევრო = 3.0100. ამჟამად საქართველოს

ფარგლებს გარეთ არსებული ქვეყნების უმეტესობაში ქართული ლარი თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა არ არის.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები მითითებულია თვითღირებულებით, საჭიროების შემთხვევაში, აკუმულირებული ამორტიზაციისა და გაუფასურების რეზერვის გამოკლებით.

ძირითადი საშუალებების რომელიმე ერთეულის კომპონენტის შეცვლაზე გაწეული ხარჯები კაპიტალიზდება და შეცვლილი კომპონენტი ჩამოიწერება. შემდგომი ხარჯები კაპიტალიზდება იმ შემთხვევაში, თუ ამ ხარჯებიდან უნდა წარმოიშვას მომავალი ეკონომიკური სარგებელი. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის, მცირე რემონტისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები აღირიცხება მათი გაწევისას.

გაუფასურების ხარჯი აღიარდება იმ შემთხვევაში, თუ აქტივის ან მისი ფულის მაგენერირებელი ერთეულის საბალანსო ღირებულებამ გადააჭარბა აღდგენად ღირებულებას. გაუფასურების დანაკარგები აღირიცხება მოგება-ზარალში.

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ ასეთი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა გაიანგარიშებს ამოსაღებ თანხას, რომელიც განისაზღვრება, როგორც შემდეგი ორიდან უფრო მაღალი ღირებულება: აქტივის რეალური ღირებულება სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით, და აქტივის გამოყენების ღირებულება. საბალანსო ღირებულება მცირდება აღდგენად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება წლის მოგებაში ან ზარალში. წინა წლებში აღიარებული აქტივის გაუფასურების ზარალის შებრუნება (რევერსირება) ხდება იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის სამომხმარებლო ღირებულების ან რეალური ღირებულების (რეალიზაციის ხარჯის გამოკლებით) გაანგარიშებისას გამოყენებულ მონაცემებში შემდგომში ცვლილება მოხდა.

რეალიზაციით მიღებული მოგება და ზარალი, რომელიც განისაზღვრება შემოსავლების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით, აღიარებულია წლის მოგებაში ან ზარალში.

ცვეთა. მიწას ცვეთა არ ერიცხება. კომპანიას მსხვილი სარემონტო სამუშაოებისას გამოყენებული სათადარიგო ნაწილები დაჯგუფებული აქვს ერთად, როგორც დაუმონტაჟებელი მოწყობილობები. ამ ტიპის აქტივები მსხვილი სარემონტო სამუშაოების ჩატარებამდე არ უფასურდება. ძირითადი საშუალებების სხვა ერთეულების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, საანგარიშო სასარგებლო გამოყენების ვადებში მათ ნარჩენ ღირებულებაზე მათი ღირებულების განაწილებით:

აქტივების ჯგუფი	ექსპლუატაციის პერიოდი
შენობები (გვირაბი)	50 წელი
გადამცემი ხაზები და შესაბამისი მოწყობილობები	50 წელი
ინფრასტრუქტურული აქტივები	15-20 წელი
მანქანა-დანადგარები	5-20 წელი
ტრანსფორმატორები, გენერატორები და ჰეს-თან დაკავშირებული მოწყობილობები	15 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5-10 წელი
ავეჯი და მცირე აქტივები	4-7 წელი

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს აქტივების ნარჩენი ღირებულებები და ექსპლუატაციის პერიოდები გადაიხედება და აუცილებლობის შემთხვევაში კორექტირდება.

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის ის საანგარიშო თანხა, რომელსაც კომპანია ახლა მიიღებდა აქტივის რეალიზაციიდან რეალიზაციის საანგარიშო ხარჯების გამოკლებით, თუ აქტივი უკვე ხანდაზმული იქნებოდა და იმ მდგომარეობაში იქნებოდა, რომელიც მოსალოდნელია მისი სასარგებლო გამოყენების ვადის ბოლოს. აქტივების ნარჩენი ღირებულება და ექსპლუატაციის ვადა ექვემდებარება გადახედვას და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

საოპერაციო იჯარა. იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანია არის მოიჯარე ისეთ საიჯარო ურთიერთობაში, რომლითაც მეიჯარის მხრიდან არსებითად ყველა რისკისა და სარგებლის გადაცემა კომპანიაზე არ ხდება, მთლიანი საიჯარო გადახდები იჯარის ვადის განმავლობაში აღირიცხება წლის მოგება-ზარალში წრფივი მეთოდით. იჯარის ვადა არის ის პერიოდი, გაუქმების უფლების გარეშე, რომლითაც მოიჯარემ იჯარით აიღო აქტივი იმ დამატებითი პირობით, რომლის ძალითაც მოიჯარეს უფლება აქვს, გააგრძელოს ატივის იჯარა დამატებითი გადასახადით ან მის გარეშე, როდესაც იჯარის დაწყებისას რეალურია, მოიჯარემ გამოიყენოს ეს უფლება (საოპერაციო იჯარები მოიცავს მიწის გრძელვადიან იჯარას, რომლის გადახდები საკადასტრო ღირებულებების მიხედვით რეგულარულად კორექტირდება სახელმწიფოს მხრიდან).

არამატერიალური აქტივები. კომპანიის მიერ შესყიდული არამატერიალური აქტივები, განსაზღვრული მოხმარების ვადით, აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციის გამოკლებით. გაუფასურების შემთხვევაში, არამატერიალური ატივების საბალანსო ღირებულება აღირიცხება, როგორც გამოყენებულ ღირებულებასა და რეალური ღირებულებისა და რეალიზაციის ხარჯების სხვაობას შორის უდიდესი ოდენობა.

კომპანიის არამატერიალური აქტივები უმთავრესად მოიცავს კაპიტალიზებულ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ამორტიზდება წრფივი მეთოდით სავარაუდო ექსპლუატაციის ვადის განმავლობაში მისი გამოყენების პირველი დღიდან მოყოლებული. პროგრამული უზრუნველყოფის სავარუდო ექსპლუატაციის ვადა განისაზღვრება 7 წლით.

სხვა მოთხოვნები. სხვა მოთხოვნები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

წინასწარი გადახდები. წინასწარი გადახდები აღირიცხება თვითღირებულებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. წინასწარი გადახდა გრძელვადიანად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც მასთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებულ უნდა იქნეს ერთი წლის შემდეგ, ან მაშინ, როდესაც წინასწარი გადახდა ისეთ აქტივთანაა დაკავშირებული, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირდა როგორც გრძელვადიანი. აქტივების შესასყიდად განკუთვნილი წინასწარი გადახდები, აქტივის კონტროლის მოპოვებისთანავე და ისეთი ვარაუდის არსებობის შემთხვევაში, რომ მასთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს კომპანია მიიღებს, გადადის აქტივის საბალანსო ღირებულებაში. სხვა წინასწარი გადახდები მოგება-ზარალში ჩამოიწერება მათთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღების დროს. თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული აქტივები, საქონელი ან მომსახურება კომპანიას არ მიეწოდება, წინასწარი გადახდის საბალანსი ღირებულება აღირიცხება და მოგება-ზარალში აღიარდება მისი შესაბამისი გაუფასურების ზარალი.

ფული და ფულის ექვივალენტები. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და ბანკებში სამ თვემდე ვადით განთავსებულ სახსრებს. ფული და ფულის ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

საბანკო დეპოზიტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

მარაგები. მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება როგორც სავარაუდო გასაყიდი ფასი ჩვეულებრივ ბიზნეს-გარიგებებში, ტრანზაქციის დასრულებისა და გაყიდვის სავარაუდო ხარჯების გამოკლებით.

ფინანსური ინსტრუმენტები - აღრიცხვის ძირითადი პრინციპები. კლასიფიკაციის მიხედვით, ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება ან რეალური ღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით.

რეალური ღირებულება არის ის ფასი, რომელსაც პირი მიიღებდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების გასხვისებაში სათანადო ტრანზაქციაში ბაზრის მონაწილეთა შორის გაზომვის დღეს. რეალური ღირებულების საუკეთესო მაჩვენებელი არის აქტიურ ბაზარზე მოქმედი ფასი. აქტიურია ბაზარი, რომელზეც აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებული ტრანზაქციები ისეთი სიხშირითა და მოცულობით ხდება, რომ შესაძლებელია ფასის შესახებ ინფორმაციის რეგულარულად მიღება.

ტრანზაქციის ხარჯები არის ის ნაზარდი ხარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური ინსტრუმენტის შესყიდვას, გამოშვებას ან რეალიზაციას. ნაზარდია ხარჯი, რომელსაც პირი არ გასწევდა ტრანზაქციის გარეშე. ტრანზაქციის ხარჯებში შედის აგენტებისთვის (მათ შორის გაყიდვის აგენტებად მოქმედი თანამშრომლებისთვის), მრჩევლებისთვის, ბროკერებისა და დილერებისათვის გადახდილი საკომისიოები, მარეგულირებელი სამსახურებისა და საბირჟო მოსაკრებლები და გადარიცხვის გადასახადები და მოსაკრებლები. ტრანზაქციის ხარჯებში არ შედის სესხის პრემიუმები თუ ფასდათმობები, ფინანსური ხარჯები და შიდა ადმინისტრაციული თუ ჰოლდინგის ხარჯები.

ამორტიზებული ღირებულება არის ის თანხა, რომლის ოდენობითაც მოხდა ფინანსური ინსტრუმენტის თავდაპირველი აღიარება, ძირითადი თანხის გადახდების გამოკლებით და დარიცხული პროცენტის მიმატებით, ხოლო ფინანსური აქტივებისათვის - აღრიცხული გაწეული გაუფასურების დანაკარგების გამოკლებით. დარიცხული პროცენტი მოიცავს თავდაპირველი აღიარებისას გადავადებული ტრანზაქციის ხარჯებისა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გადასახდელ თანხამდე დისკონტირების ან პრემიუმის ამორტიზაციას. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯები, მათ შორის, დარიცხული კუპონი და ამორტიზებული დისკონტი თუ პრემიუმი (მათ შორის, წარმოშობისას გადავადებული საკომისიო, თუ ასეთი არსებობს), ცალკე არ აღიარდება და შედის შესაბამისი აქტივის/ვალდებულების საბალანსო ღირებულებაში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის შესაბამის პერიოდზე საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის განაწილების მეთოდი, რომლის საშუალებით მიიღწევა მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებაზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის ის განაკვეთი, რომლითაც ზუსტად ხდება სამომავლო ფულადი გადახდების ან მიღებული თანხების (მომავალი საკრედიტო დანაკარგების გარდა) დისკონტირება ფინანსური აქტივის მოსალოდნელი მოხმარების ვადის განმავლობაში ამავე აქტივის თავდაპირველად აღიარებულ წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ახდენს ცვლად განაკვეთიანი ინსტრუმენტების ფულადი ნაკადების დისკონტირებას შემდეგი პროცენტის გამოთვლის დღემდე, გარდა პრემიუმის ან ფასდათმობის შემთხვევისა, რომელიც ასახავს საკრედიტო სპრედს ინსტრუმენტში მითითებულ ცვლად განაკვეთზე, აგრეთვე იმ ცვლადებს, რომლებიც საბაზრო განაკვეთებით არ განისაზღვრება. ამგვარი პრემიუმები და ფასდათმობები ამორტიზდება ინსტრუმენტის მთელი ვადის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების კალკულაციაში შედის საკონტრაქტო მხარეთა შორის გადახდილი ან მიღებული ყველა თანხა, რაც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილი.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია. ფინანსურ აქტივები იყოფა შემდეგ კატეგორიებად: (ა) სესხები და მოთხოვნები; (ბ) გასაყიდად განკუთვნილი ფინანსური აქტივები; (გ) დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები და (დ) მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები. ეს უკანასკნელი ორ ქვეკატეგორიად იყოფა: (1) აქტივები, რომლებიც ასეთად ითვლება საწყისი აღიარებისას და (2) აქტივები, რომლებიც სავაჭროდ განკუთვნილად ითვლება.

სესხები და მოთხოვნები არის არაკოტირებადი არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, გარდა იმ აქტივებისა, რომელთა გაყიდვას კომპანია გეგმავს უახლოეს მომავალში.

გარდა ამისა, ცალკე კატეგორიას წარმოადგენს ფინანსური ლიზინგის მოთხოვნები. ჯგუფის ყველა ფინანსური აქტივი სესხებისა და მოთხოვნების კატეგორიითაა წარმოდგენილი. ჯგუფის ყველა ფინანსური ვალდებულება ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია. ფინანსური ვალდებულებები შეფასების შემდეგ კატეგორიებად იყოფა: (ა) სავაჭროდ განკუთვნილი ფინანსური ვალდებულებები, რომლებშიც ასევე შედის ფინანსური დერივატივები და (ბ) სხვა ფინანსური ვალდებულებები. სავაჭროდ განკუთვნილი ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება რეალური ღირებულებით, ხოლო ღირებულებაში მომხდარი ცვლილებები აისახება შესაბამისი წლის მოგებაში ან ზარალში (ფინანსური შემოსავლის ან ფინანსური ხარჯის სახით) მათი დადგომის პერიოდში. სხვა ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, გარდა მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახულისა, თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებისა და ტრანზაქციის ხარჯების ჯამით. თავდაპირველი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. მოგება ან ზარალი თავდაპირველ აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რეალურ ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის არსებობს სხვაობა, რომლის დამტკიცება შესაძლებელია იმავე ინსტრუმენტში სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო გარიგებების საფუძველზე ან ისეთი შეფასების მეთოდით, რომლის მონაცემებიც მოიცავს მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მაჩვენებლებს.

ფინანსური აქტივების აღიარების გაუქმება. კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა: (ა) აქტივები გადახდილია ან უფლებები აღნიშნული აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე სხვაგვარად ამოიწურა ან (ბ) ჯგუფმა გადასცა უფლებები ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე ან გააფორმა კვალიფიციური გადაცემის ხელშეკრულება და ამასთან ერთად (i) განახორციელა აქტივების საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკის და ჯილდოს გადაცემა ან (ii) საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და ჯილდო არც გადაუცია, არც შეუნარჩუნებია, მაგრამ კონტროლი არ შეუნარჩუნებია. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს გაყიდვაზე შეზღუდვების დაწესების გარეშე არადაკავშირებულ მესამე მხარისთვის აქტივის მთლიანად მიყიდვის პრაქტიკული უნარი.

ნასესხები სახსრები. ნასესხები სახსრები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სესხების ხარჯების კაპიტალიზაცია. სესხების ხარჯები, რომლებიც განეკუთვნება აქტივების ისეთ შესყიდვას, დამზადებას ან წარმოებას, რასაც მოსახმარი ან გასაყიდი აქტივების (კვალიფიცირებული აქტივები) მიღებას სჭირდება, კაპიტალიზდება, როგორც ამ აქტივების თვითღირებულების ნაწილი.

კაპიტალიზაციის საწყისი თარიღია ის დღე, როდესაც (ა) კომპანია გასწევს კვალიფიცირებული აქტივის მისაღებად საჭირო ხარჯებს; (ბ) კომპანია გასწევს სესხების ხარჯებს; და (გ) კომპანია

წამოიწყებს იმ ზომებს, რომლებიც საჭიროა აქტივების გასამზადებლად მათ მოსახმარად ან გასაყიდად.

სესხების ხარჯების კაპიტალიზაცია გრძელდება იმ დღემდე, სანამ აქტივები არსებითად არ გამზადდება მოსახმარად ან გასაყიდად.

კომპანია ახდენს სესხების იმ ხარჯების კაპიტალიზაციას, რომელთა თავიდან აცილება მას შეეძლო, კვალიფიცირებულ აქტივებზე კაპიტალური დანახარჯები რომ გაეწია. კაპიტალიზებული ხარჯები გამოითვლება კომპანიის საშუალო ფონდირების ხარჯების მიხედვით (საშუალო შეწონილი საპროცენტო ხარჯი ვრცელდება კვალიფიცირებულ აქტივებზე გაწეულ ხარჯებზე), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ფონდების სესხება ხდება კონკრეტულად კვალიფიცირებული აქტივის მიღების მიზნით. ასეთ დროს კაპიტალიზდება რეალურად გაწეული სესხების ხარჯებისა და ამ ნასესხები სახსრების დროებით ინვესტირების შემოსავლის სხვაობა.

მომავალი ხარჯებისა და გადახდების რეზერვი. მომავალი ხარჯებისა და გადახდების რეზერვი არის გაურკვეველი დროისა და ოდენობის არაფინანსური ვალდებულებები, რომლებიც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსული მოვლენიდან გამომდინარე; მოსალოდნელია, რომ ვალდებულების შესრულება მოითხოვს ეკონომიკური სარგებლის გადინებას; და მათი ოდენობა სარწმუნოდ იზომება. თუ ეფექტი მნიშვნელოვანია, რეზერვები განისაზღვრება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით გადასახადამდე განაკვეთით, რომელიც ასახავს ფულის დროში ღირებულების ბაზრისეულ შეფასებას და კონტექსტის მიხედვით, ვალდებულებისთვის დამახასიათებელ კონკრეტულ რისკებს.

სავაჭრო და სხვა გადასახდელები. სავაჭრო და სხვა გადასახდელები ირიცხება მაშინ, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს კონტრაქტით ნაკისრ ვალდებულებებს. სავაჭრო და სხვა გადასახდელები თავდაპირველად აისახება რეალური ღირებულებით, შემდგომში კი - ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. სავაჭრო გადასახდელები აისახება დღგ-ის ჩათვლით.

საწესდებო კაპიტალი. კომპანიის ნებადართული საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება (მათ შორის, საწესდებო კაპიტალის, წილებისა და სხვა) შესაძლებელია მხოლოდ კომპანიის აქციონერთა გადაწყვეტილებით. ნებადართული კაპიტალი კომპანიის საკუთარ კაპიტალში საწესდებო კაპიტალად აღიარდება აქციონერთა გადაწყვეტილებით.

მოგების გადასახადები. მოგების გადასახადები ირიცხება ანგარიშგების დღეს სრულად ან არსებითად ძალაში შესული საქართველოს კანონმდებლობით. 2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც ყველა პირისათვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა, ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს. სამომავლო მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრას 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრას 15%-იანი მოგების გადასახადით (ძველად მოქმედი მოდელით კომპანიის მოგებას გადასახადამდე 15%-იანი გადასახადი ერიცხებოდა იმის მიუხედავად, იგი კომპანიაში რჩებოდა თუ დივიდენდების სახით გაიშვებოდა).

მოგების გადასახადის დარიცხვის ახალი წესი ძალაშია 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რაც ვრცელდება კომპანიაზე. საგადასახადო ბაზა მოიცავს როგორც რეალურად განხორციელებულ, აგრეთვე განზრახულ მოგების განაწილებას, მათ შორის, შემდეგს:

- განაწილებული მოგება;
- გაწეული ხარჯები ან სხვა გადახდები, რომლებიც არ ეხება ეკონომიკურ საქმიანობას;
- საქონლის/მომსახურების უფასო მიწოდება ან/და სახსრების გადაცემა; და
- წარმომადგენლობითი ხარჯები, რომლებიც აჭარბებს საგადასახადო კოდექსით დადგენილ მაქსიმალურ თანხას.

განაწილებულ მოგებაზე მოგების გადასახადი აღიარდება როგორც ხარჯი დივიდენდების გამოცხადებისა და მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მოგების გადასახადად ჩაწერისთანავე. მიმდინარე საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები მიმდინარე და წინა პერიოდებისათვის აისახება იმ ოდენობით, რომელიც სავარაუდოდ, გადაეხდება საგადასახადო ორგანოებს ან მიიღება მათგან.

განაწილებულ მოგებაზე დარიცხულ გადასახადს გარდა სხვა გადასახადები აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში საგადასახადო ხარჯების სახით.

გადასახადების ცნების ცვლილების გამო ტერმინი „აქტივებისა და ვალდებულებების დასაბეგრი ბაზა" კარგავს დამახასიათებელ ეკონომიკურ ცნებას. ახალი საგადასახადო მოდელით ბასს 12 - მოგების

გადასახადის მიხედვით განსაზღვრული გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები და აქტივები ძალას კარგავს.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული გაშვებული საქონლის დამატებული ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებში გადაიხდება კლიენტებისათვის საქონლის ან მომსახურების მიწოდებისას. შემავალი დღგ ჩვეულებრივ იქვითება გამავალი დღგ-დან საგადასახადო ფაქტურის მიღებისას. საგადასახადო ორგანოები კომპანიებს ნებას რთავენ, დღგ ურთიერთჩათვალონ ნეტ საფუძველზე. გაყიდვებსა და შესყიდვებთან დაკავშირებული დღგ ნეტ საფუძველზე აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი აღირიცხება დებიტორის მთლიანი თანხით დღგ-ის ჩათვლით.

2015 წლის 31 დეკემბრიდან მოყოლებული, ხელმძღვანელობა კომპანიის საგადასახადო ნაშთებს წარადგენს ნეტ საფუძველზე, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 7 დეკემბრის №407 ბრძანების შესაბამისად.

შემოსავლის აღიარება. შემოსავალი აღიარდება დღგ-ის გარეშე. შემოსავლები აისახება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

ადგილობრივი გაყიდვები აისახება მიწოდებული ელექტროენერგიის საფუძველზე და გამოითვლება მოქმედი ტარიფებით.

საექსპორტო გაყიდვები და ელექტროენერგიის ტრანზიტი აღიარდება ელექტროენერგიის აღრიცხული გადაცემის საფუძველზე და გამოითვლება საკონტრაქტო ტარიფებით.

თანამშრომელთა ბენეფიტები. ხელფასები, ჯამაგირები, წლიური და ავადმყოფობის შვებულების ანაზღაურება, ბონუსები და სხვა ბენეფიტები (კვება, ცხოვრება, ტრანსპორტირება, ა.შ.) ირიცხება იმ პერიოდში, როდესაც კომპანიის თანამშრომლები შესაბამის მომსახურებას გასწევენ. კომპანიას არ გააჩნია სამართლებრივი თუ კონსტრუქციული ვალდებულება, თანამშრომლებს გადაუხადოს პენსია თუ მსგავსი ბენეფიტები.

ფინანსური შემოსავალი და ხარჯები. ფინანსური შემოსავალი და ხარჯები მოიცავს ნასესხებ სახსრებზე დარიცხულ საპროცენტო ხარჯს, საპროცენტო შემოსავალს ინვესტირებულ თანხებზე და უცხოური ვალუტის გაცვლით მიღებულ მოგებასა და ზარალს, რომლებიც დაკავშირებულია ნასესხებ სახსრებთან და ფულთან და ფულის ექვივალენტებთან.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველა საპროცენტო და სხვა ხარჯი აღიარდება ფინანსური ხარჯების ფარგლებში გაწეულად. რაც შეეხება კვალიფიცირებულ აქტივებთან დაკავშირებულ სესხების ხარჯებს, კომპანია ახდენს იმ ხარჯებს კაპიტალიზებას, რაც პირდაპირაა დაკავშირებული კვალიფიცირებული აქტივების შესყიდვასთან, დამზადებასთან ან წარმოებასთან, ამ აქტივის თვითღირებულების ფარგლებში.

საპროცენტო შემოსავალი აღიარდება დარიცხვისთანავე, აქტივზე ეფექტური ამონაგების გათვალისწინებით.

პრეზენტაციის ცვლილება. გამოცემის შემდგომ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების ნებისმიერი ცვლილება საჭიროა დამტკიცდეს კომპანიის ხელმძღვანელობის მხრიდან, რომელმაც გასცა დოკუმენტის გამოცემის ნებართვა.

4. ბუღალტრული აღრიცხვის კრიტიკული შეფასებები და დასკვნები ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანია იყენებს პროგნოზებს და დაშვებებს, რომელიც გავლენას ახდენს აქტივებისა და ვალდებულებების ასახულ ოდენობებზე მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში. პროგნოზებისა და შეფასებების ანალიზი ტარდება მუდმივად და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალი მოვლენების მოლოდინებს, რომლებიც გონივრულია არსებულ გარემოებებში. აღრიცხვის პროცედურების გამოყენებისას, ხელმძღვანელობა ასევე მიმართავს შეფასებებს, იმათ გარდა, რომლებიც მოიცავს პროგნოზებს. ის შეფასებები, რომელთაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ შუალედურ შემოკლებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშებში აღიარებულ თანხებზე და ის პროგნოზი, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ფინანსური წლის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი შესწორება, მოიცავს:

საგადასახადო კანონმდებლობა და რეზერვების აღრიცხვა. კომპანიის არასარწმუნო საგადასახადო პოზიციებს ხელმძღვანელობა აფასებს თითოეულ საანგარიშო დღეს. ვალდებულებები აღირიცხება იმ საგადასახადო პოზიციებისათვის, რომელთა შენარჩუნება, ხელმძღვანელობის აზრით, ნაკლებ სავარაუდოა, მათი საგადასახადო ორგანოების მხრიდან ეჭვქვეშ დაყენების შემთხვევაში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მომზადების თარიღისათვის უკვე მოქმედი ან არსებითად მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების საფუძველზე. საგადასახადო ვალდებულებები, მოგების გადასახადის ვალდებულების გარდა, აღიარდება ხელმძღვანელობის მხრიდან იმის პროგნოზის საფუძველზე, თუ რა ოდენობის ხარჯი იქნება საჭირო ანგარიშგების დღეს ვალდებულებების დასაფარად. რეალური დარიცხვები ამ საპროგნოზო თანხებისგან შეიძლება განსხვავდებოდეს.

დაკავშირებულ მხარესთან გარიგებების თავდაპირველი აღიარება. ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში, კომპანია გარიგებებს აფორმებს დაკავშირებულ მხარეებთან. ბასს 39-ით მოითხოვება, რომ ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება მოხდეს მათი რეალური ღირებულებით. შეფასება გამოიყენება იმის დასადგენად, გარიგებების ფასები საბაზრო საპროცენტო განაკვეთებითაა შეფასებული თუ არა, სადაც ამგვარი გარიგებებისთვის მოქმედი ბაზარი არ არსებობს. შეფასების საფუძველია დაუკავშირებელ მხარეებთან მსგავსი სახის გარიგებების ფასი და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზი. დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთების პირობები განმარტებულია შენიშვნაში 6.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადა. ძირითადი საშუალებების პუნქტების სასარგებლო გამოყენების ვადების გაანგარიშება შეფასების საქმეა და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებით არსებულ გამოცდილებას. ამ აქტივებში ჩადებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის შთანთქმა ძირითადად მოხმარების მეშვეობით ხდება. ამასთან, სხვა ისეთი ფაქტორებიც, როგორიცაა ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა ხშირად იწვევს ამ აქტივებში ჩადებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მნიშვნელოვნად შემცირებას. მენეჯმენტი დარჩენილი სასარგებლო გამოყენების ვადების გაანგარიშებას ახორციელებს აქტივების მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობისა და იმ საანგარიშო პერიოდის გათვალისწინებით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია ჯგუფის მიერ ამ აქტივებიდან სარგებლის მიიღება. მხედველობაში მიიღება შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და ტექმომსახურების გეგმაზე; და (გ) საბაზრო პირობებში მომხდარი ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური და კომერციული მოძველება.

5. ახალი და შესწორებული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) გამოყენება

ფინანსურ ანგარიშებში ნაჩვენებ თანხებზე მოქმედი ფასს-ებში შეტანილი შესწორებები

მიმდინარე წელს კომპანიამ მიიღო შემდეგი ახალი და რედაქტირებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთაც ზეგავლენა იქონია წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ნაჩვენებ თანხებზე:

- შესწორება ბასს 7-ში „განმარტების ინიციატივა";
- შესწორება ბასს 12-ში „არარეალიზებული ზარალის გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება";
- ფასს წლიური გაუმჯობესების 2014-2016 ციკლი - შესწორება ფასს 12-ში.

შესწორებები ბასს 7 „განმარტების ინიციატივა"

კომპანიამ ეს შესწორებები პირველად მიმდინარე წელს გამოიყენა. შესწორებები კომპანიისგან მოითხოვს, ისეთი განმარტებები გააკეთოს წარმოდგენილი ინფორმაციის თაობაზე, რაც საშუალებას მისცემს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს, სათანადოდ შეაფასონ ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილ ვალდებულებათა როგორც ფულადი, აგრეთვე არაფულადი ცვლილებები.

კომპანიაში ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებები მოიცავს ნასესხებ სახსრებს (შენიშვნა 11) და რამდენიმე სხვა ფინანსურ ვალდებულებას. შესწორებათა გარდამავალი მუხლების შესაბამისად, კომპანიამ წინა პერიოდის შესადარი ინფორმაცია არ განმარტა. შესწორების ამოქმედებას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე არ უმოქმედია.

სხვა შესწორებები ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას არ ახდენს.

ახალი და რედაქტირებული, გამოქვეყნებული, მაგრამ ძალაში ჯერ არშესული ფასს-ები

კომპანია არ იყენებს შემდეგ ახალ და რედაქტირებულ, გამოქვეყნებულ მაგრამ ძალაში ჯერ არშესულ ფასს-ებს:

- ფასს 9 - *ფინანსური ინსტრუმენტები*[1];
- ფასს 15 – *შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან (და შესაბამისი განმარტებები)*[1];
- ფასს 16 - იჯარა[2];
- ფასს 17 - სადაზღვევო კონტრაქტები[3];
- ფაისკ 22 - *სავალუტო ოპერაციები და საავანსო ანაზღაურება*[1];
- ფაისკ 23 - *მოგების გადასახადის დამუშავებასთან დაკავშირებული არასარწმუნოება*[2];
- შესწორებები ფასს 2 - *იმ ტრანზაქციების კლასიფიკაცია და გაზომვა, რომელთა ანაზღაურება ხდება აქციების მეშვეობით*[1];
- შესწორებები ფასს 10 და ბასს 28 – *აქტივების გაყიდვა ან დაბანდება მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში*[4];
- შესწორებები ბასს 40 - *საინვესტიციო ქონების გადაცემა*[1];
- შესწორებები ფასს 4 - *„ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები“ გამოყენება ფასს 4 „სადაზღვევო კონტრატებთან“ ერთად*[1];
- შესწორებები ფასს 9 - წინასწარი გადახდის მახასიათებლები უარყოფითი ანაზღაურებით[2];
- ბასს 28 - მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში არსებული გრძელვადიანი წილები[2];
- ფასს-ების წლიური რედაქტირების 2014-2016 წწ. ციკლი[1];
- ფასს-ების წლიური რედაქტირების 2015-2017 წწ. ციკლი[2].

1. ძალაშია 2018 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.
2. ძალაშია 2019 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.
3. ძალაშია 2021 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.
4. ძალაშია ჯერ არგამოცხადებული თარიღიდან ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.

ფასს 9 *"ფინანსური ინსტრუმენტები"*

2009 წლის ნოემბერში გამოქვეყნებული ფასს 9 ახალ მოთხოვნებს აწესებს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და გაზომვის თვალსაზრისით. 2010 წლის ოქტომბერში ფასს-ში 9 შევიდა შესწორება, რომელით ითვალისწინებს მოთხოვნებს ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციის, გაზომვისა და აღიარების გაუქმების თვალსაზრისით. 2013 წლის ნოემბერში კი მას დაემატა ახალი მოთხოვნა ჰეჯირების ზოგად აღრიცხვასთან დაკავშირებით. 2014 წლის ივლისში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოაქვეყნა ფასს 9-ის რედაქტირებული ვერსია. იგი მთლიანობაში მოიცავს ა) ფინანსური აქტივების გაუფასურების მოთხოვნებს და ბ) მცირე შესწორებებს, რომლებიც ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და გაზომვის მოთხოვნებს ეხება, „სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული რეალური ღირებულების“ ახალი კატეგორიის გათვალისწინებით, რომელიც გარკვეულ მარტივ სავალო ინსტრუმენტებს ეხება.

ფასს 9-ის ძირითადი მოთხოვნებია:

- **ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და გაზომვა.** ყველა აღიარებული ფინანსური აქტივი, რომელიც ფასს 9-ის მოქმედების არეალში ხვდება, შემდგომში უნდა აღირიცხოს ამორტიზებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით. კერძოდ, სავალო ინვესტიციები, რომლებსაც პირი ფლობს ისეთი ბიზნეს მოდელის ფარგლებში, რომლის მიზანია საკონტრაქტო ფულადი ნაკადების მიღება, და რომელ ინვესტიციებსაც გააჩნია საკონტრაქტო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითადი თანხისა და მასზე დარიცხული პროცენტის სახით, საზოგადოდ იზომება ამორტიზებული ღირებულებით შემდგომი საანგარიშო პერიოდების ბოლოს. სავალო ინვესტიციები, რომლებსაც პირი ისეთი ბიზნეს-მოდელით ფლობს, რისი მიზნებიც როგორც საკონტრაქტო ფულადი ნაკადების მიღებით, აგრეთვე ფინანსური აქტივების გაყიდვით მიიღწევა, და რომლებიც ისეთი საკონტრაქტო პირობებით ხასიათდება, რის შედეგადაც კონკრეტულ დღეებში წარმოიშობა ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითადი თანხისა და მის ნაშთზე დარიცხული პროცენტის სახით, ჩვეულებრივ იზომება სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული რეალური ღირებულებით. ყველა სხვა სავალო და წილობრივი ინვესტიცია აღირიცხება რეალური ღირებულებით შემდგომი საანგარიშო პერიოდების ბოლოს. გარდა ამისა, ფასს 9-ის მიხედვით, პირებს შეუძლიათ მიიღონ შეუქცევადი გადაწყვეტილება, წილობრივი ინვესტიციის (რომელიც არ არის გასაყიდად განკუთვნილი ან პირობითი ანაზღაურება, რომელსაც

შემსყიდველი აღიარებს ბიზნესის შერწყმის ტრანზაქციაში ფასს 3-ის მიხედვით) სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული რეალური ღირებულების ცვლილების შესახებ და მოგება-ზარალში მხოლოდ დივიდენდური შემოსავალი აღიაროს.

- **ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და გაზომვა.** რაც შეეხება მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით აღიარებული ფინანსური ვალდებულებების გაზომვას, ფასს 9 ითხოვს, რომ ამ ვალდებულების რეალური ღირებულების ცვლილება, რომელიც ამავე ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებითაა გამოწვეული, წარმოდგენილი იყოს სხვა სრულ შემოსავალში, თუ ამგვარი ცვლილებების აღიარება სხვა სრულ შემოსავალში არ ქმნის ან ზრდის ბუღალტრულ შეუსაბამობას მოგება-ზარალში. ფინანსური ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებით გამოწვეული ცვლილება რეალურ ღირებულებაში შემდგომში მოგება-ზარალში არ რეკლასიფიცირდება. ბასს 39-ის მიხედვით, მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით აღიარებული ფინანსური ვალდებულების რეალური ღირებულების მთელი ცვლილება აღირიცხება მოგება-ზარალში.
- **გაუფასურება.** ფინანსური აქტივების გაუფასურების თვალსაზრისით, ფასს 9 ითხოვს გაზომვის მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მოდელის არსებობას, რაც ბასს 39-ის გაწეული საკრედიტო დანაკარგის მოდელის საპირისპიროა. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მოდელი კომპანიას ავალდებულებს, ყოველ საანგარიშო დღეს აღრიცხოს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები და მათი ცვლილება ისე, რომ მან ასახოს საკრედიტო რისკის ცვლილება თავდაპირველი აღიარების შემდგომ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აღარ არის აუცილებელი საკრედიტო დანაკარგის აღიარებას წინ საკრედიტო ხდომილება უსწრებდეს.
- **ჰეჯირების აღრიცხვა.** ჰეჯირების აღრიცხვის ახალი ზოგადი მოდელი ინარჩუნებს ჰეჯირების აღრიცხვის მექანიზმების სამ ძირითად სახეს, რომელიც დღესდღეობით ასახულია ბასს 39-ში. ფასს 9 მეწარმეებს სთავაზობს უფრო მოქნილ მიდგომას ჰეჯირების აღრიცხვის ტრანზაქციების ტიპებთან მიმართებაში. კერძოდ, გაფართოებულია იმ ინსტრუმენტების სახეობათა რიგი, რომლებიც კლასიფიცირდება ჰეჯირების ინტრუმენტებად და არასაფინანსო ერთეულების რისკის კომპონენტების ისეთი ტიპების რაოდენობა, რომლებიც შეიძლება ჰეჯირების აღრიცხვისთვის გამოვიყენოთ. გარდა ამისა, ეფექტურობის ტესტი გაუქმდა და ჩანაცვლდა "ეკონომიკური ურთიერთობის" პრინციპით. ასევე აღარ არის საჭირო ჰეჯის ეფექტურობის რეტროსპექტიული შეფასება. ახსნა-განმარტებითი შენიშვნებისათვის შემოტანილია განმარტების გაზრდილი მოთხოვნები მეწარმის რისკის მართვის ღონისძიებებთან დაკავშირებით.

კომპანია ამჟამად სწავლობს ამ ახალი სტანდარტის ზეგავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 15 – შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

ფასს 15 მეწარმე პირებს კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვის ერთიან, სრულ მოდელს სთავაზობს. ძალაში შესვლის შემდეგ ფასს 15 ჩაანაცვლებს შემოსავლის აღიარების არსებულ პრინციპს, მათ შორის ბასს 18 – შემოსავლები, ბასს 11 – სამშენებლო კონტრაქტები და მათთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს.

ფასს 15-ის ამოსავალი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ კომპანიამ შემოსავალი ისე უნდა აღიაროს, რომ ამით ასახოს კლიენტებისათვის ნაკისრი საქონლისა თუ მომსახურების გადაცემა ისეთი თანხით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რის მიღებასაც პირი ვარაუდობს ამ საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ. კერძოდ, სტანდარტი გვთავაზობსშემოსავლის აღიარების ერთ, პრინციპებზე დაფუძნებულ, ხუთეტაპიან მოდელს:

- კლიენტთან არსებული კონტრაქტის იდენტიფიცირება;
- საკონტრაქტო ვალდებულებების იდენტიფიცირება;
- ტრანზაქციის ფასის დადგენა;
- ტრანზაქციის ფასის მიკუთვნება საკონტრაქტო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) კომპანია საკონტრაქტო ვალდებულებას შეასრულებს.

ფასს 15-ის მიხედვით, კომპანია შემოსავალს აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელსა თუ მომსახურებაზე „კონტროლი" კლიენტს გადაეცემა. უფრო კონსტრუქციული ხასიათის ინსტრუქცია დაემატა კონკრეტული სცენარების დამუშავების თვალსაზრისით. ახევე შემოდის შემოსავლის ვრცლად განმარტების ახალი მოთხოვნები.

2016 წლის აპრილში სტანდარტების საბჭომ გამოსცა ფასს 15-ის განმარტებები, რომლებიც ფინანსური შედეგების ვალდებულებების იდენტიფიცირებასთანაა დაკავშირებული და აგრეთვე ვრცელდება ძირითადი თანხისა და აგენტის ანაზღაურების საკითხებსა და ლიცენზირების თემებზე.

კომპანია ამჟამად სწავლობს ამ ახალი სტანდარტის ზეგავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 16 - *იჯარა*

ფასს 16-ში მოცემულია საიჯარო გარიგებების გამოვლენისა და იჯარის ხელშეკრულების ორივე მხარის აღრიცხვიანობის პრინციპები. ძალაში შესვლისას ეს სტანდარტი ჩაანაცვლებს იჯარის შესახებ არსებულ ბასს 17-სა და მასთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს.

ფასს 16-ში საიჯარო და მომსახურების კონტრაქტები ერთმანეთისგან განსხვავდება იმის მიხედვით, აკონტროლებს თუ არა მოცემულ აქტივს კლიენტი. საოპერაციო იჯარის (არასაბალანსო) და ფინანსური იჯარის (საბალანსო) განსხვავებები უქმდება და ნაცვლდება მოდელით, რომლის მიხედვით გამოყენების უფლების მატარებელი აქტივი და შესაბამისი ვალდებულება, ყველა სახის იჯარის შემთხვევაში, უნდა აღიაროს იჯარის მიმღებმა (ანუ ყველა საბალანსო იჯარისა). აღნიშნული არ ეხება დაბალღირებულებიანი აქტივების იჯარებსა და მოკლევადიან იჯარებს.

გამოყენების უფლების მქონე აქტივი თავდაპირველად აისახება თვითღირებულებით, შემდგომში კი (გამონაკლისების გათვალისწინებით) თვითღირებულებისა და დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის სხვაობით, რომელიც საიჯარო ვალდებულების ნებისმიერი გადაფასებისას კორექტირდება. საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად აისახება აღიარების დღეს გადაუხდელი საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით. ამის შემდგომ საიჯარო ვალდებულება კორექტირდება პროცენტისა და საიჯარო გადახდების ოდენობით, აგრეთვე, სხვა ფაქტორთა შორის, იჯარის ცვლილების გათვალისწინებით. გარდა ამისა, ცვლილება ეხება ფულადი ნაკადების კლასიფიკაციას, რადგან ბასს 17-ით გათვალისწინებული საოპერაციო იჯარის გადახდები საოპერაციო ფულად ნაკადებში აისახება; მეორე მხრივ, ფასს 16-ის მოდელით, საიჯარო გადახდები იყოფა ძირითად და პროცენტის ნაწილებად და, შესაბამისად, შედის ფინანსური და საოპერაციო ფულადი ნაკადების გაანგარიშებაში. იჯარის მიმღების მხარეს არსებული აღრიცხვისგან განსხვავებით, ფასს 16-ში იჯარის გამცემის მხრიდან აღრიცხვიანობის პრინციპები ბასს 17-თან შედარებით მნიშვნელოვანწილად იგივეა. აქაც იჯარის გამცემი მოვალეა, იჯარა ან საოპერაციო იჯარად ჩათვალოს ან ფინანსურ იჯარად.

კომპანია ამჟამად სწავლობს ამ ახალი სტანდარტის ზეგავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფაისკ 22 სავალუტო ოპერაციები და საავანსო ანაზღაურება

ფაისკ 22 განმარტავს, თუ როგორ უნდა დადგინდეს „ტრანზაქციის თარიღი" აქტივის, ხარჯის ან შემოსავლის თავდაპირველი აღიარებისას გაცვლითი კურსის დაფიქსირების მიზნით, როდესაც ამ ერთეულის ანაზღაურება იხდება ან მიიღება ავანსად უცხოურ ვალუტაში და ამ ქმედებამ გამოიწვია არაფულადი აქტივის ან არაფულადი ვალდებულების (მაგალითად, აუნაზღაურებადი დეპოზიტის ან გადავადებული შემოსავლის) აღიარება.

ინტერპრეტაცია აკონკრეტებს, რომ ტრანზაქციის თარიღი არის ის დღე, როდესაც კომპანიამ თავდაპირველად აღიარა არაფულადი აქტივი ან არაფულადი ვალდებულება ავანსის გადახდის ან მიღების შედეგად. ავანსის რამდენიმე ნაწილად გადახდის ან მიღების შემთხვევაში, ინტერპრეტაცია კომპანიას ავალდებულებს, ტრანზაქციის თარიღად დაადგინოს ავანსის თითოეული გადახდის ან მიღების დღე.

ინტერპრეტაცია ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ვადამდელი გამოყენება ნებადართულია. კომპანიებს შეუძლიათ შესწორება გამოიყენონ რეტროსპექტიულად ან პროსპექტიულად. შესწორებაში მოცემულია სპეციფიური გარდამავალი დებულებებიც პროსპექტიული გამოყენების შემთხვევებისათვის.

კომპანიის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ ამ ინტერპრეტაციის გამოყენება არსებით ზეგავლენას იქონიებს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე, რადგან იგი უკვე იყენებს ფაისკ 22-ში მითითებულ მიდგომას.

ფასს-ების წლიური რედაქტირების 2015-2017 წწ. ციკლი

ფასს-ების წლიური რედაქტირების 2015-2017 წწ. ციკლი მოიცავს რამდენიმე სტანდარტის შესწორებას.

ფასს 3-ის შესწორება განმარტავს, რომ თუ კომპანიამ კონტროლი დაამყარა ისეთ ბიზნესზე, რომელიც ერთობლივ საქმიანობას წარმოადგენს, მან ხელახლა უნდა შეაფასოს ამ ბიზნესში ფლობილი წილები. ფასს 11-ის შესწორება განმარტავს, რომ თუ კომპანიამ ერთობლივი კონტროლი დაამყარა ისეთ ბიზნესზე, რომელიც ერთობლივ საქმიანობას წარმოადგენს, მან ხელახლა არ უნდა შეაფასოს ამ ბიზნესში ფლობილი წილები.

ბასს 12-ის შესწორება განმარტავს, რომ დივიდენდების (ანუ მოგების განაწილების) მოგების გადასახადზე მოქმედი შედეგები მოგება-ზარალის ანგარიშგებაში უნდა აღიარდეს იმის მიუხედავად, თუ როგორ წარმოიშვა გადასახადი.

ბასს 23-ის შესწორება განმარტავს, რომ თუ შესაბამისი აქტივის გამოსაყენებლად ან გასაყიდად გამზადების შემდეგ დასაფარი დარჩა ნასესხები სახსრების რაიმე ნაწილი, ნასესხებ სახსრებზე კაპიტალიზაციის კოეფიციენტის გამოთვლის პროცესში ეს სესხი უნდა შევიდეს იმ თანხებში, რომლებსაც კომპანია ზოგადად სესხულობს.

ყველა შესწორება ძალაშია 2019 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის.

კომპანიის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ ამ შესწორებათა გამოყენება არსებით ზეგავლენას იქონიებს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

6. ნაშთები და ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები დაკავშირებულად ითვლებიან, თუ ისინი იმყოფებიან ერთობლივ კონტროლქვეშ ან რომელიმე მათგანს გააჩნია უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან იქონიოს მნიშვნელოვანი ზეგავლენა ან ერთობლივად გააკონტროლოს მეორე მხარე ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებში. თითოეული ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ურთიერთობის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას.

კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ტრანზაქციები სხვა კომპანიებთან, რომლებიც მასთან დაკავშირებულები არიან საერთო მაკონტროლებელი მხარის მიერ კონტროლირებული პირების საშუალებით, აგრეთვე ტრანზაქციები კომპანიასა და ხელმძღვანელობას შორის, წარიმართება საბაზრო განაკვეთებით, რომლებიც არ არის არადაკავშირებულ მხარეებთან არსებულ ტრანზაქციებში გამოყენებულ განაკვეთებზე უფრო ხელსაყრელი.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები იყო:

ქართულ ლარში	შენიშვნა	სხვა აქციონერი	პირები ერთობლივ კონტროლქვეშ
სხვა მოთხოვნები		-	38,235
ნასესხები სახსრები:			
- ძირითადი თანხა	11	144,402,986	-
- სესხზე გადასახდელი პროცენტი (განაკვეთი: 6.53%)	11	2,041,880	-

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები იყო:

ქართულ ლარში	შენიშვნა	სხვა აქციონერი	პირები ერთობლივ კონტროლქვეშ
სხვა მოთხოვნები		-	60,073
ნასესხები სახსრები:			
- ძირითადი თანხა	11	148,994,957	-
- სესხზე გადასახდელი პროცენტი (განაკვეთი: 4.76%)	11	1,538,728	-

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ წელს დაკავშირებულ მხარეებთან შემოსავლისა და ხარჯების პუნქტები იყო:

ქართულ ლარში	შენიშვნა	სხვა აქციონერი	პირები ერთობლივ კონტროლქვეშ
ელექტროენერგიის გაყიდვა	13	-	10,787,225
სხვა შემოსავალი		-	56,806
მომსახურების ხარჯები		-	746,303
საპროცენტო ხარჯი	11,19	8,478,886	-
სხვა ფინანსური ხარჯი	19	331,255	-

სხვა შემოსავალი მიიღება შპს „ხელედულა ენერჯისათვის" მიწოდებული ზოგადი და ადმინისტრაციული მომსახურებიდან. შემოსავალი აღიარდება ნეტ საფუძველზე, რადგან მიწოდებულ მომსახურებაში გამოყენებული რესურსები მოიცავს პერსონალის ანაზღაურებას, მომსახურებისა და სხვა საოპერაციო ხარჯებს.

2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ წელს დაკავშირებულ მხარეებთან შემოსავლისა და ხარჯების პუნქტები იყო:

ქართულ ლარში	შენიშვნა	სხვა აქციონერი	პირები ერთობლივ კონტროლქვეშ
ელექტროენერგიის გაყიდვა	13	-	15,256,286
სხვა შემოსავალი		-	31,004
მომსახურების ხარჯები		-	700,253
პერსონალის ანაზღაურება			11,265
საპროცენტო ხარჯი	11	9,678,231	-
სხვა ფინანსური ხარჯი	19	118,871	-

უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურება. უმაღლესი ხელმძღვანელობა მოიცავს კომპანიის გენერალურ მენეჯერს, ფინანსურ დირექტორსა და კომერციულ დირექტორს.

ქვემოთ წარმოდგენილია უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურება:

	2017		2016	
ქართულ ლარში	ხარჯი	დარიცხული ვალდებულება	ხარჯი	დარიცხული ვალდებულება
მოკლევადიანი ბენეფიტები:				
- ხელფასები	1,505,769	-	1,413,094	-
- მოკლევადიანი ბონუსები	247,949	37,194	228,874	34,331
სულ	**1,753,718**	**37,194**	**1,641,968**	**34,331**

7. ძირითადი საშუალებები

ქართულ ლარში	მიწა და შენობა-ნაგებობები	ტრანსფორმატორები, გენერატორები და ჰესებთან დაკავშირებული ტექნიკა	გადამცემი ხაზები და შესაბამისი ტექნიკა	ინფრასტრუქტურული აქტივები	მანქანა-დანადგარები	ავეჯი და სხვა მოწყობილობები	სატრანსპორტო საშუალებები	დაუმონტაჟებელი მოწყობილობები	სულ
თვითღირებულება									
1 იანვარი 2016	**209,781,798**	**82,550,409**	**12,679,377**	**2,077,761**	**5,578,672**	**764,632**	**507,954**	**534,895**	**314,475,498**
დამატება	-	-	-	-	162,496	156,132	91,816	-	410,444
რეალიზაცია	-	-	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2016	**209,781,798**	**82,550,409**	**12,679,377**	**2,077,761**	**5,741,168**	**920,764**	**599,770**	**534,895**	**314,885,942**
დამატება	-	-	-	-	42,508	12,601	-	-	55,109
რეალიზაცია	-	-	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2017	**209,781,798**	**82,550,409**	**12,679,377**	**2,077,761**	**5,783,676**	**933,365**	**599,770**	**534,895**	**314,941,051**
დაგროვილი ცვეთა									
1 იანვარი 2016	**(6,089,848)**	**(6,862,085)**	**(316,344)**	**(527,173)**	**(2,269,126)**	**(425,504)**	**(397,279)**	**-**	**(16,887,359)**
ცვეთის დარიცხვა	(4,193,421)	(5,518,436)	(254,282)	(105,903)	(813,467)	(97,962)	(64,270)	-	(11,047,741)
31 დეკემბერი 2016	**(10,283,269)**	**(12,380,521)**	**(570,626)**	**(633,076)**	**(3,082,593)**	**(523,466)**	**(461,549)**	**-**	**(27,935,100)**
ცვეთის დარიცხვა	(4,181,962)	(5,503,360)	(253,587)	(105,615)	(840,393)	(109,265)	(53,878)	-	(11,048,060)
31 დეკემბერი 2017	**(14,465,231)**	**(17,883,881)**	**(824,213)**	**(738,691)**	**(3,922,986)**	**(632,731)**	**(515,427)**	**-**	**(38,983,160)**
საბალანსო ღირებულება									
31 დეკემბერი 2016	**199,498,529**	**70,169,888**	**12,108,751**	**1,444,685**	**2,658,575**	**397,298**	**138,221**	**534,895**	**286,950,842**
31 დეკემბერი 2017	**195,316,567**	**64,666,528**	**11,855,164**	**1,339,070**	**1,860,690**	**300,634**	**84,343**	**534,895**	**275,957,891**

დაუმონტაჟებელი მოწყობილობები მოიცავს სათადარიგო ტრანსფორმატორებსა და ჰეს-ების მოწყობილობათა სხვა ნაწილებს, რომლებიც აუცილებელია მსხვილი სარემონტო სამუშაოებისათვის.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გარდა ინფრასტრუქტურული აქტივებისა და დაუმონტაჟებელი მოწყობილობებისა, შპს „საქართველო - ურბან ენერჯის" ძირითადი საშუალებების უდიდესი ნაწილი დატვირთული იყო გირაოთი, როგორც ერგბ-ისა და სსკ-ის სესხების უზრუნველსაყოფად (შენიშვნა 11).

8. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

ქართულ ლარში	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
სავაჭრო მოთხოვნები	3,286,359	3,435,647
სხვა მოთხოვნები	38,235	60,073
სულ ფინანსური მოთხოვნები სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ფარგლებში	**3,324,594**	**3,495,720**
დასაბრუნებელი ღვგ	239,158	742,967
წინასწარ გადახდილი ხარჯები	73,648	201,754
ავანსები თანამშრომლებზე	5,919	26,981
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**3,643,319**	**4,467,422**

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო მოთხოვნების ნაშთი წარმოშობილია ადგილობრივი ბაზრის ოპერატორ ს.ს. „ელექტროსისტემის კომერციულ ოპერატორზე“ ელექტროენერგიის მიყიდვით.

9. ფული და ფულის ექვივალენტები

ქართულ ლარში	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
მოკლევადიანი დეპოზიტები	3,110,640	-
დაგროვილი პროცენტი ბანკში განთავსებულ დეპოზიტებზე	2,585	-
მიმდინარე ანგარიშები ბანკები	726,466	3,780,303
ნაღდი ფული ხელზე	1,708	1,155
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	**3,841,399**	**3,781,458**

მთლიანი ფული და ფულის ექვივალენტები კლასიფიცირდება მიმდინარედ და გაუფასურების გარეშე არსებულად. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 3,535,370 ლარის ექვივალენტი (31 დეკემბერი 2016: 3,335,504) ფლობილი იყო აშშ დოლარში.

კომპანია ლარში დენომინირებულ მიმდინარე ანგარიშებზე იღებს წლიურ პროცენტს ნულიდან 7%-მდე, ხოლო აშშ დოლარში დენომინირებულ მიმდინარე ანგარიშებზე - ნულიდან 1.5%-მდე.

კომპანიას ჭარბი ფული მოკლევადიანი დეპოზიტების სახით, 52 დღემდე ვადით განთავსებული აქვს „ალტერნატივაბანკ ა.ს.“-ში („აბანკი“). დეპოზიტებზე დადგენილი საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ 4%. დეპოზიტები დენომინირებულია აშშ დოლარში.

10. საწესდებო კაპიტალი

ქართულ ლარში	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
აქციონერების მიერ შეტანილი კაპიტალი აქციების გამოშვების გარდა	123,638,980	123,638,980

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ნებადართული და სრულად გადახდილი საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 123,638,980 ლარს და მოიცავდა „ანადოლუ კაფკასია ენერჯი იატირიმლარი ანონიმ შირკეტის“ გადახდილ 115,333,480 ლარსა და ერგბ-ის მიერ გადახდილ 8,305,500 ლარს.

11. ნასესხები სახსრები

ქართულ ლარში	31 დეკემბერი 2017 მიმდინარე ვალდებულებები	31 დეკემბერი 2017 გრძელვადიანი ვალდებულებები	31 დეკემბერი 2016 მიმდინარე ვალდებულებები	31 დეკემბერი 2016 გრძელვადიანი ვალდებულებები
გრძელვადიანი სესხები - ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (ერგბ) - შენიშვნა 6	4,580,774	141,864,092	16,817,983	133,715,702
გრძელვადიანი სესხები - საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (სსკ)	3,687,611	116,070,620	13,707,363	109,403,757
გრძელვადიანი სესხები - „თურქიე სინაი კალკინმა ბანკასი ა.ს.“ (თსკბ)	22,870,389	-	29,101,595	-
გრძელვადიანი სესხი - „აკბანკი“	3,274,093	-	3,337,174	-
სულ ნასესხები სახსრები	**34,412,867**	**257,934,712**	**62,964,115**	**243,119,459**

2011 წლის 22 ივნისს, კომპანიამ, ერგბ-მა და სსკ-მ ხელი მოაწერეს დაფინანსების ზოგადი პირობების ხელშეკრულებას ფარავნის ჰესის მშენებლობის, დასრულებისა და ექსპლუატაციაში შეყვანის („პროექტი“) და პროექტის მიმდინარეობასთან დაკავშირებული ზოგიერთი სხვა დანახარჯის დასაფინანსებლად. ხელშეკრულების პირობების მიხედვით, ერგბ და სსკ დათანხმდნენ, კომპანიისათვის სესხის სახით გადაეცათ, შესაბამისად, 63,500,000 აშშ დოლარი და 52,000,000 აშშ დოლარი.

კომპანიამ სესხის ძირითადი თანხის დაფარვა დაიწყო 2015 წლის ოქტომბერში.

2017 წლის 12 აპრილს კომპანიამ, „ანადოლუ ენდუსტრი ჰოლდინგ ა.ს.“-მ, „ანადოლუ კაფკასია ენერჯი იატირიმლარი ა.ს.“-მ, ერგბ-მა და სსკ-მ ხელი მოაწერეს შესწორების ხელშეკრულებას ზოგიერთი ფინანსური შეთანხმების თაობაზე. შესწორების თანახმად, კომპანია ძირითად თანხას გადაიხდის გაგრძელებულ ვადაში, 2029 წლის ოქტომბრამდე, ნაცვლად თავიდან შეთანხმებული 2026 წლის აპრილისა.

სსკ-ის სესხებზე საპროცენტო განაკვეთი განსაზღვრულია ზღვრული 5%-ისა და ექვსი თვის ლიბორის ჯამით. ერგბ-ის სესხებზე განაკვეთია ზღვრული 5%-ისა და ბაზრის ჩავარდნის ეფექტზე კორექტირებული პერიოდის ბანკთაშორისი განაკვეთის ჯამი. ზღვარი 2019 წლის 22 ივნისიდან 5.35%-მდე გაიზრდება.

2016 წლის 13 აპრილს კომპანიამ ხელი მოაწერა მოკლევადიან სასესხო ხელშეკრულებას „აკბანკთან“ 2,500,000 აშშ დოლარის ოდენობის მთლიან თანხაზე, წლიური 3.9%. სესხის მიზანი საბრუნავი კაპიტალის დაფინანსებაა. 2016 წლის 4 მაისს კომპანიამ დარჩენილი ნაშთის 1,250,000 აშშ დოლარი დაფარა. 2017 წლის 13 აპრილს სასესხო ხელშეკრულება ერთი წლით გახანგრძლივდა.

2017 წლის 30 ოქტომბერს კომპანიამ წელი მოაწერა საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებას „თსკბ“-თან 10,000,000 აშშ დოლარის ლიმიტით. ამ სესხის მიზანი იყო „ალტერნატიფბანკ ა.ს.“-გან („აბანკი“) საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების თანახმად მიღებული 8,750,000 აშშ დოლარიანი სესხის დარჩენილი ნაწილის დაფარვა. საპროცენტო განაკვეთი განსაზღვრულია ზღვრული 5%-ისა და ექვსი თვის ლიბორის ჯამით. სესხი კომპანიამ მიიღო სამ ნაწილად, თითოეული 1 წლის ვადით. პროცენტი იხდება ექვს თვეში ერთხელ, ძირითადი თანხა - ვადის ამოწურვისას.

ნასესხები სახსრების მოძრაობა 2017 წლის განმავლობაში იყო:

ქართულ ლარში	ერგბ	სსკ	თსკბ	აბანკი	აკბანკი	სულ
1 იანვარი 2017	150,533,685	123,111,120	-	29,101,595	3,337,174	306,083,574
დამატება წლის განმავლობაში	-	-	23,462,925	22,282,970	-	45,745,895
წლიური პროცენტი (შენიშვნა 19)	8,478,886	6,946,202	188,639	1,168,110	141,283	16,923,120
გადახდილი პროცენტი	(7,869,532)	(6,447,090)	-	(1,757,166)	(133,543)	(16,207,331)
გადახდილი ძირითადი თანხა	(1,474,378)	(1,207,797)	-	(50,600,275)	-	(53,282,450)
საკურსო სხვაობა, წმინდა	(3,223,796)	(2,644,204)	(781,175)	(195,234)	(70,820)	(6,915,229)
31 დეკემბერი 2017	**146,444,865**	**119,758,231**	**22,870,389**	**-**	**3,274,094**	**292,347,579**

ნასესხები სახსრების მოძრაობა 2017 წლის განმავლობაში იყო:

ქართულ ლარში	ერგბ	სსკ	აბანკი	აკბანკი	სულ
1 იანვარი 2016	146,799,216	120,060,596	31,731,577	-	298,591,389
დამატება წლის განმავლობაში	-	-	44,312,750	5,681,750	49,994,500
წლიური პროცენტი (შენიშვნა 19)	9,678,231	7,923,772	1,440,751	93,667	19,136,421
გადახდილი პროცენტი	(5,881,969)	(4,822,885)	(1,351,046)	(64,546)	(12,120,446)
გადახდილი ძირითადი თანხა	(13,335,289)	(10,932,764)	(51,010,950)	(2,779,750)	(78,058,753)
საკურსო სხვაობა, წმინდა	13,273,496	10,882,401	3,978,513	406,053	28,540,463
31 დეკემბერი 2016	**150,533,685**	**123,111,120**	**29,101,595**	**3,337,174**	**306,083,574**

მიმდინარე ნასესხები სახსრების რეალური ღირებულება მათი საბალანსო ღირებულების ტოლია, რადგან დისკონტირების ეფექტი მნიშვნელოვანი არ არის. რეალური ღირებულებები ეფუძნება საშუალო განაკვეთით გაანგარიშებული განაკვეთით (5.3%; 2016: 4.9%) დისკონტირებულ ფულად ნაკადებს და წარმოადგენს რეალური ღირებულების იერარქიის მეორე დონეს.

12. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

ქართულ ლარში	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
გადასახდელები მომწოდებლების მიმართ	21,506	35,766
დარიცხული თანამშრომელთა ბენეფიტები	29,755	27,556
დარიცხული საკომისიოები	199,701	90,164
სულ სავაჭრო და სხვა გადასახდელები	**250,962**	**153,486**

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დარიცხული საკომისიოები მოიცავს ტექნიკური აუდიტის მომსახურების ანაზღაურებას - 91,269 ლარი (31 დეკემბერი 2016: ნული), წლიური ფინანსური აუდიტის მომსახურების ანაზღაურებას - 43,179 ლარი (31 დეკემბერი 2016: 56,218 ლარი), თავისუფალი ფულის გადარიცხვის მონიტორინგის მომსახურებას - 38,883 ლარი (31 დეკემბერი 2016: ნული), ექსპორტის პროგნოზიდან არაექსპორტირებული ელექტროენერგიის საკონტრაქტო ანაზღაურებას - 15,416 ლარი (31 დეკემბერი 2016: ნული), გადასახდელებს სესხის პროცენტზე - 9,432 ლარის (31 დეკემბერი 2016: 32,424 ლარი) ექვივალენტი აშშ დოლარში და სხვა გადასახდელებს 1,522 ლარი (31 დეკემბერი 2016: 1,522 ლარი).

13. შემოსავალი

ქართულ ლარში	2017	2016
ელექტროენერგიის გაყიდვა ადგილობრივ ბაზარზე	26,523,421	27,815,201
ელექტროენერგიის გაყიდვა უცხოურ ბაზარზე	10,787,225	15,256,286
სულ შემოსავალი	**37,310,646**	**43,071,487**

შემოსავალი წარმოდგენილია ნეტ საფუძველზე. საექსპორტოდ „ელექტროენერგიის ბაზრის ოპერატორისგან“ (ესკო) დასაბალანსებლად შესყიდული ელექტროენერგიის ღირებულება 86,739 ლარის ოდენობით (2016: 226,913 ლარი) მთლიანი შემოსავლიდან გამოკლებულია.

14. მომსახურების ხარჯები

ქართულ ლარში	2017	2016
დისპეჩერიზაციასთან, გადაცემასა და ელექტროენერგიის სხვაგვარად გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები	4,960,328	5,786,236
დაზღვევის ხარჯები	607,934	654,298
ინფორმაციის, კონსულტაციისა და სხვა პროფესიული ხარჯები	383,994	852,818
დაცვის ხარჯები	242,034	242,034
ქირის ხარჯები	102,713	100,887
ტრანსპორტაციის ხარჯები	66,240	66,240
სხვა ხარჯები	10,755	13,800
სულ მომსახურების ხარჯები	**6,373,998**	**7,716,313**

დისპეჩერიზაციასთან, გადაცემასა და ელექტროენერგიის სხვაგვარად გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები მოიცავს მომსახურების ანაზღაურებას - სულ 2,433,228 ლარი (2016: 2,908,905 ლარი), რომელიც კომპანიამ გადაიხადა ჰესის მიერ გენერირებული ელექტროენერგიის საზღვარზე მისაწოდებლად, რა მომსახურებაც გასწიეს მომსახურების მიმწოდებლებმა, როგორებიცაა ს.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ (სსე), შპს „ენერგოტრანსმა“ და ს.ს. „საქრუსენერგომ“ და 1,402,379 ლარს (2016: 2,119,049 ლარი), რომელიც კომპანიამ გადაიხადა გარანტირებულ სიმძლავრესა და ესკოს მიერ მოწოდებულ ზოგად მომსახურებაში. ეს ხარჯები აგრეთვე მოიცავს კომპენსაციას 1,124,721 ლარის ოდენობით (2016: 758,282 ლარი).

დაზღვევის ხარჯები მოიცავს კომპანიის ოპერაციებთან დაკავშირებული დაზღვევის ხარჯებს, როგორიცაა მანქანა-დანადგარების მსხვილი ავარიისა და ბიზნესის შეწყვეტისგან დაზღვევის ხარჯს - 517,476 ლარი (2016: 561,709 ლარი), მესამე მხარის ვალდებულებათა დაზღვევის ხარჯს - 25,913 ლარი (2016: 34,486 ლარი), პოლიტიკური ძალადობისგან დაზღვევის ხარჯს - 42,096 ლარი (2016: 27,313 ლარი) და სხვა დაზღვევის ხარჯებს სულ 22,449 ლარის ოდენობით (2016: 30,790 ლარი).

15. პერსონალის ხარჯები

ქართულ ლარში	2017	2016
ხელფასები	3,181,520	3,167,653
სურსათით მომარაგება	104,739	106,635
თანამშრომელთა ტრენინგი	44,602	29,934
დაზღვევა	27,397	27,503
სულ პერსონალის ხარჯები	**3,358,258**	**3,331,725**

16. საბაღდასახადო ხარჯი

ქართულ ლარში	2017	2016
ქონებისა და მიწის გადასახადი	2,708,925	2,507,283
სხვა გადასახადები	14,629	17,599
სულ საგადასახადო ხარჯი	**2,723,554**	**2,524,882**

17. სხვა საოპერაციო ხარჯები

ქართულ ლარში	2017	2016
ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის რეგულირების ხარჯი	96,196	105,619
ავტომანქანისა და საწვავის ხარჯები	66,269	64,794
რემონტის ხარჯები	63,327	148,220
კავშირგაბმულობის ხარჯები	20,996	25,117
საქველმოქმედო ხარჯები	20,000	1,950
კომუნალური ხარჯები	18,589	26,882
საოფისე ხარჯები	11,726	9,039
მივლინების ხარჯები	10,512	24,870
მასალების ხარჯები	6,292	8,090
წარმომადგენლობითი ხარჯები	300	5,741
ხვა ხარჯები	78,240	40,072
სულ სხვა საოპერაციო ხარჯები	**392,447**	**460,394**

18. ფინანსური შემოსავალი

ქართულ ლარში	2017	2016
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება, წმინდა	5,876,102	-
საპროცენტო შემოსავალი	151,344	143,047
სულ ფინანსური შემოსავალი	**6,027,446**	**143,047**

19. ფინანსური ხარჯები

ქართულ ლარში	2017	2016
საპროცენტო ხარჯები (შენიშვნა 11)	16,923,120	19,136,421
ბანკის საკომისიო	4,408	5,497
სხვა ფინანსური ხარჯები	650,429	232,779
საკურსო სხვაობით მიღებული ზარალი, წმინდა	-	28,463,776
სულ ფინანსური ხარჯები	**17,577,957**	**47,838,473**

სხვა ფინანსურ ხარჯებში შედის ერგბ-ისა და სსკ-ის სესხების რესტრუქტურიზაციასთან დაკავშირებული იურიდიული, აუდიტორული და ადმინისტრაციული მომსახურების ხარჯები - 370,167 ლარი (2016: ნული), ბანკების საკონსულტაციო კომპანიის მიერ გაწეული თავისუფალი ფულის გადარიცხვის მონიტორინგის მომსახურების ხარჯები - 163,227 ლარი (2016: ნული), მმართველობის ანაზღაურება - 49,195 ლარი (2016: 11,263 ლარი), რომელიც კომპანიამ გადაუხადა სსკ-ს 2011 წლის 20 სექტემბრის აქციონერთა ხელშეკრულების თანახმად, და „აბანკისა“ და „თსკბ“-ის სესხების პროცენტზე დარიცხული გადასახადი 67,838 ლარის ოდენობით (20016: 102,645 ლარი).

20. მოგების გადასახადი

მოგება-ზარალში აღიარებული მოგების გადასახადი

	2017	2016
მიმდინარე გადასახადი	-	-
გადავადებული საგადასახადო (ხარჯი)/სარგებელი	-	(4,559,394)
სულ მიმდინარე წელს აღიარებული მოგების გადასახადის სარგებელი	-	(4,559,394)

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა მიიღო, ხოლო პრეზიდენტმა ხელი მოაწერა კორპორაციული საგადასახადო კოდექსის ცვლილებებს, რომლებიც ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს. კოდექსი ქართულ კომპანიებსა და არარეზიდენტი კომპანიების მუდმივ წარმომადგენლობებზე, აგრეთვე გარკვეულ საფინანსო ინსტიტუტებზე ვრცელდება.

წინა საგადასახადო რეჟიმი, რომლის მიხედვით, კომპანიები წლიური დასაბეგრი მოგების მიხედვით იხდიდნენ გადასახადს, ჩანაცვლდა სისტემით, რომლის მიხედვით გადასახადის გადახდა მოხდება მხოლოდ კორპორაციული მოგების განაწილების შემთხვევაში.

აღნიშნულმა ცვლილებამ მყისიერი ეფექტი იქონია კომპანიების გადავადებულ გადასახადზე, რადგან გაქრა დროებითი სხვაობები გარკვეული აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და საგადასახადო ბაზისებს შორის. ცვლილების შედეგად, გადავადებული საგადასახადო ვალდებულების ნაშთი, რომელიც წინა პერიოდებში წარმოშობილ, აღიარებულ დროებით სხვაობებს განეკუთვნებოდა, 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში სრულად ჩამოიწერა.

21. პირობითი ვალდებულებები

გადასახადები. საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება კანონმდებლობის ხშირი ცვლილებით, დასკვნებითა და სასამართლოს გადაწყვეტილებებით, რომლებიც ხშირად ბუნდოვანია, ურთიერთსაწინააღმდეგო და მრავალგვარი ინტერპრეტაციის პოტენციალით იმის მიხედვით, თუ მას რომელი საგადასახადო ორგანო განმარტავს. ხშირად ადგილი აქვს საგადასახადო შემოწმებას სხვადასხვა სახელმწიფო ორგანიზაციის მხრიდან, რომელთაც აქვთ უფლებამოსილება, კომპანიებს დააკისრონ მძიმე ჯარიმები და პროცენტები. საგადასახადო წელი შეიძლება შემოწმდეს ოთხი მომდევნო კალენდარული წლის განმავლობაში, ზოგ შემთხვევაში კი - უფრო დიდი ხნის მანძილზეც.

ამ პირობებიდან გამომდინარე საქართველოში შეიძლება გაჩნდეს ისეთი საგადასახადო რისკები, რომლებიც არსებითად უფრო მძიმე იქნება, ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ მას დაფარული აქვს საგადასახადო ვალდებულებები შესაბამისი საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური დასკვნებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების მისეული ინტერპრეტაციიდან გამომდინარე. თუმცა, სხვა ორგანოთა ინტერპრეტაციები შესაძლოა განსხვავებული აღმოჩნდეს და თუ ორგანოებმა თავისი ინტერპრეტაციით მუშაობა შეძლეს, ამის ეფექტი წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე შეიძლება მნიშვნელოვანიც აღმოჩნდეს. 2017 წლის 21 თებერვალს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტმა კომპანიას მიაწოდა ორდერ №4187, რის შედეგადაც, 2014 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე კომპანიის ფინანსურ ინფორმაციას ჩაუტარდა საგადასახადო აუდიტი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოცემის დღისათვის ეს პერიოდები დაიხურა და შემოწმებას აღარ ექვემდებარება.

გარემოს დაცვა. საქართველოში გარემოსდაცვითი რეგულირების აღსრულება ახლახანს დაიწყო და სახელმწიფო ორგანოთა მხრიდან აღსრულების პრაქტიკა მუდმივად იცვლება. კომპანია პერიოდულად ამოწმებს გარემოსდაცვითი რეგულაციების დაცვის მხარეს. ვალდებულებათა დადგენისთანავე ხდება მათი აღიარება. პოტენციური ვალდებულებები, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას არსებული რეგულაციების აგრეთვე სამოქალაქო პროცესებისა თუ კანონმდებლობის ცვლილების შედეგად, სარწმუნოდ არ იზომება, თუმცა, შეიძლება მნიშვნელოვანიც აღმოჩნდეს. არსებულ აღსრულების გარემოში, მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ მიყენებული ეკოლოგიური ზიანით გამოწვეული მნიშვნელოვანი ვალდებულებები არ გააჩნია.

ინვესტიციები. 2017 წლის 29 მაისს კომპანიამ და საქართველოს მთავრობამ ხელი მოაწერეს ურთიერთგაგების მემორანდუმს საქართველოს სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, მდინარე ფარავანზე 85 მეგავატიანი ჰიდროელექტრო სადგურის მშენებლობის თაობაზე.

აღნიშნული მემორანდუმის მიხედვით, კომპანია ვალდებულია, ზამთრის სამი თვის (დეკემბერი-თებერვალი) განმავლობაში გენერირებული ელექტროენერგია ელექტროსისტემის კომერციულ ოპერატორს მიჰყიდოს მინიმალურ გარანტირებულ ფასად 4.7 აშშ ცენტი/კილოვატსაათი, ხოლო დანარჩენ თვეებში ელექტროენერგია გავა თურქეთში.

მემორანდუმის მოქმედების ვადის ამოწურვის შემდეგ (სანამ კომპანია მთლიანად არ ამოიღებს მემორანდუმის ფარგლებში ჩადებულ ინვესტიციას, მაგრამ არა უმეტეს 15 წლის განმავლობაში ჰესის მშენებლობის შეკვეთიდან), ზემოაღნიშნული შეზღუდვები მოიხსნება და კომპანიას უფლება ექნება, თავისუფლად გაყიდოს ან/და ექსპორტზე გაიტანოს მის მიერ გენერირებული მთელი ელექტროენერგია თავისსავე პირობებზე და მესამე მხარეებსა და ქვეყნებში, თურქეთის რესპუბლიკის ჩათვლით.

2016 წლის 8 თებერვალს და მოგვიანებით 2016 წლის 24 ივნისს კომპანიამ ხელი მოაწერა საქართველოს მთავრობასა და შპს „საქართველო - ურბან ენერჯის“ შორის 2009 წლის 27 მაისის მემორანდუმის დამატებებს. ამ დოკუმენტების მიხედვით, კომპანიამ ვალდებულება იკისრა, ფაქტობრივად გენერირებული ელექტროენერგია მთლიანად და ექსკლუზიურად მიეყიდა ს.ს. „ელექტროსისტემის კომერციული ოპერატორისთვის“ 2016 წლის მარტსა და აპრილში - 4.7 აშშ ცენტი/კვტსთ, ხოლო 2016 წლის სექტემბერში, ოქტომბერსა და ნოემბერში - 4.3 აშშ ცენტი/კვტსთ ტარიფით. დამატებებმა კომპანიის მიერ ზემოაღნიშნული ვალდებულების შესრულებისთანავე ძალა დაკარგა.

2017 წლის 9 თებერვალს კომპანიამ ხელი მოაწერა საქართველოს მთავრობასა და შპს „საქართველო - ურბან ენერჯის“ შორის 2009 წლის 27 მაისის მემორანდუმის კიდევ ერთ დამატებას. მის მიხედვით, კომპანიამ ვალდებულება იკისრა, ფაქტობრივად გენერირებული ელექტროენერგია მთლიანად და ექსკლუზიურად მიეყიდა ს.ს. „ელექტროსისტემის კომერციული ოპერატორისთვის“ 2017 წლის მარტსა და ნოემბერში - 4.3 აშშ ცენტი/კვტსთ, ხოლო 2017 წლის აპრილში, აგვისტოში, სექტემბერსა და ოქტომბერში - 3.5 აშშ ცენტი/კვტსთ ტარიფით. დამატებებმა კომპანიის მიერ ზემოაღნიშნული ვალდებულების შესრულებისთანავე ძალა დაკარგა.

საანგარიშო დღეს კომპანიას სრულად აქვს შესრულებული ზემოაღწერილი საინვესტიციო ვალდებულებები.

ფინანსური პირობები. კომპანიაზე ვრცელდება რამდენიმე ფინანსური პირობა, რომლებიც ძირითადად ერგბ-ისა და სსკ-ისგან მიღებულ სესხებთანაა დაკავშირებული. ამ პირობების შეუსრულებლობამ შეიძლება გამოიწვიოს მეტად უარყოფითი შედეგები, სესხების ხარჯების მომატებისა და დეფოლტის გამოცხადების ჩათვლით.

22. ფინანსური რისკის მართვა

კომპანია რისკებს განიხილავს ფინანსური (საკრედიტო, საბაზრო, სავალუტო, ლიკვიდობისა და საპროცენტო განაკვეთის), გეოგრაფიული და სამართლებრივი რისკების ჭრილში. კომპანიის ფინანსური რისკის მართვის უმთავრესი ამოცანაა რისკის საზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკდამოკიდებულება ამ ფარგლებში შენარჩუნდეს. კომპანია ამჟამად მუშაობს მისი ფინანსური და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციების შემუშავებაზე. კომპანიაში ამჟამად არსებული პრაქტიკა, მათ შორის, მოწილე კომპანიის მხრიდან განხორციელებული ზედამხედველობა და ახალი ინიციატივები, მიზნად ისახავს ისეთი შიდა პოლიტიკებისა და პროცედურების სათანადოდ ფუნქციონირების უზრუნველყოფას, რომლებიც მინიმუმამდე შეამცირებს ფინანსურ და სამართლებრივ რისკებს მიმდინარე და სამომავლო პერიოდებში.

საკრედიტო რისკი. კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რომელიც არის იმის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთერთი მხარე, ვალდებულების შეუსრულებლობიდან გამომდინარე, გამოიწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. საკრედიტო რისკდამოკიდებულება წარმოიშობა კომპანიის საქონლის საკრედიტო პირობებით გაყიდვიდან და კონტრაგენტებთან ფინანსური აქტივების უზრუნველმყოფი სხვა ტრანზაქციებიდან.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკდამოკიდებულება აქტივების კლასის მიხედვით ასეთია:

ქართულ ლარში	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (შენიშვნა 8)		
- სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,324,594	3,495,720
ფული და ფულის ექვივალენტები (შენიშვნა 9)		
- დეპოზიტები ბანკებში	3,113,225	-
- მოთხოვნამდე ნაშთები ბანკებში	726,466	3,780,303
სულ მაქსიმალური საკრედიტო რისკდამოკიდებულება	**7,164,285**	**7,276,023**

საბაზრო რისკი. კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს. საბაზრო რისკები ძირითადად დაკავშირებულია ღია სავალუტო პოზიციებთან, რომლებზეც ბაზრის ზოგადი და სპეციფიური მოძრაობის ეფექტი ვრცელდება. დირექტორთა საბჭო ადგენს რისკის მისაღებ დონეს და შემდეგ თავის შეხედულებისამებრ უწევს მას მონიტორინგს. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენება არ აღმოფხვრის მისაღებ დონეზე მეტი ზარალის შემთხვევებს შედარებით მნიშვნელოვანი უარყოფითი საბაზრო ცვლილებების პირობებში.

გეოგრაფიული რისკი. კომპანიის აქტივები განთავსებულია საქართველოში და მისი ბიზნეს-გეგმები კრიტიკულადაა დამოკიდებული ქვეყანაში სტაბილურობასა და კანონის უზენაესობაზე. საქართველო კვლავაც ამჟღავნებს განვითარებადი ბაზრის გარკვეულ მახასიათებლებს. როგორც ასეთი, კომპანიაზე აისახება ქვეყნის შიგნით საქმიანი თუ სამართლებრივი სფეროს ნებისმიერი უარყოფითი ცვლილება.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის იმის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება შეიცვლება ვალუტის გაცვლის კურსის ცვლილების პარალელურად. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის სავალუტო რისკდამოკიდებულება საანგარიშო პერიოდის ბოლოს:

	31 დეკემბერს 2017			31 დეკემბერს 2016		
ქართულ ლარში	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებულებები	წმინდა საბალანსო პოზიცია	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებულებები	წმინდა საბალანსო პოზიცია
ქართული ლარი	3,627,251	(111,378)	**3,515,873**	3,913,765	(121,062)	**3,792,703**
აშშ დოლარი	3,537,955	(292,395,894)	**(288,857,939)**	3,356,522	(306,115,999)	**(302,759,477)**
ევრო	-	(91,269)	**(91,269)**	-	-	**-**
თურქული ლირა	787	-	**787**	6,891	-	**6,891**
სულ	**7,165,993**	**(292,598,541)**	**(285,432,548)**	**7,277,178**	**(306,237,061)**	**(298,959,883)**

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია მოგება-ზარალისა და კაპიტალის მგრძნობიარობა საანგარიშო პერიოდის ბოლოს გამოყენებული ვალუტის გაცვლის კურსის ცვლილება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტის მიმართ ყველა დანარჩენი ცვლადის მუდმივობის პირობებში: ზარალი/მოგება აშშ დოლარში დენომინირებული ფულისა და ფულის ექვივალენტების, საბანკო დეპოზიტების, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების, ნასესხები სახსრებისა და სავაჭრო და სხვა გადასახდელების გაცვლის შედეგად.

საქართველოში ფინანსური ინსტრუმენტების ბაზრის არასაკმარისი განვითარების გამო, ხელმძღვანელობა კომპანიის სავალუტო რისკის ჰეჯირებას არ ახდენს.

	31 დეკემბერს 2017	31 დეკემბერს 2016
ქართულ ლარში	გავლენა მოგება-ზარალზე	გავლენა მოგება-ზარალზე
აშშ დოლარის გამყარება 10%	(28,885,794)	(30,275,948)
აშშ დოლარის გაუფასურება 10%	28,885,794	30,275,948

საპროცენტო განაკვეთის რისკი. კომპანიაზე საპროცენტო განაკვეთის რისკი მოქმედებს იმდენად, რამდენადაც კომპანიაში შემავალი პირები სახსრებს სესხულობენ როგორც ფიქსირებული, აგრეთვე ცვლადი საპროცენტო განაკვეთებით. ამ რისკს კომპანია მართავს ამ ორი ტიპის განაკვეთებით სესხის აღების სათანადო ბალანსის დაცვით.

კომპანიის დამოკიდებულება ფინანსურ აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებზე მოქმედ საპროცენტო განაკვეთებზე აღწერილია წინამდებარე შენიშვნის ლიკვიდობის რისკის მართვის ქვეთავში.

ქვემოთ მოცემული მგრძნობიარობის ანალიზი ჩატარდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს საპროცენტო განაკვეთების მიმართ დამოკიდებულების საფუძველზე. ცვლადგანაკვეთიანი ვალდებულებების შემთხვევაში, ანალიზი მომზადდა იმის დაშვებით, რომ საანგარიშო პერიოდის ბოლოს დასაფარი ვალდებულების ოდენობა დასაფარი იყო მთელი წლის განმავლობაში. უმაღლესი ხელმძღვანელობისათვის წარსადგენ მოხსენებებში გამოიყენება 100 საბაზო ქულიანი (1%) ზრდა ან კლება და წარმოადგენს ხელმძღვანელობის შეფასებას საპროცენტო განაკვეთების გონივრულად შესაძლებელი ცვლილების თაობაზე.

საპროცენტო განაკვეთების 100 საბაზო ქულით მეტობის/ნაკლებობის შემთხვევაში, ყველა სხვა ცვლადის მუდმივობის პირობებში:

- 2017 წლის მოგება დაიკლებდა/გაიზრდებოდა 182,048 ლარით (2016: კლება/ზრდა 125,742 ლარით). ეს ძირითადად აიხსნება კომპანიის დამოკიდებულებით ცვლადი განაკვეთების მიმართ.

კომპანიის მგრძნობიარობა საპროცენტო განაკვეთების მიმართ მიმდინარე წელს გაიზარდა. ეს ძირითადად გამოწვეული იყო ცვლადგანაკვეთიანი სავალო ინსტრუმენტების მოცულობის ზრდით.

კომპანია აკვირდება კუთვნილ ფინანსურ ინსტრუმენტებზე მოქმედ საპროცენტო განაკვეთებს. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთები საანგარიშო პერიოდების ბოლოს ხელმძღვანელობის მიერ განხილული მოხსენებების საფუძველზე:

წლიური %.	31 დეკემბერი 2017 GEL	31 დეკემბერი 2017 USD	31 დეკემბერი 2016 GEL	31 დეკემბერი 2016 USD
აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	2%-7%	1.5%-4%	2%-7%	1.5%
ვალდებულებები				
ნასესხები სახსრები (შენიშვნა 11)	-	4.7%-6.63%	-	3.9%-6.75%

ლიკვიდობის რისკი. ლიკვიდობის რისკი არის იმის რისკი, რომ კომპანიას გაუძნელდება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულება. კომპანიას ყოველდღიურად უხდება არსებული ფულადი რესურსების გამოყენება. ხელმძღვანელობა აკვირდება კომპანიის ფულადი ნაკადების მიმდინარე თვიურ პროგნოზებს.

კომპანია ლიკვიდობის რისკს მართავს აქციონერების კაპიტალის შენატანებისა და ერგბ-ისა და სსკ-ის სესხების აღების საშუალებით. კომპანიის ლიკვიდობის რეზერვი მოიცავდა ფულსა და ფულის ექვივალენტებს (შენიშვნა 9).

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია დარჩენილი საკონტრაქტო ვადიანობით გაანალიზებული ვალდებულებები. ცხრილში განმარტებული თანხები წარმოადგენს საკონტრაქტო არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს, მათ შორის, მთლიან სასესხო ვალდებულებებს. ამგვარი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ნაჩვენებისგან განსხვავდება, რადგან ეს უკანასკნელი დისკონტირებულ ფულად ნაკადებს ეფუძნება. თუ გადასახდელი თანხა ფიქსირებული არ არის, ნაჩვენები ოდენობა დგინდება საანგარიშო დღეს არსებული პირობების გათვალისწინებით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გადახდები კონვერტირდება საანგარიშო დღეს არსებული სპოტური კურსით.

ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ქართულ ლარში	მოთხოვნამდე და 1 თვეზე ნაკლები	1-3 თვე	3-12 თვე	12 თვე-5 წელი	5 წელზე მეტი	სულ
ვადიანი სესხები	-	-	(48,952,198)	(108,897,866)	(264,926,387)	**(422,776,451)**
სავაჭრო და სხვა გადასახდელები	(23,109)	(203,087)	(91,458)	-	-	**(317,654)**
სულ მომავალი გადახდები	**(23,109)**	**(203,087)**	**(49,043,657)**	**(108,897,866)**	**(264,926,387)**	**(423,094,105)**

ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ქართულ ლარში	მოთხოვნამდე და 1 თვეზე ნაკლები	1-3 თვე	3-12 თვე	12 თვე-5 წელი	5 წელზე მეტი	სულ
ვადიანი სესხები	-	-	(73,327,531)	(194,523,434)	(110,321,154)	**(378,172,119)**
სავაჭრო და სხვა გადასახდელები	(22,919)	(83,774)	(46,792)	-	-	**(153,486)**
სულ მომავალი გადახდები	**(22,919)**	**(83,774)**	**(73,374,323)**	**(194,523,434)**	**(110,321,154)**	**(378,325,604)**

23. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

რეალური ღირებულების შეფასება ანალიზდება რეალური ღირებულების იერარქიაში დაკავებული დონით: (1) პირველი დონე არის შეფასება კოტირებული ფასებით (არაკორექტირებული) იდენტური აქტივებისა თუ ვალდებულებების აქტიურ ბაზრებზე, (2) მეორე დონის შეფასება არის შეფასების ტექნიკა, სადაც ყველა მნიშვნელოვან მონაცემზე დაკვირვება აქტივებისა და ვალდებულებების შემთხვევაში შესაძლებელია პირდაპირ (ანუ ფასებით) ან ირიბად (ანუ ფასების გავლით), და (3) მესამე დონის შეფასება არის ისეთი შეფასება, რომელიც არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ არადაკვირვებადი მონაცემები). ხელმძღვანელობა ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიზაციისას იყენებს რეალური ღირებულების იერარქიაზე დაფუძნებულ შეფასებებს. თუ რეალური ღირებულების შეფასებაში გამოყენებულია დაკვირვებადი მონაცემები, რომლებსაც მნიშვნელოვნად კორექტირება ესაჭიროება, ეს შეფასება მესამე დონისაა. შესაფასებელი მონაცემის მნიშვნელობა დგინდება რეალური ღირებულების შეფასებით მთლიანობაში.

აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც რეალური ღირებულებით არ იზომება, მაგრამ რომელთა რეალური ღირებულება ნაჩვენებია. რეალური ღირებულების იერარქიაში დაკავებული დონითა და არა რეალური ღირებულებით გაზომილი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებია:

	31 დეკემბერი 2017				31 დეკემბერი 2016			
ქართულ ლარში	1-ელი დონე	მე-2 დონე	მე-3 დონე	საბალანსო ღირებულება	1-ელი დონე	მე-2 დონე	მე-3 დონე	საბალანსო ღირებულება
აქტივები								
- ფული და ფულის ექვივალენტები	3,841,399	-	-	**3,841,399**	3,781,458	-	-	**3,781,458**
- სავაჭრო მოთხოვნები	-	-	3,286,359	**3,286,359**	-	-	3,435,647	**3,435,647**
სულ აქტივები	3,841,399	-	3,286,359	**7,127,758**	**3,781,458**	**-**	**3,435,647**	**7,217,105**
ვალდებულებები								
ნასესხები სახსრები								
- საბანკო სესხი	-	292,347,579	-	**292,347,579**	-	306,083,574	-	**306,083,574**
სხვა ფინანსური ვალდებულებები			**-**			**-**		
- სავაჭრო გადასახდელები	-	-	21,506	**21,506**	-		35,766	**35,766**
- სხვა დარიცხული ვალდებულებები	-	-	229,456	**229,456**	-	-	117,720	**117,720**
სულ ვალდებულებები		**292,347,579**	**250,962**	**292,598,541**		**306,083,574**	**153,486**	**306,237,060**

მე-2 და მე-3 დონეების რეალური ღირებულებები დადგინდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების შეფასების ტექნიკით. აღნიშნული არ შეეხო საინვესტიციო ქონებას, რომლის შემთხვევაში, გამოყენებულ იქნა შესადარი საბაზრო ფასები. იმ ცვლადგანაკვეთიანი ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, რომლებიც აქტიურ ბაზარზე არ კვოტირდება, შეფასდა, როგორც საბალანსო ღირებულების ტოილ. არაკვოტირებული ფიქსირებულ განაკვეთიანი ინსტრუმენტების რეალური ღირებულება შეფასდა სავარაუდოდ მისაღები სამომავლო ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომლებიც დისკონტირებული იყო მსგავსი საკრედიტო რისკისა და დარჩენილი ვადიანობის ახალი ინსტრუმენტების მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები. ფიქსირებულ განაკვეთიანი ინსტრუმენტების შეფასებული რეალური ღირებულება ეფუძნება იმ სამომავლო ფულად სახსრებს, რომლებსაც კომპანია სავარაუდოდ მიიღებს და რომლებიც დისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით, რომლებიც მსგავსი საკრედიტო რისკისა და ვადიანობის მქონე ახალ ინსტრუმენტებს ერიცხება. დისკონტირების განაკვეთები გამოიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკზე. სავაჭრო მოთხოვნებისა და სხვა ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებები, მოკლე ვადიანობის გამო, უახლოვდება რეალურ ღირებულებას.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ვალდებულებები. ფიქსირებულ განაკვეთიანი ინსტრუმენტების შეფასებული რეალური ღირებულება ეფუძნება იმ სამომავლო ფულად სახსრებს, რომლებსაც კომპანია სავარაუდოდ მიიღებს და რომლებიც დისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით, რომლებიც მსგავსი საკრედიტო რისკისა და ვადიანობის მქონე ახალ ინსტრუმენტებს ერიცხება. დისკონტირების განაკვეთები გამოიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკზე. სავაჭრო გადასახდელებისა და სხვა ფინანსური ვალდებულებები საბალანსო ღირებულებები, მოკლე ვადიანობის გამო, უახლოვდება რეალურ ღირებულებას.

24. კაპიტალის რისკის მართვა

კაპიტალის მართვის ამოცანაა, უზრუნველყოს კომპანიის მხრიდან უწყვეტად მოქმედების უნარყ, რათა ამით უზრუნველყოს აქციონერთა უკუგება და შეინარჩუნოს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა კაპიტალის ღირებულების შემცირების მიზნით. ჰესის მშენებლობის დაფინანსების წყაროდ ძირითადად გამოიყენება კომპანიის კაპიტალი.

25. მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდგომ

2018 წლის 23 თებერვალს კომპანიამ ხელი მოაწერა საქართველოს მთავრობასა და შპს „saqarTvelo-ურბან ენერჯის“ შორის 2009 წლის 27 მაისის მემორანდუმის დამატებას, რომლითაც კომპანიამ ვალდებულება იკისრა, 2018 წელს ფაქტობრივად გენერირებული ელექტროენერგია მთლიანად და ექსკლუზიურად მიეყიდა ს.ს. „ელექტროსისტემის კომერციული ოპერატორისთვის“ 2018 წლის მარტსა და ნოემბერში - 4.3 აშშ ცენტი/კვტსთ, ხოლო 2018 წლის აპრილში - 4 აშშ ცენტი/კვტსთ ტარიფით, ხოლო აგვისტოში, სექტემბერსა და ოქტომბერში - 3.5 აშშ ცენტი/კვტსთ ტარიფით.

26. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორთა საბჭომ ფინანსური ანგარიშგება გამოსაშვებად დაამტკიცა 2018 წლის 14 მარტს.

შპს საქართველო - ურბან ენერჯი (სუე)

მმართველობის ანგარიშგება

(2017 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლისათვის)

სარჩევი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2017 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლისათვის წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე 1

დამოუკიდებელი მარწმუნებელი ანგარიში 2

საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა 4

კომპანიის შესახებ 4

სუბიექტის საქმიანობის განვითარების გზა და გეგმები 5

ინფორმაცია სუბიექტების ფილიალების საქმიანობის შესახებ 6

კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა 6

საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები 6

სუბიექტის მიერ საკუთარი აქციების შეძენა 8

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები 8

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2017 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლისათვის წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი მმართველობის ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მმართველობის ანგარიშგებაში ინფორმაციის სრულყოფილად წარდგენაზე ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.
- მმართველობის ანგარიშგების მომზადებაზე შესაბამისი მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მიხედვით.
- აგრეთვე, მმართველობის ანგარიშგებაში წარდგენილი ინფორმაციის თანხვდენილობაზე აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან.

2017 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლისათვის წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია გამოსაშვებად 2018 წლის 12 დეკემბერს.

ხელმძღვანელობის სახელით:

_____

მმართველი დირექტორი
მურათ ქუჩუქ

12 დეკემბერი, 2018 წელი

_____

ფინანსური დირექტორი
ონურ თოსუნოღლუ

12 დეკემბერი, 2018 წელი

შპს დელოიტი და ტუში
ბიზნეს ცენტრი King David
მერაბ ალექსიძის ქ. 12
თბილისი, 0171, საქართველო

ტელ: +995 (32) 224 45 66
ფაქსი: +995 (32) 224 45 69
deloitte.ge

დამოუკიდებელი მარწმუნებელი ანგარიში

შპს „საქართველო - ურბან ენერჯის“ აქციონერებსა და დირექტორთა საბჭოს:

შესავალი

ჩვენ ჩავატარეთ შპს „საქართველო - ურბან ენერჯის“ („კომპანია“), ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად მომზადებული, 2017 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის მმართველობის ანგარიშგების დამოუკიდებელი დასაბუთებული მარწმუნებელი გარიგება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი მმართველობის ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

დასაბუთებული მარწმუნებელი გარიგების სფერო

ჩვენი პასუხისმგებლობაა დასაბუთებული მარწმუნებელი გარიგების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობით ანგარიშგებაზე. ჩვენ ჩავატარეთ გარიგება, მარწმუნებელი გარიგებებისათვის ნებადართული, მარწმუნებელი გარიგებების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (მგსს) 3000 (გადასინჯული). ფირმა იყენებს ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტს (ხკსს) 1-ს და შესაბამისად, გააჩნია ხარისხის კონტროლის კომპლექსური სისტემა, მათ შორის, დოკუმენტირებული პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც ეხება ეთიკური ნორმების, პროფესიული სტანდარტებისა და შესაბამისი საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნების დაცვას.
ჩვენ დავიცავით ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) მიერ გამოცემული პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსით განსაზღვრული, დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული და სხვა ეთიკური ნორმები, რომლებიც დაფუძნებულია პატიოსნების, ობიექტურობის, პროფესიული კომპეტენციისა და სათანადო გულისხმიერების, კონფიდენციალობისა და პროფესიული ქცევის ძირითად პრინციპებზე.

დელოიტი გულისხმობს ერთ ან რამოდენიმე დელოიტ ტუშ ტომაცუ ლიმიტედის კომპანიას, რომელიც წარმოადგენს გარანტიით უზრუნველყოფილ ბრიტანულ კერძო კომპანიას (DTTL), მისი წევრი კომპანიების ქსელს და მასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს. DTTL და მისი ყოველი წევრი წარმოადგენს იურიდიულად დამოუკიდებელ ცალკე პირს. DTTL (რომელიც ასევე მოიხსენიება როგორც გლობალური ქსელი „დელოიტი“) კლიენტებს არ უზრუნველყოფს სერვისის მიწოდებით. DTTL-ისა და მისი წევრი კომპანიების დეტალური აღწერისთვის გთხოვთ იხილოთ www.deloitte.com/about.

© 2018 შპს დელოიტი და ტუში. ყველა უფლება დაცულია.

Deloitte.

აუდიტის საერთაშორისი სტანდარტების შესაბამისად, ჩვენ აქამდე ჩავატარეთ კომპანიის 2017 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი და გამოვთქვით არამოდიფიცირებული მოსაზრება 2018 წლის 14 მარტს. 2017 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს, ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გამოცემული დასკვნის თარიღის შემდგომ მოვლენების გავლენას.

მმართველობის ანგარიშგებაში აღწერილი ის მოვლენები, რომლებიც მოხდა ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გამოცემული დასკვნის თარიღის შემდგომ არ არის ჩვენ მიერ აუდიტირებული.

ჩვენ, პროფესიული განსჯის საფუძველზე, შევარჩიეთ და განვახორციელეთ პროცედურები მათ შორის, მაგრამ არა მხოლოდ გამოკითხვა, ანალიზი და დოკუმენტაციის გადახედვა, კომპანიის პოლიტიკების, პროცედურების, მეთოდოლოგიებისა და წარდგენილი ინფორმაციის შედარება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან, ასევე განვახორციელეთ რაოდენობრივი და სხვა მონაცემების გადათვლა, შედარება და შეჯერება.

დასკვნა

ჩვენი აზრით:

- 2017 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის მმართველობის ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.
- 2017 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია.
- მმართველობის ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია თანხვდენილია 2017 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან.

თამარ ნაცვლიშვილი
დელოიტი და ტუშის სახელით

12 დეკემბერი 2018
თბილისი, საქართველო

საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა

მმართველობის ანგარიშგება მიზნად ისახავს მკითხველს უკეთ გააცნოს სუე-ს საქმიანობა და მისი ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები. კერძოდ, განმარტავს ცვლილებებს კომპანიის ფინანსური მდგომარეობისა და ოპერაციული შედეგების შესახებ 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წინა წელთან შედარებით და რა ფაქტორებმა იქონიეს გავლენა ამ ცვლილებებზე. კომპანიის ფინანსური ანგარიშგებები 2017 წლის 31 დეკემბრისა და შესადარებელი პერიოდისათვის მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

გარდა ისტორიული ინფორმაციისა, მმართველობითი ანგარიშგება შეიძლება შეიცავდეს განცხადებებსა და შეფასებებს, რაც მომზადების დროს არსებულ ონფორმაციას, ხელმძღვანელობის დაშვებებსა და მოლოდინებს ეფუძნება. ეს განცხადებები და შეფასებები არსებითად მოიცავს ცნობილ და უცნობ რისკებს, ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ ფაქტორებს, რომლებიც ხელმძღვანელობის კონტროლის მიღმაა.

კომპანიის შესახებ

კომპანია დაფუძნდა 1999 წლის 11 თებერვალს და რეგისტრირებულია საქართველოში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მოქმედი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის წილებს ფლობდნენ შემდეგი აქციონერები:

	31 დეკემბერი 2017
“ანადოლუ კაფკასია ენერჯი იატირიმლარი ანონიმ შირკეტი”	90%
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (ერგბ)	10%
სულ	**100%**

“ანადოლუ კაფკასია ენერჯი იატირიმლარი ანონიმ შირკეტი” არის „აგ ანადოლუ გრუბუ ჰოლდინგ ა.ს.”-ის 89.19%-იანი შვილობილი კომპანია, რომელიც დაფუძნდა 2009 წლის 15 დეკემბერს. მისი იურიდიული მისამართია ფატიჰ სულტან მეჰმეტ მაჰალესი, ბალკან ჯადესი #58, ბუიაკა, ე ბლოკ 34771 ტეპეიუსტუ/უმრანიე, სტამბოლი, თურქეთი. “ანადოლუ კაფკასია ენერჯი იატირიმლარის ანონიმ შირკეტი”-ს აქციების დანარჩენ 10.81%-იან წილს ფლობს “ფარავანი ენერჯი ბ.ვ.”.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (ერგბ) კომპანიის აქციებს ფლობს 2011 წლის 20 სექტემბრის გამოწერის ხელშეკრულების შესაბამისად, რომლის მიხედვით, ერგბ-მა გამოიწერა კომპანიის საკუთარი კაპიტალის 10%.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ელექტროენერგიის გენერაცია და გაყიდვა. 2007 წლის 29 მაისს კომპანიამ და საქართველოს მთავრობამ ხელი მოაწერეს ურთიერთგაგების მემორანდუმს საქართველოში სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, მდინარე ფარავანზე 85 მეგავატიანი ჰიდროელექტრო სადგურის მშენებლობის თაობაზე (ფარავანი ჰესი).

აღნიშნული მემორანდუმის მიხედვით, კომპანია ვალდებულია, ზამთრის სამი თვის (დეკემბერი-თებერვალი) განმავლობაში გენერირებული ელექტროენერგია ელექტროსისტემის კომერციულ ოპერატორს მიჰყიდოს, ხოლო დანარჩენ თვეებში ელექტროენერგია გავა თურქეთში.


კომპანიამ 2014 წლის აგვისტოში დაასრულა ფარავანი ჰესის მშენებლობა და ამის შემდეგ ერთი თვის განმავლობაში ატარებდა სპეციფიურ ტესტებს. 2014 წლის ოქტომბრიდან მოყოლებული, კომპანიის მიერ ოპერირებულ ფარავნის ჰიდროელექტრო სადგურზე ხდება ელექტროენერგიის გენერირება.

ფარავანი ჰესი 2014 წლისთვის წარმოადგენდა უნიკალურ პროექტს საქართველოში. ჰესი მოიცავს 14 კმ სიგრძის სადერივაციო გვირაბს, რომლის საშუალებითაც სოფელ ხერთვისთან ხდება მდინარე ფარავნის

გადაგდება მდინარე მტკვარში. ფარავანი ჰესის პროექტი ასევე მოიცავს 33 კმ სიგრძის 220-კილოვოლტიან გადამცემ ხაზს. გადამცემი ხაზი გაივლის ახალციხის ქვესადგურამდე, რომელიც უკავშირდება 400/500-კილოვოლტიან მაღალი ვოლტაჟის მქონე შავი ზღვის გადამცემ ხაზს. ეს ხაზი საქართველოს თურქეთთან აკავშირებს.

კომპანია სტრუქტურულად სამ დეპარტამენტად იყოფა: ადმინისტრაციული, ფინანსური და საოპერაციო. ადმინისტრაციული და ფინანსური დეპარტამენტები მდებარეობს თბილისის მთავარ ოფისში, ხოლო საოპერაციო კი ასპინძის რაიონის სოფელ ხერთვისშია განლაგებული (ფარავანი ჰესის ტერიტორია). 2017 წლის განმავლობაში სუე-ში საშუალოდ 44 ადამიანი იყო დასაქმებული (2016 წელი: 44).

სუე-ს ორგანიზაციული სქემა



სუბიექტის საქმიანობის განვითარების გზა და გეგმები

2014 და 2015 ფინანსური წლებში, ზამთრის სამი თვის განმავლობაში კომპანია გენერირებულ ელექტროენერგიას ყიდდა სახელმწიფო მფლობელობაში არსებულ ელექტროსისტემის კომერციულ ოპერატორზე, დანარჩენ თვეებში კი ექსპორტზე გაჰქონდა თურქეთში. 2016 წელს კომპანიამ საქართველოს მთავრობასთან ხელი მოაწერა დამატებით ხელშეკრულებებს, რომელთა მიხედვით, მარტის, აპრილის, სექტემბრის, ოქტომბრისა და ნოემბრის თვეებში აკმაყოფილებდა ელექტროენერგიის მოთხოვნას საქართველოს ფარგლებში. 2017 წელს კომპანიას ელექტროენერგია ექსპორტზე გაჰქონდა ზედიზედ სამი - მაისის, ივნისისა და ივლისის - თვის განმავლობაში, ხოლო დანარჩენი 9 თვის განმავლობაში, საქართველოს მთავრობასთან ხელმოწერილი დამატებითი ხელშეკრულების ფარგლებში, გენერირებულ ელექტროენერგიას მთლიანად ჰყიდდა ადგილობრივ ბაზარზე.

2018 წლის 23 თებერვალს კომპანიამ ხელი მოაწერა საქართველოს მთავრობასა და შპს "საქართველო-ურბან ენერჯის" შორის 2009 წლის 27 მაისის მემორანდუმის დამატებას, რომლითაც კომპანიამ ვალდებულება იკისრა, 2018 წელს ფაქტობრივად გენერირებული ელექტროენერგია მთლიანად და ექსკლუზიურად მიეყიდა ს.ს. "ელექტროსისტემის კომერციული ოპერატორისთვის" 2018 წლის მარტის, აპრილის, აგვისტოს, სექტემბრის, ოქტომბრისა და ნოემბრის თვეებში.

ინფორმაცია სუბიექტების ფილიალების საქმიანობის შესახებ

სუე-ს არ გააჩნია ფილიალი 2017 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლისათვის.

კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

კომპანია საქმიანობის სპეციფიკიდან გამომიდნარე არ არის ჩართული კვლევების და და განვითარების სფეროში.

საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ფინანსური მაჩვენებლები

აქტივები და ვალდებულებები

2017 წლის განმავლობაში სუე-ს არ განუხორციელებია მნიშვნელოვანი და მატერიალური შენაძენები ძირითადი საშუალებების კუთხით. ბალანსის შემცირება 286,950,842 ლარიდან (31.12.2016) 275,957,891 (31.12.2017) ლარამდე ცვეთით არის განპირობებული.

ამასთნავე, 2016 წლის ბოლოს კომპანიამ შეიძინა ორი ახალი სერვერი და მასთან დაკავშირებული ლიცენზიები და ქსელური მოწყობილობები, რომელთაც საექსპლუატაციო პერიოდი ძირითადად 2017 წლის 1 იანვრიდან განესაზღვრა.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მიმდინარე ვალდებულებებმა მიმდინარე აქტივებს გადააჭარბა 26,470,232 ლარით. ეს იმით არის განპირობებული, რომ მიმდინარე ვალდებულებებში შედის “აკბანკიდან” და “თსკბ“-დან აღებული მოკლევადიანი სესხები, შესაბამისად, 3,274,093 ლარისა და 22,870,389 ლარის ოდენობით; აგრეთვე საერთაშორისო საფინანსო კორპორაციიდან (სსკ) და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან (ერგბ) მიღებული გრძელვადიანი სესხის მოკლევადიანი ნაწილი, შესაბამისად, 3,687,611 ლარისა და 4,580,774 ლარის ოდენობით. კომპანიის მიმდინარე აქტივები ძირითადად შედგება ფულის და ფულის ექვივალენტის, ადგილობრივი ბაზრის ოპერატორ სს ”ელექტროსისტემის კომერციულ ოპერატორზე” ელექტროენერგიის მიყიდვით წარმოშობილი სავაჭრო მოთხოვნისა და მარაგებისგან შესაბამისად 3,841,399 ლარის, 3,286,359 ლარისა და 708,879 ლარის ოდენობით. კომპანიის მარაგები ძირითადად შედგება ჰესის შემადგენელი აღჭურვილობის სათადარიგო ნაწილებისგან. შიდა პოლიტიკიდან გამომდინარე, კომპანიას განსაზღვრული აქვს მარაგების მინიმალური და მაქსიმალური რაოდენობა კონკრეტული სათადარიგო ნაწილებისდა მიხედვით.

თურქეთის ბაზარზე შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, თურქული ლირისა და ქართული ლარის გაუფასურების ფაქტორის გათვალისწინებით აშშ დოლართან მიმართებაში, კომპანიის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება გრძელვადიანი სესხის რესტრუქტურიზაციის შესახებ.

2017 წლის 12 აპრილს კომპანიამ ერგბ-სა და სსკ-თან ხელი მოაწერა შეთანხმების შესწორებას გრძელვადიანი სესხის რესტრუქტურიზაციის თაობაზე. მის მიხედვით, დადგინდა ძირითადი თანხის გადახდების ახალი გრაფიკი, რაც საშუალებას აძლევს კომპანიას, ძირითადი თანხა უფრო ხანგრძლივი ვადის განმავლობაში გადაიხადოს.

2017 წლის 30 ოქტომბერს კომპანიამ “თსკბ” ბანკთან ხელი მოაწერა ხელშეკრულებას საკრედიტო ხაზის თაობაზე, 10,000,000 აშშ დოლარის (25,922,000 ლარი) ლიმიტითა და 5 წლის ვადით. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას ათვისებული ჰქონდა ძირითადი თანხა 8,750,000 აშშ დოლარის (22,681,750 ლარი) ოდენობით. სესხები მოკლევადიანია, 1 წლიანი დაფარვის ვადით (სულ სამი ტრანში). ათვისებული საკრედიტო ხაზები ყოველწლიურად მცირდება (2017 წლის განმავლობაში ათვისებული საკრედიტო საზი 32,439,789 ლარიდან 26,144,482 ლარამდე შემცირდა).

კომპანია მიიჩნევს, რომ უწყვეტი საწარმოს პრინციპის გამოყენება არსებულ სიტუაციას შეესაბამება და რომ ის შეძლებს ბიზნესის მიმდინარეობის პროცესში აქტივების რეალიზებასა და ვალდებულებების დაფარვას. კომპანიის უპირველესი ამოცანაა ერგბ-სა და სსკ-თან ხელმოწერილი სასესხო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. შესაბამისად, კომპანიის სამომავლო გეგმები სწორედ ამ პირობების შესრულებას უკავშირდება.

ოპერაციული შედეგები

კომპანიის შემოსავალმა 2017 წელს 37,310,646 ლარი შეადგინა, რაც 2016 წელთან შედარებით 5,760,841 ლარით ნაკლებია. გამომდინარე იქიდან, რომ 2016 წელთან შედარებით 2017 წელი მშრალი სეზონებით გამოირჩეოდა, გამომუშავებული ელექტროენერგიის რაოდენობა შემცირდა 424,170,120 კვტ.სთ-დან 380,965,200 კვტ.სთ-მდე. შესაბამისად რეალიზებული ელექტროენერგიის რაოდენობა და მიღებული შემოსავალი შემცირდა.

ხარჯების კუთხით აღსანიშნავია მომსახურების ხარჯების შემცირება გასულ წელთან შედარებით, 2017 წელს მომსახურების ხარჯებმა ჯამში 6,373,998 ლარი შეადგინა (2016 წელი: 7,716,313 ლარი). ელექტროენერგიის რეალიზაციასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები მომსახურების ხარჯების 78%-ს შეადგენს. აღნიშნულმა 2017 წელს 4,960,328 ლარი შეადგინა, რაც 2016 წელთან შედარებით 825,908 ლარით ნაკლებია. ეს ცვლილება ძირითადად გამოწვეულია იმ მიზეზით, რომ რეალიზებული ელექტროენერგიის მოცულობა შემცირდა და ასევე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ 2017 წელს მხოლოდ სამი თვის განმავლობაში ხდებოდა ექსპორტი (ხარჯი ძირითადად ექსპორტის დროს იზრდება) განსხვავებით 2016 წლისგან, როდესაც კომპანიას ელექტროენერგია ოთხი თვის განმავლობაში გაჰქონდა ექსპორტზე.

ლარის გაცვლითი კურსის ცვლილებამ (31 დეკემბერი 2017: 1 აშშ დოლარი = 2.5922; 31 დეკემბერი 2016: 1 აშშ დოლარი = 2.6468) დოლართან მიმართებაში სუე-ს 2017 წლის შედეგებზე დადებითი ზეგავლენა იქონია. საკურსო სხვაობით მიღებულმა წმინდა მოგებამ 5,876,102 ლარი შეადგინა, მაშინ როცა 2016 წელს კომპანიას ჰქონდა საკურსო სხვაობით მიღებული ზარალი 28,463,776 ლარი (31 დეკემბერი 2016: 1 აშშ დოლარი = 2.6468; 31 დეკემბერი 2015: 1 აშშ დოლარი = 2.3949). აღნიშნული შედეგი ძირითადად კომპანიის გრძელვადიანი და მოკლევადიანი სესხების გადაფასებითაა გამოწვეული.

წყარო: შპს „საქართველო-ურბან ენერჯის“ 2018 წლის 14 მარტის ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორული დასვნა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

არაფინანსური მაჩვენებლები

სოციალური პროექტები

ისევე როგორც გასულ წლებში, სუე 2017 წელსაც ჩართული იყო სოციალურ პროექტებში. კომპანია ყოველწლიურად ატარებს სოფლის ტერიტორიის დასუფთავების აქციას სოფლის მოსახლეობასთან და ასპინძის გამგეობის თანამშრომლებთან ერთად. ასევე ეხმარება ხერთვისის საჯარო სკოლის მოსწავლეებს (საახალწლო საჩუქრები).

სუე არის ქართველ და თურქ ბიზნესმენთა ასოციაციის წევრი კომპანია და პერიოდულად მონაწილეობას იღებს საქველმოქმედო თუ სხვადასხვა ტიპის ღონისძიებაში, რაც ქართველი და თურქი საზოგადოების უფრო მეტად დაახლოებას ემსახურება.

2017 წელს სუემ ფინანსური დახმარება გაუწია ენერგეტიკის სამინისტროს მიერ ორგანიზებული კალმახის საშენის მშენებლობას.

კომპანია მომავალშიც გეგმავს გააგრძელოს სოციალურ პროექტებში ჩართულობა, განსაკუთრებით კი ასპინძის რაიონში.

გარემოს დაცვა და უსაფრთხოება

გარემოს დაცვისა და უსაფრთხობის საკითხს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კომპანიის საქმიანობაში. აღნიშნულ თემას დიდი ყურადღება ექცევა ერგბ-სა და სსკ-ის მხრიდან, ასევე მკაცრად რეგულირებადია სახელმწიფოს მიერ.

სუეს 44 თანამშრომელს შორის ჰყავს გარემოსა და უსაფრთხოების სპეციალისტი.

ჰესის მშენებლობის დროს სათავე ნაგებობაზე აშენდა თევზსავალი. მდინარეში თევზის არსებობის, სახეობისა და გამრავლების კუთხით მონიტორინგი კომპანიის გარემოსა და უსაფრთხოების სპეციალისტის მიერ ტარდება და შედეგები აისახება ერგბ-სა და სსკ-ისთვის მოსამზადებელ ყოველწლიურ ანგარიშებში.

ფრინველთა მონიტორინგი ხორციელდება კომპანიის გარემოსა და უსაფრთხოების სპეციალისტის მიერ, რომელიც ეფუძნება მიმდებარე სოფლების მაცხოვრებელთა გამოკითხვას ფრინველთა სიკვდილიანობის შემთხვევებთან დაკავშირებით. გამოკითხვის შედეგად, არანაირი უჩვეულო შემთხვევა არ გამოვლენილა.

ჰესის ტერიტორიიდან რეგულარულად ხდება ნარჩენების გატანა საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიასთან არსებული ხელშეკრულების საფუძველზე. სახიფათო ნარჩენებისთვის გამოყოფილია ცალკე სათავსო და გარკვეული რაოდენობის დაგროვების შემდეგ შესაბამისი სერტიფიცირებული კომპანია უზრუნველყოფს ტერიტორიიდან გატანას.

საქართველოს გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე კვარტალურად კეთდება მდინარის წყლის ქიმიური ანალიზები. ასევე, ყოველწლირად საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიაში კეთდება სასმელი წყლის ანალიზი.

ჰესის ტერიტორიაზე, ხიდის ქვეშ აშენებულია წყლის დონის საზომი სისტემა მინიმალური ბიოლოგიური ნაკადის შესაფასებლად. ბეტონის სტრუქტურა შექმნილია ზუსტი მონაცემების მისაღებად. წყლის დონისა და ნაკადის შესახებ მონაცემები გამოითვლება მთელი წლის განმავლობაში. მონაცემები ინახება სპეციალურ მონაცემთა აღმრიცხველში და მოდემის საშუალებით გადაეცემა ჰესის სკადა სისტემას.

სუე-ს ხელმძღვანელობა კომპანიის გარემოსა და უსაფრთხოების სპეციალისტთან ერთად პერიოდულად მართავს შეხვედრებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან, ასპინძისა და ახალციხის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან, ასევე ირგვლივ მდებარე მოსახლეობასთან. სუე-ს ზეპირი ან წერილობითი სახით საჩივარი არ მიუღია.

კომპანია სარგებლობს მთელი რიგი სადაზღვევო პროდუქტებით, როგორიცაა კომერციული ქონების დაზღვევა (Comprehensive Machinery Breakdown and Business Interruption Insurance), ზოგადი პასუხისმგებლობის დაზღვევა(General Liability Insurance), პოლიტიკურის ძალადობის დაზღვევა (Political Violence Insurance), დამსაქმებლის პასუხისმგებლობის დაზღვევა (Employer's Liability Insurance), თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაზღვევა, ავტომობილების დაზღვევა, სათაო ოფისის ქონების დაზღვევა.

სუბიექტის მიერ საკუთარი აქციების შეძენა

კომპანიის კაპიტალი შედგება მხოლოდ საწესდებო კაპიტალისგან. გამომდინარე იქიდან, რომ კომპანიას არ ერიცხება სააქციო კაპიტალი, საკუთარი აქციების შეძენის ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

საქართველოში 13 წარმოების ლიცენზიატი და 25 მცირე სიმძლავრის ჰესი ფუნქციონირებს. აქედან მხოლოდ შპს "ენგურჰესი" და შპს "ვარდნილჰესი" რჩება სახელმწიფო საკუთრებაში.

2008 წლის 1 აგვისტოს შემდეგ აშენებული ელექტროსადგურისთვის წარმოების ტარიფი დერეგულირებულია, მათ უფლება აქვთ ელექტროენერგიით ვაჭრობა თავისუფალი (დერეგულირებული) ტარიფით განახორციელონ. ასეთ ჰესების კატეგორიას განეკუთვნება ფარავანი ჰესი.

სუე-ს გაფორმებული აქვს 49 წლიანი ხელშეკრულება ელექტროენერგიის გადაცემის/დისპეჩერიზაციის მომსახურებაზე სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას" (სსე), შპს "ენერგოტრანსსა" და შპს "საქრუსენერგოსთან" სისტემათაშორისი გადადინებისთვის განკუთვნილი ახალი ელექტროგადამცემი ხაზით ელექტროენერგიის ექსპორტის უზრუნველსაყოფად (მესხეთის 400 კვ გადამცემი ხაზი).

აღნიშნული ელექტროგადამცემი ხაზით ელექტროენერგიის ექსპორტის უზრუნველსაყოფად პრიორიტეტულობა და უპირატესობა განისაზღვრება კლებადი თანმიმდევრობით ('ა','ბ', 'გ' და 'დ' კატეგორიები).ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესების თანახმად, გამომდინარე იქიდან, რომ სუე-ს საკუთრებაში არსებული ფარავანი ჰესი 2010 წლის შემდეგაა აშენებული, ჰესი განეკუთვნება 'ბ' კატეგორიის პრიორიტეტულ ჯგუფს. 'ა' კატეგორიის პრიორიტეტით, საგანგებო მდგომარეობაა განსაზღვრული. *(წყარო: ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესები, მუხლი 14[12])*

დერეგულირებული ჰესების წლიური გამომუშავება 2017 წელს 20.3%-ით გაიზარდა ამ ჯგუფში ახალი ჰესების დამატების შედეგად და ჯამური მიწოდების 12% შეადგინა. ჰიდროგენერაცია წლიურად 6.7%-ით გაიზარდა მაისი-აგვისტოს პერიოდში, რამაც ექსპორტის ზრდას (+22.7% წ/წ) შეუწყო ხელი. როგორც ზემოთ აღინიშნა, სუე-ს ელექტროენერგია ექსპორტზე მაისი-ივლისის პერიოდში გაჰქონდა *(წყარო: გალტ & თაგარტის 2018 წლის 1 თებერვლის ელექტროენერგიის ბაზრის მიმოხილვა).*

2017 წლის დეკემბერში სემეკმა გადამცემი კომპანიებისთვის ტარიფები დაადგინა, რომლებიც ძალაში 2018 წლის იანვრიდან შედის. ელექტროენერგიის ექსპორტიორები იხდიდნენ ყველა გადაცემის ტარიფს ექსპორტის მოცულობის პროპორციულად. გარდა ამისა, ექსპორტიორები უხდიდნენ ენერგოტრანსს დამატებით საფასურს (0.496 თეთრი/კვტ.სთ 2017 წელს). 2017 წლის დეკემბერში ენერგოტრანსის დიფერენცირებული ტარიფი გაუქმდა და დაწესდა ერთიანი ტარიფი კვტ.სთ-ზე 0.38 თეთრის მოცულობით. დანარჩენი ორი გადაცემის ლიცენზიანტის, საქრუსენერგო და სსე-ს ტარიფები გაიზარდა შესაბამისად კვტ.სთ-ზე 0.278 (+54.4%) და 1.323 თეთრამდე (+51.7%). სსე-ს დისპეჩერიზაციის საფასური გახდა კვტ.სთ-ზე 0.092 თეთრი (+12.2%) 2018 წლის პირველ მაისამდე, ხოლო შემდგომ პერიოდზე, კვტ.სთ-ზე 0.412 თეთრი. ჯამურად, გადაცემა-დისპეჩერიზაციის საფასური 2.393 თეთრს მიაღწევს *(წყარო: სემეკის დადგენილება N33).*

გადაცემისა და დისპეჩერიზაციის ტარიფები Transmission and dispatch fees

მომსახურების ტიპი		31.12.2017 თეთრი/კვტ.სთ	30.04.2018 თეთრი/კვტ.სთ	31.12.2020 თეთრი/კვტ.სთ
სსე	გადაცემის მომსახურება (220 კვ)	0.872	1.323	1.323
სსე	დისპეჩერიზაციის მომსახურება	0.082	0.092	0.412
საქრუსენერგო	გადაცემის მომსახურება	0.180	0.278	0.278
ენერგოტრანსი	გადაცემის მომსახურება (500 კვ)	0.387	0.380	0.380
ენერგოტრანსი	გადაცემის მომსახურება (400 კვ)	0.496		
		2.017	2.073	2.393

2018 წლის 23 თებერვალს ხელმოწერილი საქართველოს მთავრობასა და შპს "საქართველო-ურბან ენერჯის" შორის 2009 წლის 27 მაისის მემორანდუმის დამატების თანახმად, სუე ელექტროენერგიის ექსპორტს 2017 წლის მსგავსად მოახდენს მაისი-ივლისის პერიოდში მხოლოდ უკვე 18.64%-ით გაზრდილი გადაცემა/დისპეჩერიზაციის ხარჯებით. მნიშვნელოვანი იქნება თუ რა მიმართულებით შეიცვლება ამ პერიოდში თურქეთში ელექტროენერგიის საშუალო საბაზრო ფასი. ორი ძირითადი რისკ-ფაქტორი იკვეთება: ელექტროენერგიის ფასისა და გაცვლითი კურსის მერყეობა დოლართან მიმართებაში თურქეთის ბაზარზე. ზოგადად, თურქეთის ბაზრის შემცირებულმა და მერყევმა ფასებმა შეამცირა თურქეთის მიმართულებით ექსპორტის მსურველი კომპანიების რიცხვი საქართველოში და შესაბამისად

ექსპორტი 2017 წლის განმავლობაში შემცირდა 3.5%-ით წინა წელთან შედარებით. ამ მიმართულებით ექსპორტის ძირითადი მსურველები ის კომპანიები არიან, ვისაც აქვთ პრიორიტეტული წვდომა საქართველო-თურქეთის შემაერთებელ ელექტროგადამცემ ხაზ "მესხეთზე", როგორც ზემოთ აღინიშნა, ასეთ კომპანიებს შორისაა სუე. ზედიზედ მეორე წელია, რაც სუე არ იყენებს ექსპორტზე პრიორიტეტულ უფლებას მაისი-ივლისის პერიოდის გარდა მაღალი შემოსავლის დასაზღვევად. მნიშვნელოვანი ფაქტორია ასევე თურქული ლირის გაუფასურება აშშ დოლართან მიმართებაში, რადგან ექსპორტის შემთხვევაში ელექტროენერგიის გასაყიდი ფასი, რომელიც ცვალებადია თურქულ ლირაში, საბოლოოდ კონვერტირდება აშშ დოლარში და გაუფასურების შედეგად ფასი შესაძლოა შემცირდეს. სწორედ ფასთან და გაცვლითი კურსთან დაკავშირებული რისკების შესამცირებლად მოაწერა ხელი ზემოთხსენებული მემორანდუმის დამატებას საქართველოს მთავრობასთან, სადაც 2018 წლისთვის ადგილობრივ ბაზარზე ელექტროენერგიის მიწოდების პერიოდი და ფასები განისაზღვრა.

კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ მოცემულია *შპს „საქართველო-ურბან ენერჯის" 2018 წლის 14 მარტის ფინანსურ ანგარიშგებასა და დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნის 22-ე შენიშვნაში.*

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2017 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლისათვის წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი მმართველობის ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მმართველობის ანგარიშგებაში ინფორმაციის სრულყოფილად წარდგენაზე ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.
- მმართველობის ანგარიშგების მომზადებაზე შესაბამისი მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მიხედვით.
- აგრეთვე, მმართველობის ანგარიშგებაში წარდგენილი ინფორმაციის თანხვდენილობაზე აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან.

2017 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლისათვის წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია გამოსაშვებად 2018 წლის 12 დეკემბერს.

ხელმძღვანელობის სახელით:

მმართველი დირექტორი
მურათ ქუჩუქ

12 დეკემბერი, 2018 წელი

ფინანსური დირექტორი
ონურ თოსუნოღლუ

12 დეკემბერი, 2018 წელი

Deloitte.

შპს დელოიტი და ტუში
ბიზნეს ცენტრი King David
მერაბ ალექსიძის ქ. 12
თბილისი, 0171, საქართველო

ტელ: +995 (32) 224 45 66
ფაქსი: +995 (32) 224 45 69
deloitte.ge

დამოუკიდებელი მარწმუნებელი ანგარიში

შპს „საქართველო - ურბან ენერჯის“ აქციონერებსა და დირექტორთა საბჭოს:

შესავალი

ჩვენ ჩავატარეთ შპს „საქართველო - ურბან ენერჯის“ („კომპანია“), ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად მომზადებული, 2017 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის მმართველობის ანგარიშგების დამოუკიდებელი დასაბუთებული მარწმუნებელი გარიგება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი მმართველობის ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

დასაბუთებული მარწმუნებელი გარიგების სფერო

ჩვენი პასუხისმგებლობაა დასაბუთებული მარწმუნებელი გარიგების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობით ანგარიშგებაზე. ჩვენ ჩავატარეთ გარიგება, მარწმუნებელი გარიგებებისათვის ნებადართული, მარწმუნებელი გარიგებების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (მგსს) 3000 (გადასინჯული). ფირმა იყენებს ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტს (ხკსს) 1-ს და შესაბამისად, გააჩნია ხარისხის კონტროლის კომპლექსური სისტემა, მათ შორის, დოკუმენტირებული პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც ეხება ეთიკური ნორმების, პროფესიული სტანდარტებისა და შესაბამისი საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნების დაცვას.
ჩვენ დავიცავით ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) მიერ გამოცემული პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსით განსაზღვრული, დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული და სხვა ეთიკური ნორმები, რომლებიც დაფუძნებულია პატიოსნების, ობიექტურობის, პროფესიული კომპეტენციისა და სათანადო გულისხმიერების, კონფიდენციალობისა და პროფესიული ქცევის ძირითად პრინციპებზე.

დელოიტი გულისხმობს ერთ ან რამოდენიმე დელოიტ ტუშ ტომაცუ ლიმიტედის კომპანიას, რომელიც წარმოადგენს გარანტიით უზრუნველყოფილ ბრიტანულ კერძო კომპანიას (DTTL), მისი წევრი კომპანიების ქსელს და მასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს. DTTL და მისი ყოველი წევრი წარმოადგენს იურიდიულად დამოუკიდებელ ცალკე პირს. DTTL (რომელიც ასევე მოიხსენიება როგორც გლობალური ქსელი „დელოიტი“) კლიენტებს არ უზრუნველყოფს სერვისის მიწოდებით. DTTL-ისა და მისი წევრი კომპანიების დეტალური აღწერისთვის გთხოვთ იხილოთ www.deloitte.com/about.

© 2018 შპს დელოიტი და ტუში. ყველა უფლება დაცულია.

Deloitte.

აუდიტის საერთაშორისი სტანდარტების შესაბამისად, ჩვენ აქამდე ჩავატარეთ კომპანიის 2017 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი და გამოვთქვით არამოდიფიცირებული მოსაზრება 2018 წლის 14 მარტს. 2017 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს, ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გამოცემული დასკვნის თარიღის შემდგომ მოვლენების გავლენას.

მმართველობის ანგარიშგებაში აღწერილი ის მოვლენები, რომლებიც მოხდა ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გამოცემული დასკვნის თარიღის შემდგომ არ არის ჩვენ მიერ აუდიტირებული.

ჩვენ, პროფესიული განსჯის საფუძველზე, შევარჩიეთ და განვახორციელეთ პროცედურები მათ შორის, მაგრამ არა მხოლოდ გამოკითხვა, ანალიზი და დოკუმენტაციის გადახედვა, კომპანიის პოლიტიკების, პროცედურების, მეთოდოლოგიებისა და წარდგენილი ინფორმაციის შედარება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან, ასევე განვახორციელეთ რაოდენობრივი და სხვა მონაცემების გადათვლა, შედარება და შეჯერება.

დასკვნა

ჩვენი აზრით:

- 2017 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის მმართველობის ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.
- 2017 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია.
- მმართველობის ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია თანხვდენილია 2017 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან.

თამარ ნაცვლიშვილი
დელოიტი და ტუშის სახელით

Deloitte & Touche

12 დეკემბერი 2018
თბილისი, საქართველო